საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (366)
12 – 18 ოქტომბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru




## «ქართული ოცნებისთვის» «ნაციონალურ მოძრაობაზე» უკეთესი ოპოზიცია არ არსებობს! 10

## მარნეული ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების ზღვარზეა 11

„იმამყულიევი დაუფარავად ამბობდა, რომ აზერბაიჯანელებმა სვანს — თამაზ ნავერიანს — მხარი არ უნდა დაუჭირონ, რომ მარნეულში გადაწყვეტილება აზერბაიჯანელმა უნდა მიიღოს... იგი ახალგაზრდებს პირდაპირ მოუწოდებს, რომ ყველა სვანი მტერია...“



## გაიზიარებს თუ არა «ქართული ოცნება» «მოქალაქეთა კავშირის» ბედს 2



## «ივანიშვილს სჭირდება მორჩილი პარლამენტი, დამჯერი მთავრობა, ყურმოჭრილი პრეზიდენტი» 5



## რაზე შეთანხმდნენ პუტინი და ერდოღანი? 3

48.67% «ქართული ოცნება»

27.11% «ნაციონალური მოძრაობა»

5.01% «პატრიოტთა ალიანსი»

## კოჰაბიტაციის ბრწყინვალე დაგვირგვინება 4

## პალატა №41 6

## ოცნებას ფიქრი ჯობია 9



## «ტერაქტების მოწყობა, მოწინააღმდეგეების ფიზიკური ლიკვიდაცია «ნაციონალური მოძრაობის» წევრების მოწოდება და მეთოდია, სხვისთვის გადაბრალება — მათი ხელწერა» 8

„4 ოქტომბრის ინციდენტი დეჟავიუს შთაბეჭდილებას ტოვებს, ის ხურჩის „ოპერაციას“ გაგახსენებთ თავისი ზეოპერატიულობით... ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება: საქმე გვაქვს დეტალურად დაგეგმილ და განხორციელებულ პროვოკაციასთან“.

## ამერიკელი მონაზვნები კანაფის მოყვანით ირჩენენ თავს 15

## რას უნდა ელოდოს უკრაინა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისგან? 19

## ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში 22

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს უახლესი ისტორია ადასტურებს – რაც უფრო ბევრი საპარლამენტო მანდატი აქვს პარტიას და რაც უფრო დაცულად გრძნობს თავს, მით უფრო სწრაფი და მასშტაბურია მისი გახრწნის პროცესი, რომელიც 3-4 წელიწადში სრული კრახით სრულდება. თუ ბიძინა ივანიშვილს სურს, ხელისუფლება მომავალშიც შეინარჩუნოს, მმართველი პარტიის საფუძვლიანი რეფორმირება მოუწევს, რადგან ადგილობრივ და მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გამოსვლა იმავე შემადგენლობით, იდეებით, ტაქტიკური სქემებით, ძველი საფრთხობელებით, ნეპოტიზმითა და ზოგადი უნიათობით კარგს არაფერს მოუტანს.**

# გაიზიარებს თუ არა «ქართული ოცნება» «მოქალაქეთა კავშირის» ბედს

**საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა. ცესკოს მონაცემებით, მან ხმათა 48,65% მოიპოვა, მისმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს 23 მაჟორიტარულ ოლქში, ხოლო იქ, სადაც მეორე ტური დაინიშნა, მმართველ პარტიას წარმატების ძალიან მაღალი შანსი აქვს. მაგრამ ზოგმა გარემოებამ შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ ივანიშვილის პარტიამ „პიროსის გამარჯვება“ მოიპოვა, რომელსაც შეიძლება კრახი მოჰყვეს.**



**«ქართულმა ოცნებამ» მიიღო დამატებითი მანდატები, მაგრამ გაცილებით დიდი პასუხისმგებლობაც დაეკისრა და მკვეთრად შეეზღუდა შესაძლებლობა, საკუთარი წარუმატებლობა «ნაცმოძრაობის» საბოტაჟს დააბრალოს. ის იძულებულია, გაატაროს სერიოზული რეფორმები და აღადგინოს სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, «მოქალაქეთა კავშირის» ბედს გაიზიარებს**

**ამომრჩევლების დაბალი აქტიურობა** ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღქმაზე ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითად აისახება. შესაძლოა, სახლში დარჩენილი ამომრჩევლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა „ჩუმი ბოიკოტი“ არა მხოლოდ კონკრეტულ არჩევნებს, არამედ მთელ პოლიტიკურ სისტემას გამოუცხადა, რომლის ქვაკუთხედს „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ უცნაური სიმბიოზი წარმოადგენს. სხვადასხვა სოციოლოგიური მონაცემების შეჯერება გვიჩვენებს, რომ საუბარი შეიძლება ამომრჩეველთა 20-25% ეხებოდეს. ისინი უარს ამბობენ „ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერაზე, მაგრამ ვერ პოულობენ პარტიას, რომელიც მათ ნდობას იმსახურებს. ბრძოლა ამ ხმებისთვის და მათი კონსოლიდაციის გზების ძიება მომავალი არჩევნების მთავარი ინტრიგა იქნება.

**„მცირე პარტიები“ ამპარტავნობამ დაღუპა** — ისინი უპრობლემოდ გადალახავდნენ ბარიერს თუ ტაქტიკური ალიანსებისა და საარჩევნო ბლოკების შექმნის გზით წავიდოდნენ, მაგალითად, რესპუბლიკელები და ალასანია, ხოლო „პატრიოტებს“ შეეძლოთ საერთო ენა, ბურჯანაძესთან თუ არა, რამდენიმე „ერთპროცენტიან“ პოლიტიკურ გაერთიანებასთან ეპოვათ, მაშინ ბარიერის გადალახვაზე ამდენი ნერვიულობა არ მოუწევდათ. თუმცა სიტუაციის არაადეკვატურმა აღქმამ და გადაჭარბებულმა წარმოდგენამ საკუთარ შესაძლებლობებზე ეს პარტიები სხვა გზით წაიყვანა. შედეგად, საკმაოდ მოტივირებული ამომრჩევლების ხმები (ჯამში, დაახლოებით 15%) „ჰაერში გაიფანტა“ — ისინი პარლამენტში წარმომადგენლების გარეშე დარჩნენ. ის, ვინც „უმაღლესი ლიგიდან“ გამოვარდა, მასში დაბრუნებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს, თუ ძალთა გაერთიანების აუცილებლობაზე არ დაფიქრდება.

**ლიბერალურმა პარტიებმა კრახი განიცადეს.** რესპუბლიკელებმა 2%-იც კი ვერ მოაგროვეს, მაჟორიტარულ ოლქებში ძალიან დამამცირებელი მარცხი იწვნიეს, რაც მათ მოწინააღმდეგეს სიამოვნებს. ისინი, ალბათ, უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ ეს პარტია ამიერიდან შეეცდება ჩაებღაუჭოს ყველა შესაძლებლობას, რათა საზოგადოების ყურადღების ცენტრში დარჩეს, „ნაციონალებმა“ კი ეს გარემოება შეიძლება გამოიყენონ (მაგალითად, „რუსთავი 2“-ის ქიბარ ხალვაშისთვის გადაცემის და თანმდევი კრიზისის დროს). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, არჩევნებში წარუმატებლობის მიუხედავად, **რესპუბლიკელები** კვლავინდებურად ითვლებიან სასურველ თანამოსაუბრეებად ვაშინგტონში. ასე რომ, ეს პოლიტიკური გაერთიანება ახლო მომავალში, სავარაუდოდ, „რადარებიდან“ არ გაქრება და მომავალი არჩევნებისთვის შეეცდება ახალი „ლოკომოტივი“, მძლავრი პარტნიორი პარტია მოძებნოს. რაც შეეხება ყოფილ „თავისუფალ დემოკრატებს“, მათი დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, **გიორგი მარგველაშვილის** სიახლოვეს აღმოჩნდება, რომელიც მომავალში, დიდი ალბათობით, ლიბერალურ, პროდასავლურ, სავსებით კონსტრუქციულ (და ივანიშვილისთვის უსაფრთხო) ოპოზიციურ პარტიას შექმნის. პოლიტიკურმა არაპროფესიონალიზმმა და გადაჭარბებულმა ამბიციებმა **ირაკლი ალასანია** საბოლოოდ პოლიტიკიდან წასვლამდე მიიყვანა, თუმცა უკან დაბრუნების, სულ ცოტა, ერთი მცდელობა, ალბათ, მაინც ექნება.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრობა“ დამარცხდა.** 27,12%-მა, რომელიც ცესკოს მონაცემებში აისახა, არ უნდა დაგვაბნიოს, რადგან ამ პარტიამ, ისევე როგორც ადრე, მხარდამჭერების ტოტალური მობილიზაცია შეძლო, მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა ნახევარი სახლში დარჩა (რეალურად „ნაცმოძრაობის“ ნიშა საერთო რაოდენობის 15%-17%-ს არ აღემატება). სააკაშვილმა ვერც ერთ რეგიონში, რომლებშიც რესურსების დიდი ნაწილი გამოიყენა (სამეგრელო, აჭარა), ვერ მოახერხა, გადამწყვეტი უპირატესობა მოეპოვებინა. შესაბამისად, შემცირდა იმის ალბათობა, რომ იქ რევოლუციური სცენარისთვის დაძაბულობის კერას შექმნის, თუმცა მარნეულში (36-ე ოლქში) განვითარებულმა მოვლენებმა და ხმების საერთო განაწილებამ ქვემო ქართლში უნდა დააფიქროს ხელისუფლება იმაზე, რომ ამ რთულ, ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში გაცილებით გააზრებული პოლიტიკაა გასატარებელი. 2012 წელს „ნაცმოძრაობამ“ პარლამენტში 32 მაჟორიტარი გაიყვანა, წელს ჯერჯერობით — არც ერთი, და მეორე ტურში გამარჯვების რეალური შანსი მხოლოდ რამდენიმე რაიონში აქვს. ამის გამო მისი წარმომადგენლობა პარლამენტში მნიშვნელოვნად შემცირდება და ეს პარტიის „პოლიტიკურ წონაზე“ აუცილებლად აისახება. საუბარი „ნაცმოძრაობის“ პესპექტივებზე შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის დაძლევს (თუ ამას მოახერხებს) კრიზისს, რომელიც **ბოკერიასა** და **სააკაშვილის** გარშემო გაერთიანებული ჯგუფების დაპირისპირებასა და მხარდამჭერების მზარდ იმედგაცრუებაში ვლინდება. მათი დიდი ნაწილი გულწრფელად ელოდა არჩევნების მოგებას, სააკაშვილის ჩამოსვლას, „ვარდების რევოლუცია2“-ს და ამის ნაცვლად მხოლოდ ლიდერების დაბნეული, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარები მიიღო.

**დამკვირვებლებმა არჩევნები დემოკრატიულად აღიარეს** და სააკაშვილმა „მაიდანის“ აგორებისთვის აუცილებელი კოზირი ვერ მიიღო. მთავარი კი, ალბათ, მაინც ხმების საერთო განაწილება იყო, აგრეთვე, ის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან წინასაარჩევნო აქციებზე ნაციონალებმა საკმარისი რაოდენობის ხალხი ვერ მიიყვანეს. შესაძლოა, სააკაშვილი მიხვდა, რომ მის ხელთ არსებული რესურსი ხელისუფლების შესაცვლელად არასაკმარისია. ამასთანავე, ზოგიერთი მათი აქტივისტი უშუალოდ არჩევნების წინ არეულობის მომზადების თაობაზე დაიკითხა, რამაც პარტიის წევრთა შემართებასა და განწყობაზე, სავარაუდოდ, დამთრგუნველად იმოქმედა. სააკაშვილმა პირწმინდად წააგო კამპანიის ფინალური ნაწილი თავისი სატელეფონო ჩანაწერებით, **გივი თარგამაძის** აფეთქებით, უძლური მუქარებით და ა.შ. ასე რომ, დამკვირვებლების (მთლიანობაში) დადებითი დასკვნა მისთვის მხოლოდ ერთ-ერთი, ბოლო დარტყმა აღმოჩნდა. ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ ერთობ იჩქარა, როდესაც საარჩევნო გარემო იდეალურად გამოაცხადა. მოხდა საკმაოდ სახიფათო ინციდენტები მარნეულისა და ზუგდიდის რაიონებში, არც ისე ცოტა იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზიც, რაც დამკვირვებელთა დასკვნებში აისახა.

**დესტაბილიზაციის საფრთხე კვლავაც არსებობს** — ის მხადაჭერა, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ მოიპოვა, აშკარად არასაკმარისია ხელისუფლებაში მოსასვლელად, მაგრამ მისი გამოყენება ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის სავსებით შესაძლებელია. პროვოკაციების საფრთხე შემცირებულია, მაგრამ სრულად განეიტრალებული არ არის. ამასთანავე, ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიება (თარგამაძის აფეთქება, „რევოლუციური თათბირი“ და ა.შ.), რათა აიცილოს ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციაზე ძალისმიერ ზეწოლას ახდენს. ამ ხერხს, სავარაუდოდ, აქტიურად გამოიყენებენ „ნაცმოძრაობის“ მოკავშირეები საზღვარგარეთ, „ევროპის სახალხო პარტიის“ ხელმძღვანელობა იქნება თუ სხვა. ამას ფსიქოლოგიური ფაქტორიც ემატება — დამარცხებულ, დამცირებულ სააკაშვილს, სავარაუდოდ, შურისძიება სწყურია.

**„პატრიოტთა ალიანსი“ კოაბიტაციას შეუტევს.** მის მცირერიცხოვან ფრაქციას (თუ ცესკოს მონაცემები კიდევ ერთხელ არ შეიცვალა) შეეძლება, საპარლამენტო ტრიბუნიდან გაახმოვანოს მათი წუხილი, ვინც „ოცნებას“ „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობა არ აპატია, შესაბამისი ემოციების მობილიზება მოახდინოს და მომავალი არჩევნებისთვის მხარდამჭერთა რაოდენობა გაზარდოს (თუ წინდახედულად იმოქმედებს). მეორე მხრივ, ივანიშვილის ხელისუფლება მიიღებს შესაძლებლობას, **ირმა ინაშვილისა** და მისი თანაპარტიელების რადიკალური მოთხოვნების ფონზე, თავისი პოლიტიკა ზომიერად წარმოაჩინოს. მარტივი მაგალითი — თუ ინაშვილი მოამზადებს „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის კანონპროექტს და 50 (პირობითად) ყოფილი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ საქმეების აღძვრას მოითხოვს, ხელისუფლება ამას, სავარაუდოდ, არ გააკეთებს, მაგრამ შეძლებს, შექმნას (მაგალითად) სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულთა შემსწავლელი კომისია და აღძრას 5 საქმე ისე, რომ მისი ქმედება ზომიერების გამოვლინებად წარმოჩინდეს (ისურვებს თუ არა ამის გაკეთებას, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ადრე ამ მხრივ უფრო შეზღუდული იყო). შესაძლოა, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს თავიდანვე საშინლად აღიზიანებდა პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსის“ შესვლის პერსპექტივა.

**„ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა.** თუ მეორე ტური მოსალოდნელი შედეგით დასრულდება, ის უპრობლემოდ დაამტკიცებს მთავრობას და ნებისმიერ სასურველ კანონს მიიღებს, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილმა,** ალბათ, არ უნდა დაივიწყოს, რომ რეალურად (დაბალი აქტიურობის გათვალისწინებით) მას ნდობა მხოლოდ ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა გამოუცხადა, ხოლო მისი ყოფილი მხარდამჭერების მნიშვნელოვანი ნაწილი „ჩუმი ბოიკოტის“ რეჟიმში გადავიდა. ამასთანავე, მოხდა ამომრჩეველთა საგულისხმო „როტაცია“ — „ოცნების“ მხარეზე გადავიდნენ ის კონფორმისტები, რომლებიც მუდამ ხელისუფლებას უჭერენ მხარს, ხოლო ბევრმა გულანთებულმა იდეალისტმა (მათ გარეშე ივანიშვილი 2012-ში ვერ გაიმარჯვებდა) მასზე ხელი ჩაიქნია. ეს გარემოება, რომელიც სათანადოდ გააზრებული ჯერ არ არის, მმართველ პარტიას მომავალში შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. საქართველოს უახლესი ისტორია ადასტურებს — რაც უფრო ბევრი საპარლამენტო მანდატი აქვს პარტიას და რაც უფრო დაცულად გრძნობს თავს, მით უფრო სწრაფი და მასშტაბურია მისი გახრწნის პროცესი, რომელიც 3-4 წელიწადში სრული კრახით სრულდება. თუ ბიძინა ივანიშვილს სურს, ხელისუფლება მომავალშიც შეინარჩუნოს, მმართველი პარტიის საფუძვლიანი რეფორმირება მოუწევს, რადგან ადგილობრივ და მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გამოსვლა იმავე შემადგენლობით, იდეებით, ტაქტიკური სქემებით, ძველი საფრთხობელებით, ნეპოტიზმითა და ზოგადი უნიათობით კარგს არაფერს მოუტანს. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო დამატებითი მანდატები, მაგრამ გაცილებით დიდი პასუხისმგებლობაც დაეკისრა და მკვეთრად შეეზღუდა შესაძლებლობა, საკუთარი წარუმატებლობა „ნაცმოძრაობის“ საბოტაჟს დააბრალოს. ის იძულებულია, გაატაროს სერიოზული რეფორმები და აღადგინოს სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებს.

**ლუკა ნემსაძე**

**არის თუ არა აშშ მზად იმისთვის, რომ საქართველოს გამო თუნდაც ერთი ჭურვი გაისროლოს? 2008 წლის აგვისტოს მაგალითი საპირისპიროზე მიუთითებს. ფიქრმა ამ თემაზე ქართველი საზოგადოება შეიძლება მიიყვანოს დასკვნამდე, რომ შეცვლილ რეალობაში ქვეყანამ უნდა იპოვოს ახალი ადგილი და როლი რეგიონულ პოლიტიკაში, რათა არც რუსეთმა და არც თურქეთმა მტრული ძალების პლაცდარმად არ განიხილონ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაზე შეთანხმდნენ პუტინი და ერდოღანი?

**რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ესკალაციამ სირიაში, პირველად „ცივი ომის“ შემდეგ, სამხედრო შეტაკების საფრთხის წინაშე დააყენა ორი ზესახელმწიფო. ამ დაპირისპირებამ საქართველოს, ისევე, როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებს, შეიძლება უმძიმესი შედეგი მოუტანოს.**



**როდესაც 1921-ში ბოლშევიკურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა საქართველოს ერთად შეუტიეს, მას, სხვა ყველაფერთან ერთად, მესამე მტრული ძალის, დასავლელი მოკავშირეების, პოტენციურ პლაცდარმად განიხილავდნენ. თუ «ერდოღანის თურქეთი» შეერთებულ შტატებთან და, საზოგადოდ, დასავლეთთან კონფორნტაციაში შევა (ამის ალბათობა ნამდვილად არსებობს), ხოლო რუსეთისა და თურქეთის დაახლოება გაგრძელდება, რეგიონულ პოლიტიკაში შეიძლება სარკისებურად აირეკლოს ასი წლის წინანდელი სიტუაცია**

**რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრა** 10 ოქტომბერს სტამბოლში გაიმართა. **პუტინმა** და **ერდოღანმა** კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ კრიზისი ორმხრივ ურთიერთობებში, რომელიც თურქების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას მოჰყვა, დაძლეულია. პრეზიდენტებმა არაერთ საკითხზე ისაუბრეს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, სტრატეგიული გაზსადენის „თურქული ნაკადის“ მშენებლობა და ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა იყო.

რაც შეეხება სირიის კონფლიქტს, მხარეები პოზიტიური, მაგრამ საკმაოდ ზოგადი ფორმულირებებით შემოიფარგლენენ. ამ შეხვედრის კვალობაზე, კომენტატორების ნაწილმა დაიწყო საუბარი იმაზე, რომ აშშ-რუსეთის კონფრონტაციის ფონზე ერდოღანი ცდილობს, მის ხელთ არსებული კოზირები გაათამაშოს და ორივე მხარისგან მაქსიმალური ბონუსები მიიღოს.

**რუსეთი ზრდის დაჯგუფებას სირიაში** — იქ მძლავრი საზენიტო კომპლექსები გადაისროლეს. იგეგმება დამატებითი თვითმფრინავების გაგზავნა, სირიის ნაპირებთან გაემართა კიდევ სამი ხომალდი რაკეტებით „კალიბრ-ნკ“. ამ დაჯგუფების მომარაგების, აგრეთვე, ასადის არმიისთვის იარაღის მიწოდების უმოკლესი გზა ბოსფორზე გადის, შესაბამისად, კრემლი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კრიტიკულ მომენტში თურქეთი მას არ დაბლოკავს. ამასთანავე, ორივე მხარეს სჭირდება კონსენსუსის მიღწევა ჩრდილოეთ სირიის იმ რაიონებზე, რომლებიც თურქეთის ინტერესების სფეროში შედის. თურქეთი, რასაკვირველია, ნატოს წევრად და აშშ-ის ფორმალურ მოკავშირედ რჩება, მაგრამ გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მისი ურთიერთობა დასავლეთთან მნიშვნელოვნად დაიძაბა და ერდოღანს მიეცა შესაძლებლობა, საგარეო პოლიტიკაში ლავირებას უფრო თამამად მიმართოს.

**ომი აშშ-სა და რუსეთს შორის**, რომელიც ახლო წარსულში ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნებოდა, გასულ კვირას სრული სერიოზულობით განიხილეს აშშ-ის არმიის ასოციაციის ყოველწლიურ თათბირზე. აშშ-ის არმიის შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა **ჯოზეფ ანდერსონმა** განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედება აშშ-ს „ეგზისტენციალურ საფრთხეს“ უქმნის. გენერალ-მაიორმა **უილიამ ჰიკსმა** აღნიშნა, რომ რუსეთისა და ჩინეთის არმიების მოდერნიზაციის გამო, მომავალი ომი „ექსტრემალურად მომაკვდინებელი და სწრაფი იქნება“ ისეთი ძალადობით, რომელიც კაცობრიობას II მსოფლიო ომის შემდეგ არ უნახავს. ხოლო აშშ-ის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა **მარკ მილიმ** დასძინა, რომ „ასეთი ომი პრაქტიკულად გარანტირებულია“. ეს არის ძალზე იშვიათი შემთხვევა, როდესაც ასეთი აპოკალიფსური პროგნოზებით არა გადამდგარი, არამედ მოქმედი სამხედროები გამოდიან.

**აშშ სირიის დაბომბვას აპირებს.** „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, გასულ კვირას თეთრ სახლში შედგა სახელმწიფო დეპარტამენტის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ეს საკითხი განიხილეს. მსჯელობა ამ თემაზე, სავარაუდოდ, უშიშროების საბჭოს ფორმატში გაგრძელდება. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, განიხილებოდა იერიში აეროდრომების წინააღმდეგ. სხვა გამოცემები ჰოპოთეზურ გეგმას უფრო დეტალურად აღწერენ, საუბარია შეტევაზე სამხედრო ნაწილებსა და კავშირგაბმულობის კვანძებზე 200-მდე ფრთოსანი რაკეტის, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ავიაციის გამოყენებით. კომენტატორების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ **ბარაკ ობამა** ასეთ მასშტაბურ შეტევას „მწვანეს“ არ აუნთებს, მითუმეტეს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაიმუქრა, რომ სირიაში ახლახან გადასროლილმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებმა შეიძლება ჩამოაგდონ ნებისმიერი „ამოუცნობი ობიექტები“, ხოლო დარტყმას ტერიტორიაზე, რომელსაც სირიის სამთავრობო ძალები აკონტროლებენ, ის განიხილავს, როგორც თავდასხმას რუსულ კონტინგენტზე.

ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ რუსეთი სირიის პორტ ტარტუსში სამხედრო-საზღვაო ბაზას შექმნის.

**ასადის ძალების წინსვლა ალეპოში** აშშ-რუსეთის ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. თუ სამთავრობო ჯარები შეტევას განაგრძობენ და რუსული ავიაციის დახმარებით ალეპოს სრულად გააკონტროლებენ, ეს პრინციპული მნიშვნელობის შედეგი იქნება და ასადის იზოლირება სამშვიდობო პროცესისგან პრაქტიკულად გამოირიცხება, რაც ამერიკელების ადრინდელი პოზიციის კრახს მოასწავებს. ვინაიდან პირდაპირი იერიშების მიტანა რუსეთთან შეჯახების საფრთხეს უკავშირდება, ამერიკელებმა შეიძლება მიმართონ ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, ავღანეთში აპრობირებულ ტაქტიკას და პირდაპირ ან მოკავშირეების ხელით (მეორე უფრო სავარაუდოა), ასადის მოწინააღმდეგეთა სწრაფი გაძლიერება სცადონ. ყატარის პრემიერ-მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ მისი ქვეყნის პატრონაჟის ქვეშ მყოფ სირიელ ოპოზიციონერებს ახლო მომავალში დიდძალ შეიარაღებას, მათ შორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს მიაწვდის.

ძნელი სათქმელია, რამდენად დროული იქნება ეს დახმარება, რადგან სიტუაცია ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილში კრიტიკულია. როგორც შუალედურ ვარიანტს, მხარეები განიხილავენ გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის — **სტეფან დე მისტურას** გეგმას, რომლის თანახმად ოპოზიციის მებრძოლებმა ალეპო უნდა დატოვონ. ასადი მიიღებს კონტროლს ქალაქზე, ხოლო მისი ოპონენტები — პროვინცია იდლიბში გადასვლის შესაძლებლობას, მაგრამ კონსენსუსის მიღწევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

**ერდოღანის მადა იზრდება** — სულ უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თურქები ჩრდილოეთ სირიაში ახალი ტერიტორიების დაკავებას აპირებენ. შეტაკებებმა პროთურქულ რაზმებსა და ქურთებს შორის ძალიან მძაფრი ხასიათი მიიღო და თურქული ჯარის მასშტაბური ჩარევისთვის სერიოზული საბაბი შექმნა. ოპოზიციის ძალების შესაძლო კოლაფსი ალეპოში ყველა მოთამაშეს კონტროლის ზონის გაფართოებისკენ უბიძგებს. ერდოღანისთვის მნიშვნელოვანია წარმატების მიღწევა საგარეო ფრონტზე, რათა თურქულ საზოგადოებაში პატრიოტული აღტკინების იმპულსი წარმოიშვას, რომელიც ხელს შეუწყობს ერის გაერთიანებას ლიდერის გარშემო. გადატრიალების წარუმატებელი მცდელობისა და შემდგომი რეპრესიების შემდეგ ეს თურქეთის პრეზიდენტს, სავარაუდოდ, ჰაერივით სჭირდება, რადგან საზოგადოების ნაწილი რეჟიმის გამკაცრების გამო აშკარად უკმაყოფილოა. თეთრი სახლი ცდილობს, შეაკავოს **ერდოღანი**, რადგან არ სურს, მან სირიაში დამოუკიდებელი თამაში აწარმოოს. თურქების შემდგომი წინსვლა სირიაში ქურთებს მთლიანად ამ საფრთხეზე „გადართავს“ და ვაშინგტონს მათი გამოყენება გაუჭირდება. აშკარაა ისიც, რომ ჩრდილოეთ სირიაში „თურქული ზონის“ გაფართოება მოხდება ან რუსეთ-თურქეთის კონფრონტაციის ან პირიქით — ურთიერთგაგების პირობებში და, შესაძლოა, ეს საკითხი იყო ერთ-ერთი მთავარი პუტინი ერდოღანის შეხვედრის დღის წესრიგის „დახურულ ნაწილში“. მთავარი კითხვა, რომელიც ამ შეხვედრის შემდეგ შეიძლება დაიბადოს შემდეგია: მივლენ თუ არა მთავარი რეგიონული მოთამაშეები სირიის კონფლიქტის დარეგულირების შემდეგ ფორმულამდე „ყველა მინუს ამერიკა“?

**საქართველო რთულ მდგომარეობაშია.** მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას ქართველ საზოგადოებას, არჩევნების გარდა, არაფერი აინტერესებდა, ადგილობრივმა კომენტატორებმა მაინც „შენიშნეს“ როგორც ესკალაცია აშშ-რუსეთის ურთიერთობებში, ისე ერდოღანის შეხვედრა პუტინთან. საინტერესოა, რომ მათ აშინებთ როგორც რუსეთისა და თურქეთის ინტერესების თანხვედრა (ის 1921 წლის მოვლენებს ახსენებს), ისე მკვეთრი კონფრონტაცია ამ ორ ქვეყანას შორის, რადგან მან შეიძლება საქართველო ბრძოლის ველად გადააქციოს. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იდეალურად მათ შუალედური, „ნელ-თბილი“ მდგომარეობა მიაჩნიათ, როდესაც საქართველოს შეეძლება, ორ დიდ მეზობელს შორის გეოეკონომიკური ხიდის, დამაკავშირებელი რგოლის როლი შეასრულოს. აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია დაფიქრება შემდეგ გარემოებაზე: როდესაც 1921-ში ბოლშევიკურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა საქართველოს ერთად შეუტიეს, მას, სხვა ყველაფერთან ერთად, მესამე, მტრული ძალის — დასავლელი მოკავშირეების პოტენციურ პლაცდარმად განიხილავდნენ. თუ „ერდოღანის თურქეთი“ შეერთებულ შტატებთან და, საზოგადოდ, დასავლეთთან კონფრონტაციაში შევა (ამის ალბათობა ნამდვილად არსებობს), ხოლო რუსეთისა და თურქეთის დაახლოება გაგრძელდება – რეგიონულ პოლიტიკაში შეიძლება სარკისებურად აირეკლოს ასი წლის წინანდელი სიტუაცია.

**დასავლეთის პლაცდარმი თუ სამიზნე?** — ჩვენი ქვეყნის როლის განსაზღვრა მომავალში შეიძლება გართულდეს. 1921 წელს, როდესაც დასავლელ მოკავშირეებს სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოში რეალური კონკურენტი არ ჰყავდა, მათ საქართველოს დაცვით თავი არ შეიწუხეს. მართალია, მათმა ხომალდებმა დაბომბეს ბოლშევიკების ძალები, რომელსაც მეტწილად სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ მოვლენათა დრამატულ განვითარებაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. არის თუ არა აშშ მზად იმისთვის, რომ საქართველოს გამო თუნდაც ერთი ჭურვი გაისროლოს? 2008 წლის აგვისტოს მაგალითი საპირისპიროზე მიუთითებს. ფიქრმა ამ თემაზე ქართველი საზოგადოება შეიძლება მიიყვანოს დასკვნამდე, რომ შეცვლილ რეალობაში ქვეყანამ უნდა იპოვოს ახალი ადგილი და როლი რეგიონულ პოლიტიკაში, რათა არც რუსეთმა და არც თურქეთმა მტრული ძალების პლაცდარმად არ განიხილონ. სიტუაციის აღქმა შეიძლება დაამძიმოს ცნობებმა სირიიდან, სადაც ამერიკელები ვერ ახერხებენ თავიანთი მოკავშირეების, სირიელი ოპოზიციონერების, დაცვას და ისინი „იხარშებიან“ აღმოსავლეთ ალეპოში, როგორც „სტალინგრადის ქვაბში“. ის გარემოება, რომ საქართველოს მომავალი მიება მოვლენების განვითარებას თურქეთში და ამ ქვეყნის შესაძლო დაპირისპირებას დასავლეთთან, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა არამყარ ფუნდამენტზე დგას. შესაბამისად, საჭიროა შექმნილი ვითარების კრიტიკული გააზრება და ახალი სტრატეგიის შემუშავება.

**ლუკა ნემსაძე**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მეორე ადგილზე გასული ყოფილი მმართველი პარტია არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკობს, მაგრამ, რაც უნდა პარადოქსული იყოს, შედეგების გაუქმებაზე არაფერს ამბობს. უბნებიდან მოსული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ეს ორი პარტია შეთანხმებულად მოქმედებდა და იყოფდა სხვა პარტიების კუთვნილ ხმებს, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე.**

# კოჰაბიტაციის ბრწყინვალე დაგვირგვინება

**საპარლამენტო არჩევნების ყველაზე უარესი შედეგები უკვე გამოცხადდა. მიუხედავად ყველა პროგნოზისა, რომელთა თანახმად პარლამენტში ოთხი ან ხუთი პარტია უნდა შესულიყო, ფაქტობრივად, მივიღეთ ორპარტიული პარლამენტი, „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობითა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არარეალურად მაღალი — 27% პროცენტით. ამ პარტიის ერთიანობაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი — სამი მომქანცველი დღით ბარიერის ზღურბლზე შეყაყებული „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ: მათ 5 პროცენტი აკმარეს, რაზეც დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ, თუმცა „ალიანსი“ პარლამენტში შევა, მაგრამ არჩევნების შედეგებზე კითხვები მაინც აქვს.**

კითხვები ყველა სხვა სუბიექტსაც აქვს, თუმცა ბურჭულაძის პარტიისა და „თავისუფალი დემოკრატების“ რღვევამ (შესაბამისად, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ) ისიც განაპირობა, რომ დარღვევებსა და აშკარა უკანონობაზე მათ არაფერი უთქვამთ. სამაგიეროდ, აქტიურობს **მიხეილ სააკაშვილი** და, როგორც სჩვევია, პირველ ადგილს მოითხოვს. თურმე, ნუ იტყვით, მის პარტიას „ქართული ოცნება“ დაუმარცხებია და არჩევნები გაუყალბეს.

გაყალბების დიდოსტატი სააკაშვილი იმასაც მოითხოვს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში არ შევიდეს, ხოლო მაჟორიტარებმა მეორე ტურში მონაწილეობა არ მიიღონ. ერთ დროს ერთიან „ნაციონალურ მოძრაობაში“ აზრი მყისვე გაიყო. ნამინისტრალი მეცნიერის, ნაცმოს მხურვალე მხარდამჭერ **გია ნოდიას** მოსაზრებით, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უნდა შევიდეს, ხოლო მიხეილ სააკაშვილს ამ პარტიის ხელმძღვანელობაზე არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია. **გია ნოდიას თქმით, ოდესის ოლქის გუბერნატორობა და საქართველოში პარტიის ხელმძღვანელობა ერთმანეთთან შეუთავსებელია:**

„ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ეს 27% მიხეილ სააკაშვილის რეიტინგია თუ პარტიის. არ არის აუცილებელი, მიხეილ სააკაშვილი პარტიას ჩამოშორდეს, დაუპირისპირდეს და გაემიჯნოს, ხელმძღვანელობაზე არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია. პარტიას რომ დაუპირისპირდეს, ძალიან მტკივნეული იქნება. შეიძლება ის იყოს ასოცირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ პრეტენზია არ ჰქონდეს პარტიის საქმიანობის წარმართვაზე. მას მოწოდებები აქვს, მაგრამ შემდეგ პარტია მას დიდად არ უჯერებს. ეს იწვევს გაუგებრობას და ბუნდოვანებას, მესიჯების არა თანხვედრას, სწორედ ამიტომ არის საჭირო, მან თავი შეიკავოს“.

ეს მხოლოდ ნოდიას მოსაზრება როდია. არავისთვისაა დაფარული, რომ **გიგა ბოკერიას** აზრი სააკაშვილის საპირისპიროა. ის ფარული ჩანაწერიც, რომელშიც ბოკერიას მიმართ საყვედურები ისმოდა, პირდაპირ მიანიშნებდა, რომ **„ბოკერია ივანიშვილთან თანამშრომლობაზე მიდის“.**

გარიგებაში „ოცნებასა“ და ნაციონალებს **ნინო ბურჯანაძე** პირდაპირ ადანაშაულებს: „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გარიგდნენ და ორივემ გადაინაწილა ოპოზიციური პარტიების ხმები. არ დატოვოთ საქართველო ორი პარტიის იმედად. 4 წელი ვაფრთხილებდით საქართველოს კოაბიტაციის მძიმე შედეგების შესახებ. **ასე თუ გაგრძელდა, ქვეყანა თურქმენიზაციის გზით წავა, როცა ერთ ადამიანს შეუძლია გამოცვალოს პრეზიდენტი, მთავრობა, სასამართლო, ტელევიზიები და იყიდოს ამომრჩევლებიც. ეს საშიშია ქვეყნის მომავლისთვის. ეს ადრე თუ გვიან დამთავრდება, მაგრამ ქვეყნისთვის რთული რეალობის ფასად“**, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**„ორი პარტიის ამარა“ ქვეყანას ის პოლიტიკური ორგანიზაციები ტოვებენ, რომლებიც ხმას არ იღებენ თვალსაჩინო დარღვევებსა და შედეგებით მანიპულირებაზე. თუმცა, როგორც ირკვევა, ნინო ბურჯანაძეს კონსულტაციები აქვს ყველა ოპოზიციურ ძალასთან და ისინი სასამართლო პროცესებში მესამე მხარედ ჩაერთვებიან. ასობით სარჩელის მომზადების რესურსი დღეს მხოლოდ ბურჯანაძის პარტიას აღმოაჩნდა.**

ძნელი სავარაუდოა, რომ რესპუბლიკელებს დარღვევები გამოეპარათ, მაგრამ გაყალბებაზე ისინი საჯაროდ არ ლაპარაკობენ. მიაჩნიათ, რომ კარგად უნდა გააანალიზონ, ოღონდ იმ დროისთვის გასაჩივრების ყველა ვადა უკვე გასული იქნება.

პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა** ერთობ საგულისხმო განცხადება გააკეთა: „შემაშფოთებელია, როდესაც არჩევნების შედეგების გამოქვეყნების პროცესში აშკარად იგრძნობოდა ფარული ხელი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსახლეობას არჩევნების საბოლოო შედეგების თაობაზე ინფორმაცია მიგველო გარკვეული პორციებით. ეს დაუშვებელია“.

ეს „ფარული ხელი“ საქართველოში მხოლოდ ერთ კაცს რომ ეკუთვნის, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ რა ვუყოთ არჩევნების აშკარად არარეალურ შედეგებს? უსუფაშვილი გვირჩევს, რომ კომპეტენტურ ორგანოებს დაველოდოთ: **„საარჩევნო პროცესში ბევრი ხარვეზი იყო, იყო სერიოზული ხარვეზებიც, იყო დანაშაულის ნიშნებიც, რომელთა თაობაზეც, ალბათ, ვიხილავთ კომპეტენტური ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებებს, მაგრამ არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესის ან არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს. არჩევნები შედგა, არჩევნები დასასრულებელია“.**

ახლა გია ნოდიას შეფასება მოვისმინოთ: „ქართულმა ოცნებამ“ რეალურად მოიგო. საერთაშორისო საზოგადოება შეიძლება რაღაც ფაქტორების გამო კრიტიკული იყოს არჩევნების რაღაც მხარეების გამო, მაგრამ თავისთავად „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება რევოლუციურ სცენარზე არ ფიქრობს. პარლამენტში რომ არ შედიხარ, გამოდის, ქუჩის ოპოზიცია ხდები და ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ დაასუსტებს“.

ერთი სიტყვით, **დემოკრატიის მამები მოგვიწოდებენ, შეეგუეთ შედეგებსო. ამ ვითარებაში წინააღმდეგობისა და ბრძოლის ერთადერთ კერად ნინო ბურჯანაძის პარტია რჩება. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ მისი საარჩევნო სიის პირველ ათეულში ვარ, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკური პროცესის კვდომა საქართველოში უკვე დაწყებულია.**

ახლა — დარღვევების შესახებ:

*** არაერთ საარჩევნო ოლქში უბნებზე დათვლილი ბიულეტენების რაოდენობა აღემატება მისული ამომრჩევლის რაოდენობაზე;**

*** უბნების 40%-ზე მეტში ოქმები დაუბალანსებელია;**

*** მთელი ქვეყნის მასშტაბით საუბნო ოქმებში ერთმანეთს არ ემთხვევა მოსული ამომრჩევლის, ბიულეტენებისა და მიღებული ხმების რაოდენობა;**

*** იმ უბნებზე, სადაც მაჟორიტარი კანდიდატები ოჯახებით ცხოვრობენ, ოქმებში 0 ან 1 ხმა არის დაფიქსირებული;**

*** წალენჯიხაში ცოლმა გარდაცვლილი მეუღლის მაგივრადაც მისცა ხმა;**

*** ცალკეულ შემთხვევებში საუბნო ბიულეტენის მონაცემები არ ემთხვევა ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს;**

*** საქართველოს მასშტაბით ბათილი ბიულეტენების რაოდენობამ 62 ათას 260-ს მიაღწია (საშუალოდ თითო უბანზე 700-800, ბიულეტენების საერთო რაოდენობის 3,43%), რაც ასევე ბადებს არჩევნებით მანიპულირების დასაბუთებულ ეჭვს.**

*** არჩევნების დღეს, 17 საათის მონაცემებით, უბნებზე მისული იყო 1 მილიონ 477 ათას 262 ამომრჩეველი, ხოლო 20 საათის მონაცემებით ეს რიცხვი 1 მილიონ 814 ათას 276-მდე გაიზარდა. ანუ სამი საათის განმავლობაში უბნებმა გაატარეს 337 ათას 17 ადამიანი, რაც ფიზიკურად შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო პროცედურების შესრულებას თითო ამომრჩევლისთვის, სულ ცოტა, 2 წუთი სჭირდება.**

*** რამდენიმე უბნის შედეგები გაუქმდა თვალსაჩინო დარღვევების გამო და ა.შ. და ა.შ.**

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** ბოლო სამ არჩევნებზე უტყუარ პროგნოზებს აკეთებს: საპრეზიდენტო არჩევნებზე მან საკუთარ კანდიდატს „60%-ზე მეტი“ უწინასწარმეტყველა (შედეგი 63% აღმოჩნდა), ადგილობრივზე — თბილისის მერობის თავისი კანდიდატის „პირველ ტურში გამარჯვება“, ხოლო 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე — „ქართულ ოცნებას“ 53% (წინასწარი შედეგებით „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ 53% მიიღო). ივანიშვილი დაგვპირდა, რომ „ოცნება“ 100 დეპუტატს შეიყვანდა და ეს „პროგნოზიც“ გამართლდა.

**მეორე ადგილზე გასული ყოფილი მმართველი პარტია არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკობს, მაგრამ, რაც უნდა პარადოქსული იყოს, შედეგების გაუქმებაზე არაფერს ამბობს. უბნებიდან მოსული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ეს ორი პარტია შეთანხმებულად მოქმედებდა და იყოფდა სხვა პარტიების კუთვნილ ხმებს, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე.**

კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ ხედავენ არჩევნების შედეგებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. დსთ-ს საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ **ლეონიდ კალაშნიკოვმა** განაცხადა: „ვფიქრობ, არჩევნების შედეგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის სურვილზე, რადგან არჩევანი მხოლოდ ორ პარტიას შორის გაკეთდა. პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ დიდი სხვაობით გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი გვარწმუნებდა გამარჯვებაში და ქუჩაში გამოსვლებისკენაც მოუწოდებდა ხალხს, მაიდანის რევოლუციის მსგავსად, ხალხმა არჩევნებით ამაზე უარი თქვა. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აღიარებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებას, მაგრამ ეს ნათელი ნიშანია იმის, რომ უნდა ვეძებოთ კომპრომისები. კომიტეტში მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთ კვირაში ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე იქნება მოხსენება და შევეცდებით დავამყაროთ ურთიერთობა ქართველ პარლამენტარებთან“.

მის განცხადებას „ქართული ოცნებიდან“ **გია ვოლსკი** გამოეხმაურა: „საქართველო არის ევროკავშირის წევრი (აქ მიხვდა, რომ ნამეტანი მოუვიდა და შეასწორა — ნ.დ.)... ასოცირებული წევრი(?). მართალია, ფაქტია, რომ სავაჭრო ხელშეკრულება არსებობს, თუმცა ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ის მოლაპარაკებები, რომლებსაც მხარს უჭერს ბრიუსელიც და ვაშინგტონიც, უნდა გაგრძელდეს. დიპლომატიური ურთიერთობები, მაშინ, როდესაც დიპლომატიური წარმომადგენლობები არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სრულიად გამორიცხულია“.

შეგახსენებთ, რომ **ბურჯანაძის პარტიას პრორუსულობის იარლიყს ის პირები აწებებდნენ, რომლებიც პოლიტიკურ გასაჭირში სწორედ რუსული თემით სპეკულირებენ. და მაინც, როგორ მოხდა, რომ მათივე გამოკითხვებით, საქართველოში 30%-ზე მეტი პრორუსული ამომრჩეველი ხმას სწორედ მათ აძლევს, ვისაც საქართველო ევროკავშირის (ზოგსაც — ნატოს) წევრი ქვეყანა ჰგონია?**

ამას უბნებზე ხმების გადათვლა გვიჩვენებს, ისევე, როგორც სხვა ბევრ სიურპრიზს.

**აქტიურობს მიხეილ სააკაშვილი და, როგორც სჩვევია, პირველ ადგილს მოითხოვს. თურმე, ნუ იტყვით, მის პარტიას «ქართული ოცნება» დაუმარცხებია და არჩევნები გაუყალბეს. გაყალბების დიდოსტატი სააკაშვილი იმასაც მოითხოვს, რომ «ნაციონალური მოძრაობა» პარლამენტში არ შევიდეს, ხოლო მაჟორიტარებმა მეორე ტურში მონაწილეობა არ მიიღონ. ერთ დროს ერთიან «ნაციონალურ მოძრაობაში» აზრი მყისვე გაიყო. ნამინისტრალი მეცნიერის, ნაცმოს მხურვალე მხარდამჭერ გია ნოდიას მოსაზრებით, «ნაციონალური მოძრაობა» პარლამენტში უნდა შევიდეს, ხოლო მიხეილ სააკაშვილს ამ პარტიის ხელმძღვანელობაზე არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია**

„როდესაც პარლამენტში შედის ერთადერთი ძალა და მას აქვს საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანის უფლება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში დიქტატურა დაისადგურებს. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში ნაციონალებიც იქნებიან და თითო-ოროლა „პატრიოტიც“, ერთპარტიული სისტემა და ერთმმართველობა მაინც გარდაუვალია. ერთმმართველობა კი, როგორც წესი, მიუღებელია იმ სივრცისთვის, რომლისკენაც ქვეყანა მიდის, ანუ ევროატლანტიკური სივრცისთვის“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ბიძინა ივანიშვილმა მიიღო პარლამენტი, რომელიც მისი ყველა ხუშტურის გამტარებელი იქნება

**საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. სულ რამდენიმე დღეა, რაც ახალი, მე-9 მოწვევის პარლამენტი ავირჩიეთ. ჯერ კიდევ სრულად არ არის გარკვეული, შეძლებს თუ არა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „ქართული ოცნება“, მაგრამ, სავარაუდოდ, ქვეყნის მომავალმა სპიკერმა ირაკლი კობახიძემ უკვე განაცხადა, რომ პირველი, რასაც გააკეთებენ, პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა იქნება.**

**საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის თითქმის ყველა ბერკეტი. საქართველო, ფაქტობრივად, საპარლამენტო მმართველობის ქვეყნად იქცა, თუმცა 2013 წელს პრეზიდენტ მარგველაშვილის არჩევა ისევ პირდაპირი წესით მოხდა, მისი ლეგიტიმაცია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სხვა, რომელიმე ხელისუფლის.**

**„თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მით უმეტეს — გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბლინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.**

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს“, — ეს პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებია, რომელიც 2013 წლის თებერვალში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას განაცხადა.**

**უკვე ჩავლილ არჩევნებსა და მის შედეგებზე, აგრეთვე, მოსალოდნელ საკონსტიტუციო ცვლილებებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ჰამლეტ, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, მოსახლეობამ აირჩია მე-9 მოწვევის პარლამენტი, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა და, რაც მთავარია, ამერიკის ელჩმა, დემოკრატიულად არჩეულად ჩათვალა...**

— კი, თუ ჩვენს ქვეყანას ქვეყანა ჰქვია, მაშინ არჩევნები ნამდვილად ჩატარდა.

**როდესაც პარლამენტში შედის ერთადერთი ძალა და მას აქვს საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანის უფლება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში დიქტატურა დაისადგურებს. იმის მუხედავად, რომ პარლამენტში ნაციონალებიც იქნებიან და თითო-ოროლა „პატრიოტიც“, ერთპარტიული სისტემა და ერთმმართველობა მაინც გარდაუვალია. ერთმმართველობა კი, როგორც წესი, მიუღებელია იმ სივრცისთვის, რომლისკენაც ქვეყანა მიდის, ანუ ევროატლანტიკური სივრცისთვის.**

ევროპაში იშვიათად ხდება, რომ ერთმა პარტიამ მოახერხოს იმდენი ხმის დაგროვება, რომ წარმართოს ერთპიროვნული საპარლამენტო მოღვაწეობა.

ივანიშვილმა მოახერხა ის, რასაც ოთხი წლის წინათ ამბობდა — ყველა პარტია უნდა გაიკრიფოს და ქვეყანაში მხოლოდ ორი პარტია დარჩესო. ეს ორი პარტიაც თავიდანვე განსაზღვრა და სწორედ ამიტომ არ ჩაძირა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც მხარს უჭერდა და უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, და მეორე — თავისავე შექმნილი „ოცნება“, რომელიც ახლა უკვე თითქმის ყოფილი ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.

**«ივანიშვილმა მოახერხა ის, რასაც ოთხი წლის წინათ ამბობდა — ყველა პარტია უნდა გაიკრიფოს და ქვეყანაში მხოლოდ ორი პარტია დარჩესო. ეს ორი პარტიაც თავიდანვე განსაზღვრა და სწორედ ამიტომ არ ჩაძირა «ნაციონალური მოძრაობა», რომელსაც მხარს უჭერდა და უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, და მეორე — თავისივე შექმნილი «ოცნება», რომელიც ახლა უკვე თითქმის ყოფილი ნაციონალებით არის დაკომპლექტებული»**

**— თუ ევროპაში ასე არ ხდება და ეს არჩევნები დემოკრატიული არ არის, მაშ, რატომ განაცხადეს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა?**

— ამერიკელების ნამდვილად არ დაიჯერება. **შეხედეთ, რა ხდება ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ: საკუთარ ქვეყანაში ელემენტარული, პრიმიტიული დემოკრატიაც კი არ აქვთ. შეხედეთ, რა კამპანია მიმდინარეობს იმ კანდიდატის წინააღმდეგ, რომლის არჩევაც არ სურთ. დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ მუშაობს მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი. ასე რომ, ამერიკელების აზრის გაზიარება დემოკრატიაზე უადგილოა.

**საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონს ოდნავ აჭარბებს, ხელისუფლება კი ამბობს, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა სამმილიონ-ნახევარია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა ემთხვეოდეს, ამომრჩეველთა რაოდენობას. ასეთი სისულელე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, მაგრამ ეს ფაქტი აქ მოქმედმა არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ გააპროტესტა.**

მნიშვნელოვანი დარღვევა იყო ისიც, რომ მიმდინარეობდა **ადამიანების მასობრივი ჩაწერა ბინებში მეპატრონისგან, მესაკუთრისგან დამოუკიდებლად.** ეს უდიდესი დანაშაულია და არა დარღვევა, რაზეც ყურადღება არც ერთ პარტიას არ გაუმახვილებია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ **ჟურნალისტს**, რომელიც არჩევნებში რაიმე ფორმით მონაწილეობდა, გადაცემის წაყვანა აუკრძალეს, უთხრეს, რომ ეს პროპაგანდაა. მაგალითისთვის **ბონდო მძინარაშვილსა** და **ვალერი კვარაცხელიას** დავასახელებ. მაგრამ თვენახევრის განმავლობაში ეკრანიდან არ ჩამოსულა **ბიძინა ივანიშვილი**, თანაც ის მხოლოდ თავის ტელევიზიაში კი არ იჯდა, ყველგან იყო და წინასაარჩევნო პროპაგანდას ეწეოდა. არც ამაზე უსაუბრია ვინმეს, არავის უთქვამს, რომ ეს საზიანო იყო, თუმცა ყველა ელოდა, რომ ტელევიზიების წინ საპროტესტო აქციები გაიმართებოდა და ივანიშვილის პროპაგანდის აკრძალვას მოითხოვდნენ.

ივანიშვილის გამოსვლების აკრძალვას საქართველოს მოსახლეობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც თვით ივანიშვილი უმწიფარს უწოდებს.

გარდა ამისა, იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და კიდევ ის, რაზეც **უცხოელი ჟურნალისტები წერენ, რომ ივანიშვილმა მილიონი დოლარი გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა არჩევნების შედეგები იმავე დღეს არ გამოცხადებულიყო. ჩვენ ვიცით, რომ არჩევნების შედეგების დათვლას არ სჭირდება სამი და ოთხი დღე.**

ამ ყველაფრის შემდეგ, რაც ჩამოვთვალეთ, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს მაინც დაერქვა დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები, რადგან ერთმანეთი არ დავხოცეთ და ცეცხლის ალში არ გავეხვიეთ, თუმცა არც უმაგისობა იყო, მაგრამ თითოოროლა შემთხვევას საქართველოსთვის არა უშავს...

**— რას უნდა ველოდოთ ახალი პარლამენტისგან? უმრავლესობით მოსულმა ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ პირველი, რასაც გააკეთებს, პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა იქნება. ამაზე „ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა და, სავარაუდოდ, მომავალმა სპიკერმა ირაკლი კობახიძემ ისაუბრა.**

— ბიძინა ივანიშვილმა საბოლოოდ მიიღო ის პარლამენტი, რომელიც მისი ყველა „ხუშტურის“ გამტარებელი იქნება. სწორედ ასეთ პარლამენტზე ოცნებობდა ის 2012 წელს, მაგრამ მაშინ ვერ მოახერხა.

**— ბატონო ჰამლეტ, 2013 წლის თებერვალში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ქვეყნის მოწყობის საკითხზე, პრეზიდენტის ფუნქციებსა და ა.შ. თავისი თვალსაზრისი გაუზიარა საზოგადოებას. არც ერთი რაციონალური და უდავოდ საინტერესო წინადადება, რომლებსაც ის ხელისუფლებას სთავაზობდა, ამ უკანასკნელმა ყურად არ იღო. მეტიც, ივანიშვილმა ჯერ მარგველაშვილი აარჩევინა ხალხს ხელების გადაგრეხვით და მერე მოჰყვა თავში ცემას — ეს რა ვქენი, რა უვარგისი აღმოჩნდა პრეზიდენტიო. დღეს, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ თავისით მივიდა დასკვნამდე, რომ არსებული მოდელი შესაცვლელია.**

— ალექსანდრე ჭაჭიას ვეთანხმები, მაგრამ არა საქართველოსა და ივანიშვილის შემთხვევაში, ჭაჭია ნორმალურ ქვეყნებს გულისხმობს, როდესაც ამ თემაზე საუბრობს, მაგრამ ჩვენ ხომ ნორმალური ქვეყნების სიაში არ შევდივართ...

ივანიშვილს სურს, რომ საქართველოს ჰყავდეს ამ პარლამენტის მიერ არჩეული „ოცნებისტი“ პრეზიდენტი, რომელიც პირველივე დღეს დათმობს იმ ყბადაღებულ სასახლეს, რომელშიც მარგველაშვილი ცხოვრობს და რომელიც, რასაც ივანიშვილი ჩასძახებს, ქვევრივით იმავეს ამოსძახებს. ასეთი პრეზიდენტისგან კი (გინდა, პირდაპირი წესით აირჩიე და გინდა, პარლამენტს აარჩევინე) ხეირი ნულის ტოლია. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ივანიშვილს სახელმწიფოებრივი გათვლები არ აქვს — მისი მსოფლმხედველობა საკუთარი თავისა და საკუთარი კაპიტალის უსაფრთხოების იქით არ მიდის. **ივანიშვილს სჭირდება მორჩილი პარლამენტი, დამჯერი აღმასრულებელი ხელისუფლება და ყურმოჭრილი პრეზიდენტი, ბუტაფორია, ასეთი ეგონა კიდეც მარგველაშვილი, რომელიც ძალით აგვარჩევინა, მაგრამ არ გამოადგა...**

**«ივანიშვილს სახელმწიფოებრივი გათვლები არ აქვს. ის არ ფიქრობს საქართველოზე და, საერთოდ, რაიმე ქართულზე. მისი მსოფლმხედველობა საკუთარი თავის იქით არ მიდის, ამიტომ სჭირდება დამჯერი აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტი კი — ბუტაფორია»**

**— გასტანს ახალი პარლამენტი ოთხ წელიწადს?**

— რატომაც არა, ხელს ვინ შეუშლის? საქმე ისაა, რომ ხალხი ლუკმაპურისთვის იბრძვის, ამიტომ ასეთ საზოგადოებას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად არც დრო აქვს და არც შესაძლებლობა, მხოლოდ ჭამაზე ფიქრობს. ასე იყო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და, თუ ამას წინა 9 წელიწადს დავუმატებთ, ძნელი სათქმელია, რომ საქართველოში რაიმე პოლიტიკური ექსცესი მოხდეს. ჩვენ უმძიმესი წლები გამოვიარეთ, ეს კი ივანიშვილს აძლევს იმის საშუალებას, რომ ქვეყანა მართოს ისე, როგორც გაუხარდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ე.წ. პროდასავლური და ლიბერალური ორიენტაციის პარტიებისადმი, პრაქტიკულად, უმნიშვნელო მხარდაჭერა, რომელიც სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა, რადგან ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ქვეყნის საგარეო ორიენტაციაზე, ნატოსა და ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრებაზე.**

„არჩევნებზე რამე რომ იყოს დამოკიდებული, მასში მონაწილეობის უფლებას ჩვენ არ მოგვცემდნენ“.

მარკ ტვენი

# პალატა №41

**8 ოქტომბერს საქართველოში მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნები გაიმართა. კენჭისყრაში, ოფიციალური მონაცემებით, 3 513 884 ამომრჩევლიდან მონაწილეობდა 1 814 276 (51,63%), რომლებსაც 25 საარჩევნო სუბიექტიდან — 19 პარტია და 6 ბლოკი — ერთ-ერთისთვის უნდა დაეჭირათ მხარი. პარლამენტის არჩევნებთან ერთად ჩატარდა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც.**
**ამას გარდა, ქვეყნის სხვადასხვა საარჩევნო ოლქში გაიმართა საკრებულოს შუალედური, აგრეთვე, მერისა და გამგებლის არჩევნებიც.**



**2016 წლის არჩევნებში, 2012 წლის არჩევნებთან შედარებით, 8,37%-ით ნაკლები ამომრჩეველი მონაწილეობდა, ანუ 1 814 276, მათგან მხოლოდ 856 529 კაცმა (ანუ 6,32%-ით ნაკლებმა) დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პარტია არჩეულია კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 1/3-ის მიერ**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 11 ოქტომბრის მონაცემებით, პროპორციული საპარლამენტო არჩევნების 77 მანდატისთვის ბრძოლაში 41-ე ნომრით განთესილ **„ქართულ ოცნებას“** ამომრჩეველთა **48,67%**-მა (856 529 ადამიანი) დაუჭირა მხარი, **„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“** — **27,11%**-მა (477 147), **„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებულ ოპოზიციას“** — **5,01%**-მა (88 109). არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებმა 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს.

მაჟორიტარი დეპუტატის 73 მანდატისთვის ბრძოლაში ცნობილია 23 გამარჯვებული — 23-ვე მანდატი „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა მოიპოვეს.

50 მაჟორიტარული ოლქიდან, სადაც არჩევნების მეორე ტური უნდა გაიმართოს, 44-ში ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები დაუპირისპირდებიან. 6 მაჟორიტარულ ოლქში კი მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ „ქართული ოცნებისა“ და სხვა პარტიის, „ქართული ოცნებისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატი ან „ნაციონალური მოძრაობისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატი. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღეს უნდა გაიმართოს, ანუ არაუგვიანეს 2 ნოემბრისა.

პარლამენტს მუშაობის დაწყება, სულ მცირე, 100 დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის შემთხვევაში შეუძლია.

აი ასეთია 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, „ქართულ ოცნებას“, დიდი ალბათობით, სულ ცოტა, 110 დეპუტატი მაინც ეყოლება პარლამენტში, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობაა.

ამას „ქართული ოცნება“ ელექტორატის იმაზე ნაკლები მხარდაჭერით მოახერხებს, ვიდრე 2012 წელს ჰქონდა: 2012 წელს არჩევნებში მონაწილეობდა 2 197 243 ამომრჩეველი (60%), მათგან „ქართულ ოცნებას“ მხარი დაუჭირა 1 181 862-მა (54,97%), „ნაციონალურ მოძრაობას“ კი — 867 432-მა (40,34%)

**ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ 2016 წლის არჩევნებში, 2012 წლის არჩევნებთან შედარებით, 8,37%-ით ნაკლები ამომრჩეველი მონაწილეობდა, ანუ 1 814 276, მათგან მხოლოდ 856 529 კაცმა (ანუ 6,32%-ით ნაკლებმა) დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პარტია არჩეულია კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 1/3-ის მიერ.**

8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტია აღსანიშნავი:

**1. ეგზიტპოლი** — ეს ძვირად ღირებული შოუ მხოლოდ ხალხის აზრზე მანიპულირების საშუალებაა და ეგზიტპოლი არ ქვეყნდება არჩევნების ხარისხიანად ჩასატარებლად, რადგან გამოქვეყნებული მონაცემები შემკვეთების ინტერესებს უფრო ასახავს, ვიდრე რეალობას. არც GFK-ს და არც TNS-ის ეგზიტპოლები არ დაემთხვა ცესკოს მონაცემებს. უფრო მეტიც — 1,5-2%-იანი ცდომილების ნაცვლად, მათი მონაცემები 8-10 %-ით განსხვავდება ცესკოს მონაცემებისგა,. ამიტომ არ არის სასურველი ცესკოს პირველ მონაცემებზე ადრე ეგზიტპოლების გამოქვეყნება.

**2. მოხდა პარტიების თვითლუსტრაცია.** კიდევ ერთხელ დადასტურდა ის, რომ **ლეიბორისტული პარტია** „ნაცმოძრაობის“ სატელიტია — ბათუმში „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოცხადებული ეგზიტპოლების შედეგებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ერთად ლეიბორისტული პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და სიის პირველი ნომერი **ჯელალ ქიქავაც** ზეიმობდა.

ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას **პაატა ბურჭულაძესა** და მის პარტიაზეც — **„სახელმწიფო ხალხისთვის“**, რომლის წევრები, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებთან ერთად მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში საარჩევნო ყუთის გატაცებას შეეცადნენ.

**რესპუბლიკური პარტიის** შედეგმა (1,55%) კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არასოდეს ჰყოლია მხარდამჭერთა საკმარისი რაოდენობა ხელისუფლების საკვანძო პოსტებზე მოსაკალათებლად, როგორც ეს მოხდა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში და, რომ არა სხვა პარტიებთან („ნაცმოძრაობასთან“, „ქართულ ოცნებასთან“) კოალიციაში გაერთიანება, საკანონმდებლო ორგანოში შესვლას ვერასოდეს ეღირსებოდნენ. იგივე ითქმის **ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებზეც“**, რომელთა ამბიციებიც შეუსაბამო იყო მათ მდგომარეობასთან ქართული პოლიტიკის სივრცეში.

არჩევნების შემდეგ **ირაკლი ალასანიამ** დატოვა პარტია და, საერთოდ, პოლიტიკა, მას **ალექსი პეტრიაშვილიც** მიჰყვა და ახლა „თავისუფალი დემოკრატების“ პერსპექტივა ბუნდოვანია — საკითხავია, იარსებებს თუ არა ეს პარტია. პაატა ბურჭულაძესაც, სავარაუდოდ, საბოლოოდ დაეშლება ისედაც ნახევრადდაშლილი პარტია. ამ არჩევნების შედეგად პოლიტიკას ჩამოშორდნენ (ყოველ შემთხვევაში 4 წლით მაინც) საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან **თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, დავით ზურაბიშვილი, მაია ფანჯიკიძე, ირაკლი ალასანია, ალექსი პეტრიაშვილი** და სხვ.

**3. მოლოდინი იმისა, რომ ამ არჩევნების შედეგად მივიღებდით მრავალპარტიულ პარლამენტს, არ გამართლდა.** ნათლად გამოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობას“ იმაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე სოციოლოგიური კვლევები აჩვენებდა.

გამაოგნებელია, რომ თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი კვლავაც მხარს უჭერს ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ და უამრავი დანაშაულის ჩამდენ მიხეილ სააკაშვილსა და მის პარტიას; მხარს უჭერს ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტას, ბიზნესმენების დატერორებას, პატიმრების წამებასა და ცოცხებით გაუპატიურებას, ქართული კულტურის, განათლების, ქართული ტრადიციების განადგურებას, ტერიტორიების დაკარგვას, მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ თავხედი, ყველაფრის მკადრებელი და მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გატარებაზე მოფიქრალი „ნაციონალური მოძრაობის“ კვლავ დაბრუნებას ხელისუფლებაში, თითქოს საკმარისი არ არის, რაც 2003-2012 წლებში ჩაიდინეს.

თითქოს საკმარისი არ არის, რომ, 2 ათეული წელია, ტელეეკრანებიდან არ ქრებიან და „ხალხის რჩეულად“ გვევლინებიან ისეთი სახეები, როგორებიც არიან მესტიაში, სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის „გმირი“ **გია ბარამიძე**, არჩევნების გაყალბების ოსტატები — **ხათუნა გოგორიშვილი** და **ლევან თარხნიშვილი**, ტერმინ „დედალი და მამალი ძროხების“ ავტორი, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი **პეტრე ცისკარიშვილი**, ელგუჯა ამაშუკელის „ქართვლის დედისა“ და, საერთოდ, ყველაფერი ქართულის მაგინებელ-შეურაცხმყოფელი **ზურაბ ჭიაბერაშვილი**, ხელისუფლების სათავეში ყოფნის გამო ეშმაკისთვის სულის მიმყიდველი, 1990 წლიდან პარლამენტარი **კაკო ბობოხიძე**, მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლები — **გიგა ბოკერია** და **გივი თარგამაძე** და სხვები.

ექსპერტ **დემურ გიორხელიძისა** არ იყოს, **„როცა დამნაშავეს 250 ათასი ადამიანი აძლევს ხმას, იმ ხალხს სახელმწიფო არასოდეს ექნება“...**

და კიდევ — როცა **ლევან თარხნიშვილი**, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან გაჩეჩილაძეს შედეგები გაუყალბა მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ, ცესკოსთან აქციას გამართავს, — არჩევნები გაყალბდაო, ხოლო **ნიკა მელია** „იმედს“, „მაესტროსა“ და „ჯიდი-ესს“ ტენდენციურობას დასწამებს, „რუსთავი2“-ზე კი არაფერს იტყვის, ამაზე მეტი ცინიზმი რა უნდა იყოს?!

ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ დარჩა ერთადერთ ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალად. დავით უსუფაშვილმა თავის დროზე განაცხადა, „ნაცმოძრაობის“, როგორც ოპოზიციური ძალის, გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანა არისო, და ეს ამოცანა „ოცნებამ“ წარმატებით შეასრულა. როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების სიამტკბილობით ცხოვრება, ანუ ე.წ. კოაბიტაცია, კვლავ გაგრძელდება.

**4. ამ არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ე.წ. პროდასავლური და ლიბერალური ორიენტაციის პარტიებისადმი, პრაქტიკულად, უმნიშვნელო მხარდაჭერა, რომელიც სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა, რადგან ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ქვეყნის საგარეო ორიენტაციაზე, ნატოსა და ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრებაზე.** და ეს (ე.წ. პროდასავლური პარტიებისადმი სუსტი მხარდაჭერა), როგორც ჩანს, გამოწვეულია ქართველებისთვის მიუღებელი ე.წ. დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების ძალადობრივი გზით თავსმოხვევით, დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული ამ პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანტიქართული საქმიანობითა და მხოლოდ ამერიკის ინტერესების გატარებაზე ზრუნვით.

აშშ-ის გავლენა კი ამ არჩევნების შედეგებზეც დიდი იყო, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ცესკოს თავმჯდომარე **თამარ ჟვანია** არჩევნებამდეც (22 სექტემ- ▶

## ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ დარჩა ერთადერთ ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალად. დავით უსუფაშვილმა თავის დროზე განაცხადა, „ნაცმოძრაობის“, როგორც ოპოზიციური ძალის გადარჩენა, ქართული დემოკრატიის ამოცანა არისო, და ეს ამოცანა „ოცნებამ“ წარმატებით შეასრულა. როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების სიამტკბილობით ცხოვრება, ანუ ე.წ. კოაბიტაცია, კვლავ გაგრძელდება.

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბერს) და არჩევნების შემდეგაც (10 ოქტომბერს) აშშ-ის ელჩს — **იან კელის** შეხვდა და ანგარიში ჩააბარა. ისე, სწორედ ამერიკული მოდელია საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ორი პარტიის არსებობა.

დასავლეთის გავლენა — მისი ინტერესების გათვალისწინებაზე ზრუნვა ჩანს Financial Times-ში გამოქვეყნებულ მასალაში: **„არჩევნების შედეგები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე, რადგანაც, როგორც „ქართული ოცნება“, ისე „ნაციონალური მოძრაობა“ ემხრობა დასავლეთთან კავშირების განმტკიცებას“.** მაგრამ არის კი ეს ქართველი ხალხის ნება, სურს კი საქართველოს მოსახლეობას იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში ამერიკის ინტერესები იყოს დაცული, რუსეთის შეიარაღებული ძალების სამიზნეში აღმოჩნდეს, ქვეყანა საომარი კონფლიქტის ზონად იქცეს და რაკეტებსა და ბომბებს შეუშვიროს თავი?

დასავლეთის გავლენასა და ხელისუფლების მხრიდან მისი ინტერესების გათვალისწინებაზე მიუთითებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის — **გია ვოლსკის** ბოლოდროინდელი განცხადებებიც: არჩევნებიდან 2 დღის შემდეგ, 10 ოქტომბერს, **გია ვოლსკიმ** „თავისუფალი დემოკრატების“ რომელიმე წევრის თანამდებობაზე დანიშვნა კატეგორიულად გამორიცხა და უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად ვიქტორ დოლიძე, შესაძლოა, ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე დაინიშნოს:

„ეს საკითხი არ განხილულა და, ალბათ, არც განიხილება. არ ვიცი, ვინ შემოიტანა აღნიშნული საკითხი მედიასივრცეში. რაღაც სკანდალური თემის შემოტანას ჰგავს. მე ერთხელ ვთქვი, რომ პარლამენტში კარგი თანამშრომლობა გვქონდა ვახტანგ ხმალაძესთან, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ასევე შევაქე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში თანამშრომლობის გამო ნოდარ ებანოიძე. ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებით ვთქვი, რომ ძალიან პროდუქტიული იყო მასთან ერთად თანამშრომლობა საერთაშორისო საპარლამენტო სტრუქტურებში. შევაქე იგი, როგორც გამოცდილი დიპლომატი და ადამიანი, რომელიც ჯერ ქვეყანაზე ფიქრობს და ამის შემდეგ შიდაპარტიულ ინტერესებზე. ეს არანაირად არ ნიშნავს რომელიმე კანდიდატურის განხილვას რაიმე სახელმწიფო თანამდებობაზე. ამის თაობაზე არავის არაფერი უთქვამს და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, მით უფრო, ამ კონტექსტში საუბარი არ ყოფილა ირაკლი ალასანიასა და ალექსანდრე პეტრიაშვილზე, რომელთა ხედვები და პოზიციები „ქართული ოცნებისათვის“ შეუსაბამოა“, — განუცხადა ვოლსკიმ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“. მეორე დღეს კი, ალბათ, დასავლეთის გავლენით, რადიკალურად შეიცვალა თვალსაზრისი,




**საქართველოს მოსახლეობა 8 ოქტომბერს იძულებული შეიქნა, არჩევანი გაეკეთებინა ცუდსა და ცუდზე უარესს, ანუ „ქართულ ოცნებასა“ და «ნაციონალურ მოძრაობას» შორის, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობდა და ეს პოლიტიკური და საარჩევნო ფსიქოზი, ანტონ ჩეხოვის «პალატა №6»-ში აღწერილი სულით ავადმყოფების ამბის მსგავსი, კიდევ, სულ ცოტა, 4 წელინადს გაგრძელდება, ოღონდ ამჯერად ივანიშვილის მიერ ქართველი ხალხისთვის მოწყობილ «პალატა №41»-ში**

ფირფიტა გადააბრუნა და განაცხადა:

**„თუკი სამომავლოდ იქნება შესაძლებლობა, სიამოვნებით გვექნება ურთიერთობა ვიქტორ დოლიძესთან, ისევე, როგორც ვახტანგ ხმალაძესთან, ნოდარ ებანოიძესთან. არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს გადაცდენილან იმ პრინციპს, რომელსაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქმიანობა ჰქვია“.**

**5. შედარებით ახალგაზრდა პარტიამ — „პატრიოტთა ალიანსმა“, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი საზოგადოების გარკვეული იდეოლოგიური და ორიენტაციული სეგმენტი, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეძლო საკანონმდებლო ორგანოში შესვლა.**

**6. თუ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება პარლამენტში, მაშინ პასუხისმგებლობა ქვეყანაში განვითარებულ პროცესებსა და მის შედეგებზე — პოზიტიურზეც და ნეგატიურზეც — მხოლოდ და მხოლოდ მას დაეკისრება.** ამას ისიც ემატება, რომ ე.წ. ოპოზიციური ძალა — „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია და, ამასთანავე, არასრულფასოვანი ოპონენტია ხელისუფლებისთვის. აქედან გამომდინარე, **არსებობს საფრთხე, რომ პოლიტიკური პროცესების სათავეში არაკომპეტენტური ადამიანები აღმოჩნდებიან და ეს სავალალო შედეგებს გამოიწვევს ქვეყნისთვის. საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობის ყოლა, ფაქტობრივად, ერთპარტიული მმართველობაა, რომელიც ავტორიტარიზმის დამკვიდრების საფრთხეს შექმნის.**

**7. არჩევნებში გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაგეგმა საკონსტიტუციო ცვლილებები:**

* პარლამენტი ქუთაისიდან უნდა გადმოვიდეს თბილისში;

* **უნდა განისაზღვროს ქორწინების დეფინიცია, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი;**

* პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა შეიცვალოს და ის სამომავლოდ არა ხალხმა, **არამედ პარლამენტმა უნდა აირჩიოს, ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს და პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები კიდევ უფრო უნდა შეეზღუდოს.**

ეს ის საკითხებია, რომელთა შეტანაც სურს კონსტიტუციაში „ქართულ ოცნებას“, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს პარლამენტში.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლასა და ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევაზე ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში საუბრობდა პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.** აი, რა განაცხადა მან „საქართველო და მსოფლიოსთვის“ (№6, 20-26 თებერვალი, 2014 წელი) მიცემულ ინტერვიუში 2013 წლის თებერვალში:

„თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. **ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მით უმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ**. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბლინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს“.

დასასრულ — **საქართველოს მოსახლეობა 8 ოქტომბერს იძულებული შეიქნა, არჩევანი გაეკეთებინა ცუდსა და ცუდზე უარესს, ანუ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობდა და ეს პოლიტიკური და საარჩევნო ფსიქოზი, ანტონ ჩეხოვის „პალატა №6“-ში აღწერილი სულით ავადმყოფების ამბის მსგავსი, კიდევ, სულ ცოტა, 4 წელინადს გაგრძელდება, ოღონდ ამჯერად ივანიშვილის მიერ ქართველი ხალხისთვის მოწყობილ „პალატა №41“-ში.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**



**გამაოგნებელია, რომ თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი კვლავაც მხარს უჭერს ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ და უამრავი დანაშაულის ჩამდენ მიხეილ სააკაშვილსა და მის პარტიას. მხარს უჭერს ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტას, ბიზნესმენების დატერორებას, პატიმრების წამებასა და ციხებით გაუპატიურებას, ქართული კულტურის, განათლების, ქართული ტრადიციების განადგურებას, ტერიტორიების დაკარგვას, მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ თავხედი, ყველაფრის მკადრებელი და მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გატარებაზე მოფიქრალი «ნაციონალური მოძრაობის» კვლავ დაბრუნებას ხელისუფლებაში, თითქოს საკმარისი არ არის, რაც 2003-2012 წლებში ჩაიდინეს**

**P.S. რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით გავრცელდა პეტიცია. ამ პეტიციით ხელმომწერები პარლამენტს, მთავრობასა და პროკურატურას მიმართავენ: „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და საშუალო რგოლის წარმომადგენლები განსაკუთრებით გააქტიურდნენ წინასაარჩევნო და არჩევნების პერიოდში და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოუწოდებდნენ მხარდამჭერებს ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობისკენ. არჩევნების დღეს მათ უკვე მოაწყვეს რამდენიმე მძიმე პროვოკაცია საარჩევნო უბნებზე მარნეულში, ზუგდიდის რაიონში, ქუთაისში და ა.შ. თუ კიდევ გაგრძელდება „ენმ“-ის პროვოკაციები, ამან, შესაძლოა, ქვეყანა დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის ზღვრამდე მოიყვანოს. ამას კი ძალიან სერიოზული შედეგები მოჰყვება თითოეული ჩვენგანისთვის“, — ნათქვამია პეტიციაში.**

**საკითხავი ის არის, გაითვალისწინებს კი მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნას ხელისუფლება და სათანადოდ დასჯის ამ დამნაშავე ორგანიზაციის წევრებს, რომლებსაც თავიანთი კეთილდღეობის მეტი არაფერი ადარდებთ და უცხო სახელმწიფოს დაკვეთით საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობენ?**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„4 ოქტომბრის ინციდენტი დეჟავიუს შთაბეჭდილებას ტოვებს, ის ხურჩის „ოპერაციას“ გაგახსენებთ თავისი ზეოპერატიულობით: შემთხვევის კვალზე დაუყოვნებლად გამოჩენილი ტელევიზიებითა და 5 ოქტომბერს, ნაშუადღევს, სარფიდან 5 კილომეტრში ოდესიდან თავქუდმოგლეჯით ჩამოქანებული მიხეილის მოვლინებით შავი ზღვის ფონზე, რაც სიცრუესა და შესაძლო სიმართლეს ერთდროულად ჰგავდა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება: საქმე გვაქვს დეტალურად დაგეგმილ და განხორციელებულ პროვოკაციასთან“.**



## ანზორ მაისურაძე:

# ტერაქტების მოწყობა, მოწინააღმდეგეების ფიზიკური ლიკვიდაცია «ნაციონალური მოძრაობის» წევრების მოწოდება და მეთოდია, სხვისთვის გადაბრალება — მათი ხელწერა

**4 ოქტომბერს თბილისში, კოლმეურნეობის მოედნის მახლობლად მოწყობილი ტერაქტის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს.**

**4 ოქტომბრის ტერაქტი („ნაცმოძრაობის“ „ცნობადი“ სახის, გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქება) 8 ოქტომბრის არჩევნების კვალზე კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ორიოდ დღით არჩევნების შედეგებზე გადართულმა საზოგადოებრივმა აზრმა ეს რეზონანსული ფაქტი მეორე პლანზე გადაწია.**

**ტელესივრცის ოკუპანტებმა, „ნაცმოძრაობის“ ციცერონებმა, იმთავითვე, ერთხმად, ერთმანეთის მიყოლებით გამოაცხადეს, რომ „ტერაქტი“ ხელისუფლების მოწყობილია.**

— გამოაცხადეს და ჩაიჭრნენ, რადგან მათი მტკიცება რეალობისა და ლოგიკისგან ძალიან შორს აღმოჩნდა, რადგან პირველი დასკვნა, რომელსაც ცხელ კვალზე ობივატელს აზრად მოუვიდოდა, მმართველი პარტიისკენ ხელის გაშვერა იქნებოდა, — **ამბობს ანზორ მაისურაძე და განაგრძობს,** — გამოდის, რომ ხელისუფლებამ თავისი ყელის გამოსაჭრელი დანა თვითონ მიაწოდა აგრესიულ ოპონენტს და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ დარაზმვას, ამასთანავე, ტერაქტების მქადაგებლის — **გივი თარგამაძის** გმირად, ხალხისთვის წამებულ რაინდად გამოცხადებას. გაიხსენეთ ჩანაწერი წლების წინათ უკრაინაში მყოფი თარგამაძის მონაწილეობით საუბრისა, რომელშიც იგი იქაურ თანამოაზრეებს **იუშჩენკოს** ხელისუფლების კონკრეტული ოპონენტის ფიზიკური ლიკვიდაციის განსახორციელებლად მოუწოდებდა, რისთვისაც გარკვეული თანხის გადახდასაც ჰპირდებოდა.

**ტერაქტების მოწყობა, მოწინააღმდეგეების ფიზიკური ლიკვიდაცია “ნაციონალური მოძრაობის” წევრების მოწოდება და მეთოდია, სხვისთვის გადაბრალება — მათი ხელწერა.**

**— ე. ი., გამორიცხავთ დღევანდელი ხელისუფლების მონაწილეობას ამ ინციდენტში?**

— დღევანდელისას კატეგორიულად გამოვრიცხავ, ყოფილი ხელისუფლების შესახებ კი აი რას გეტყვით: **უშიშროების ორგანოებში ჩემი ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში არ მახსოვს, რომ რომელიმე ქვეყანაში, რომელიმე მთავრობას ასეთი უაზრობა, ასეთი სისულელე ოდესმე ჩაედინოს.**

**გამონაკლისი სააკაშვილის პრიმიტიულად მოაზროვნე და ბოროტი ხელისუფლება აღმოჩნდა, რომელიც არაფერს დაგიდევდათ და მზად იყო, საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად გაეწირა თავისი ქვეყნის მოქალაქეები.**

გაგახსენებთ ხურჩის ინციდენტს, რომელიც ყოფილებმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე გალის რაიონიდან ჩამოსულ ადამიანებს მოუწყვეს. ხოლო **ამ პროვოკაციის მსვლელობა გადაადებინეს წინასწარ მიწვეულ ტელეოპერატორებს, ოკუპანტების მოწყობილ „ტერაქტზე“ პირდაპირი მინიშნებით.**

ერთ რამეში ჩაიჭრნენ მაშინ ეს ავანტიურისტები. ვერ გათვალეს, რომ ნებისმიერი დაინტერესებული არაპროფესიონალიც კი მარტივად დაადგენდა, რომ ცეცხლი ზუგდიდის მხრიდან გახსნეს და არა ენგურის გაღმა ნაპირიდან.

## «უეჭველი ერთი რამაა: პროფესიონალების მონაწილეობა, რომლებსაც ზუსტად ჰქონდათ გათვლილი აფეთქების ძალა, მიმართულება, ისეთი, რომ არ დაზარალებულიყვნენ მანქანის პირველ სავარძელზე მსხდომნი, თუმცა ვერავინ გამორიცხავდა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედებას»

**4 ოქტომბრის ინციდენტი დეჟავიუს შთაბეჭდილებას ტოვებს, ხურჩის „ოპერაციას“ გაგახსენებთ ჩანაფიქრის პრიმიტიულობით და გაშუქების ზეოპერატიულობით: შემთხვევის კვალზე დაუყოვნებლად გამოჩენილი ტელევიზიებითა და 5 ოქტომბერს, ნაშუადღევს, სარფიდან 5 კილომეტრში ოდესიდან თავქუდმოგლეჯით ჩამოქანებული მიხეილის მოვლინებით შავი ზღვის ფონზე, რაც სიცრუესა და შესაძლო სიმართლეს ერთდროულად ჰგავდა.**

**ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება: საქმე გვაქვს დეტალურად დაგეგმილ და განხორციელებულ პროვოკაციასთან.**

**— აფეთქების კონფიგურაციის შესახებ რას ფიქრობთ?**

— ახლა ბევრმა დაიჩემა ექსპერტობა და განაცხადა, რომ აფეთქება დისტანციურად იყო მართული, მაგრამ გამორიცხული არ არის სითბური ეფექტის პრინციპი ან სხვა მეთოდი. ამ ეტაპზე დაჟინებით რამის თქმა შეუძლებელია.

**უეჭველი ერთი რამაა: პროფესიონალების მონაწილეობა, რომლებსაც ზუსტად ჰქონდათ გათვლილი აფეთქების ძალა, მიმართულება, ისეთი, რომ არ დაზარალებულიყვნენ მანქანის პირველ სავარძელზე მსხდომნი, თუმცა ვერავინ გამორიცხავდა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედებას.**

**— ე.ი., გაწირეს გივი თარგამაძე?**

— გაგიკვირდებოდათ, რომ გაეწირათ?

სარგებელი მრავალმხრივი იქნებოდა: პირველი — ამ ფაქტს გამოიყენებდნენ „ქართული ოცნების“ პირსისხლიანობის დასამტკიცებლად; მეორე — გაჩნდებოდა „ისტორიაში ჩასაწერი მამულიშვილის“ ახალი სახელი „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებიდან (რევოლუციას, არეულობას ყოველთვის სჭირდება მსხვერპლი, სისხლი, ისტორია გვასწავლის ამას); შემდეგ — ამ „ტერაქტს“ გამოიყენებდნენ დივიდენდების მისაღებად ამომრჩეველთა ხმების სახით.

ასეთია ჩემი ვარაუდი.

**— თქვენ პროფესიონალები ახსენეთ...**

— ადრეც ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ, რომ აფეთქების ორგანიზებას და განხორციელებას, რომელზეც ვლაპარაკობთ, მხოლოდ მაღალი კლასის პროფესიონალები შეძლებდნენ.

**— პროფესიონალები?**

— დიახ, პროფესიონალების ჯგუფი. ერთი კაცის შესაძლებლობას ეს აღემატება.

**— გამოძიებიდან პრესაში გამოჟონილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სამი ეჭვმიტანილიდან ერთ-ერთი — დარჩო ხეჩუაშვილი სააკაშვილის ჟამიანობის დროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეხუთე სპეციალურ ოპერატიულ დავალებათა მთავარ სამმართველოში მუშაობდა, მაშასადამე, იყო პროფესიონალი.**

— ამიტომაც დაავალეს შესრულება. ეს ბოლო სტადიაა, როცა ძირითადი და მთავარი, რაც საჭიროა ტერაქტისთვის, უკვე მზად არის. პრესაში ისიც დაიწერა, რომ იგი უკრაინიდან, სადაც ერთ თვეზე მეტხანს იმყოფებოდა, თბილისში ჩამოვიდა 30 სექტემბერს. უნდა ვივარაუდოთ, რომ კიევ-პეჩორის ლავრაში სალოცავად არ იყო ჩასული. ამას ზუსტად გამოძიება დაადგენს.

ისე კი, **ხეჩუაშვილები მომრავლდნენ საქართველოში. ერთ-ერთი ნაცდეპუტატის თქმისა არ იყოს, ეშმაკსაც შევეკვრებით, ხელისუფლებაში რომ დავრჩეთ — ასეთ ხეჩუაშვილებს ვგულისხმობ.**

**— გამორიცხულია, რომ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს მიეღოთ მონაწილეობა 4 ოქტომბრის ტერაქტის მოწყობაში?**

— ძნელი სათქმელია, თუმცა ვარაუდს წინ რა უდგას?!

ერთი ძველი ამბავი მინდა გავიხსენო.

თუ გახსოვთ, უწინ საგიჟეთი სანაპიროზე იყო, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, საიდანაც გზა მარჯანიშვილის ქუჩაზე ამოდის, შემაღლებულზე.

ჰოდა, მიდის ერთი კაცი ამ გზით. საგიჟეთის ფანჯრიდან ერთი იქაური დაუძახებს:

— ბიძია, ეს მტკვარი ზემოთ მიდის?

შეეცოდება ხანდაზმულ ადამიანს ეს გიჟი და მხარს აუბამს:

— კი, შვილო, კი.

— მაშ მტყუნის დედაცო...

— გახარებული შეყვირებს გიჟი.

— იმის დედაც და ყველა კეთილიც ..., ვინც შენ მაგ საგიჟეში ჩაგსვაო! — უპასუხებს ეს კაცი.

ვარაუდთან დაკავშირებით გავიხსენე, რომელმაც შეიძლება ასეთ გაუგებრობაში ამოგაყოფინოს თავი. ამიტომ **არ ვიჩემებ, რომ ეს ინციდენტი მაინცდამაინც უცხოეთის სპეცსამსახურის მიერ არის მოწყობილი, მაგრამ სპეცსამსახურის გაკეთებული რომ არის, ფაქტია, რომელიღაც სპეცსამსახურის.**

**— სიტყვამ მოიტანა (უცხოეთმა) და გკითხავთ: სხვა ქვეყნის ელჩის, კერძოდ, აშშ-ის ელჩის, საქართველოში ჩვენი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების შესახებ ანგარიშს რომ ჩააბარებს, ამაზე რას იტყვით? ეს ინფორმაცია სააგენტოებმა 9 ოქტომბერს გაავრცელეს.**

— გასაკვირი არაფერია. **დღეს ამერიკელები არიან ჩვენი მამა-მარჩენლები. როგორც ისინი იტყვიან, ისე უნდა იყოს. არ იქნება ისე და, ვაი, შენი ბრალი. უნდათ — არჩევნებში ჩაერევიან, უნდათ — პრემიერმინისტრის დანიშვნაში ან მოხსნაში. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია! 2008 წლის ომი გაიხსენეთ. რუსეთმა იცოდა, რომ ამერიკა არ დაგვეხმარებოდა და ამიტომ შემოვიდა აფხაზეთსა და ოსეთში.**

ამერიკელების ჩანაფიქრი ასეთი იყო: საქართველო რუსეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა; რუსეთი დაიკავებდა ჩვენს ტერიტორიას და საქართველოს საზოგადოებრიობა რუსეთის წინააღმდეგ განეწყობოდა.

ასეც მოხდა.

**დღეს რუსეთის წინააღმდეგ ვართ განწყობილი, როგორც ეს სურდათ ამერიკელებს. მას შემდეგ ყელგამოწევდილები ვეხვეწებით: დაგვეხმარეთ, დაგვეხმარეთო.**

მოკლედ, აქ ორი ზესახელმწიფოს ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს და საქართველო ვაჭრობის ობიექტი გახდა. გარიგდებიან — გამთლიანდება საქართველო. ვერ გარიგდებიან — დავრჩებით მუდმივ მოლოდინში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** სამშაბათის საღამომდე გაურკვეველი იყო, ნაცმოძრაობა არჩეული დეპუტატებით შევიდოდა თუ არა პარლამენტში, მიიღებდა თუ არა მონაწილეობას მაჟორიტარების არჩევნების მეორე ტურში, თუ მიჰყვებოდა თავიანთი „დავითის მცნებას“ და ხელისუფლებას პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანდა.

ამ გაურკვეველი ვითარების კომენტარი ჟურნალისტებმა ამერიკის ელჩს იან კელის სთხოვეს. მან უპასუხა, რომ ნაცმოძრაობას კარგი (საარჩევნო) კამპანია ჰქონდა და დაგვაიმედა, რომ გადაწყვეტილებაც შესაფერისი იქნება, რასაც იგი ყურადღებით მიადევნებს თვალს, რადგან (მიაქციეთ ყურადღება!) „ჩვენ კვლავ ჩართული ვართ ამ (საარჩევნო) კამპანიაში“.

სხვა ქვეყნის ელჩი ჩვენს საშინაო საქმეში არის ჩართული(?!).

მოისმენ ამას, დაეჭვდები და, იმ ანეგდოტის გიჟისა არ იყოს, იკითხავ:

— ეს ჩვენი მტკვარი მართლა ზემოთ ხომ არ მიედინება?

---

არის კიდევ ერთი თემა, რომლის საფუძველზეც ბოლო დღეებში არაერთი კონსპიროლოგიური ვერსია აიგო. მათი მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთია: „ნაციონალების“ ლიდერები შეეცდებიან, მოქმედი ხელისუფლება სისხლიან რეჟიმად წარმოაჩინონ, ხოლო საკუთარი თავი უმანკო, დემოკრატიისთვის წამებულ მსხვერპლად, ამისთვის კი ისინი პროვოკაციას მოაწყობენ, დაუპირისპირდებიან სამართალდამცავებს, დაიქირავებენ სნაიპერებს, რომლებიც მომიტინგეებს ცეცხლს გაუხსნიან, იქვე აფეთქებას მოაწყობენ და ა. შ.

„საქართველო და მსოფლიო“, 2014 წლის №41, გვ.8

---

გამომდინარე იქიდან, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2003-2012 წლებში ჩაიდინა, ალბათ, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ არანაირი ზნეობრივი წინაღობა ხელს არ შეუშლის მას, საკუთარი მომხრეები „უცნობ სნაიპერებს“ დააზვერატინოს, „მოდელირებული“ ან სულაც რეალური ტერაქტები მოაწყოს

„საქართველო და მსოფლიო“, 2016 წლის №34, გვ.3

**სხვა საკითხია, როგორ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლისთვის მიცემული პირობა, მაგრამ ქართველმა ამომრჩეველმა შეასრულა ვანო მერაბიშვილის მოთხოვნა და ამ არჩევნებზე ორი „პოლიტიკური გვამი“ დადო — ერთპროცენტიანი რესპებისა და ნახევარდაშლის სტადიაში მყოფი „თავისუფალი დემოკრატების“.**

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოცნებას ფიქრი ჯობია

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნები“ქართული ოცნების” პოლიტიკური ცხოვრების დასასრულის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩატარებულმა არჩევნებმა ერთგვარად პულსი გაუსინჯა უმრავლესობის სიცოცხლისუნარიანობას. 2012 წელის არჩევნებისას ქართველმა ხალხმა ზუსტად იცოდა, რა უნდოდა, წლევანდელ არჩევნებში კი ამომრჩეველთა უმრავლესობას მოუწია არჩევა ცუდსა და უარესს შორის, ხმის მიცემა არა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, არამედ „ნაცმოძრაობის“ საწინააღმდეგოდ.**



ამომრჩევლისგან განსხვავებით, რესპუბლიკურმა პარტიამ ყოველთვის იცოდა, რა სურდა და ვისი მეშვეობით შეეძლო საწადელის მიღწევა. თუ პოლიტიკურ სარბიელზე ამ პარტიის მიქცევ-მოქცევას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ,რომ რესპები ხელისუფლებაში ნომინალურად მოსვლას მუდმივად მეორე, დომინანტი მოკავშირე ძალის ხარჯზე აღწევდნენ: ხან — შევარდნაძის, ხან — სააკაშვილის, ხანაც ივანიშვილის პარტიებთან ალიანსის შედეგად. ამ უნარის გამო ოპონენტები მათ ხშირად პოლიტპარაზიტებსაც უწოდებდნენ. და მართლაც, რესპუბლიკური პარტია იყენებდა რა ლოკომოტივს პარლამენტში სესასვლელად, სუფრიდან იღებდა გარკვეულ ულუფას და მოგვიანებით რადიკალურ მემარჯვენე-ცენტრისტული განწყობით შემოუტრიალდებოდა ხოლმე თავის მოკავშირეს. **იმ ჭაში ჩაფურთხება, საიდანაც წყალს სვამდა, რესპუბლიკურ პარტიას ჩვევად ექცა.**

2011 წელს „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში 3 პოლიტიკური პარტია შევიდა: **ირაკლი ალასანიას „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“; დავით უსუფაშვილის საქართველოს რესპუბლიკური პარტია და კახა შარტავას „ეროვნული ფორუმი“. ოდნავ მოგვიანებით კოალიციას შეუერთდნენ „კონსერვატორები“ და „მრეწველები“.** თუ ქართულ პოლიტიკურ რეტროსპექტივას ყურადღებით გადავავლებთ თვალს, წავაწყდებით ბევრ მაგალითს, როდესაც პარტიები ერთიანდებოდნენ ერთი მიზნით. რესპუბლიკელებს მსგავსი გამოცდილება 2003 წლის არჩევნებშიც ჰქონდათ, როცა “ვარდების რევოლუციის” გზით სააკაშვილთან ერთად მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხოლო როდესაც სააკაშვილმა ისინი მოიშორა, როგორც აბეზარი პარაზიტები, „ქართულ ოცნებას“ მიეკედლნენ.

რას უნდა ველოდოთ ამჯერად? პოლიტიკური დეჟავიუს კვალდაკვალ კიდევ რამდენჯერ უნდა მოახდინოს ამ პარტიამ რეინკარნაცია? პარლამენტის კარი, სულ ცოტა, 4 წლით დაიხურა რესპებისთვის. მართალია, დავით უსუფაშვილი კვლავ ლამობს ევერესტის დაპყრობას, იმ იმედით, რომ ამჯერად მაინც არ აუცურდეს ფეხი და შუა გზაზე არ მიატოვოს საქმე, როგორც ამას აქამდე აკეთებდა. იგი კვლავინდებურად თავისი პოლიტიკური სქემის ერთგული რჩება, როგორც იტყვიან, პური და ღვინო ძველი ჯობია, ბატონი კი — ახალიო.

ყოფილი ქოცები დღეს გაცოფებულები არიან თავიანთ გურუზე. „ქართულ ოცნებას“ კი რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიიდან განდგომით პარტიული პაუპერიზაციის (მშრომელთა მასობრივი გაღატაკება ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კლასობრივი საზოგადოების პირობებში —ნ.თ). პერიოდი უდგათ, თუ, რა თქმა უნდა, ყოფილ თანამებრძოლებზე გული არ შემოუბრუნდათ. **კოალიციის დატოვებით ყოფილმა თანაგუნდელებმა ვაი-ვიშის ძახილით მხოლოდ ფართხალი შეძლეს ისედაც ამღვრეულ წყალში. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებით დაანახვა ორივე პარტიას თავისი რეალური ძალა, ის, რომ მათ გარეშე ისინი პოლიტიკური გვამები არიან — კარგია, რომ ივანიშვილი, როგორც იქნა, დარწმუნდა რესპების უმაქნისობაში, თორემ თვით რესპუბლიკელებმა და ამომრჩეველმაც, დიდი ხანია, ეს იციან და ხსენებულ პარტიას „ერთპროცენტიანის“ იარლიყიც კარგა ხანია, მიეკერა.**

გახსოვთ, ალბათ, **ვანო მერაბიშვილის** ფრაზა, ორ გვამს რომ ითხოვდა „მუხროვანის ამბოხისას“... **სხვა საკითხია, როგორ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლისთვის მიცემული პირობა, მაგრამ ქართველმა ამომრჩეველმა შეასრულა ვანო მერაბიშვილის მოთხოვნა და ამ არჩევნებზე ორი „პოლიტიკური გვამი“ დადო — ერთპროცენტიანი რესპებისა და ნახევარდაშლის სტადიაში მყოფი „თავისუფალი დემოკრატების“.**

**„ბიძინა ივანიშვილის პარტია“ ქართველმა საზოგადოებამ სამართლიანობის აღდგენისა და რეჟიმის გასამართლების იმედით აირჩია. სანაცვლოდ კი მიიღო კოაბიტაცია, „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაცები, უქნარა პრეზიდენტი, დედაქალაქის უნიათო მერი და კვლავ „ნაცმოძრაობა“, ციხის ნაცვლად, პარლამენტში, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია. მოკლედ, შანსი, რომ უახლოეს 4 წელიწადში ივანიშვილი და მისი გუნდი, №41 ამომრჩევლის ცნობიერებაში მხსნელიდან ალი ბაბად და ორმოც ყაჩაღად ჩამოყალიბდეს, დიდია.**

## გამარჯვების ფასი

შეიძლება „ქართული ოცნება“ მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, ან შეიძლება ალტერნატიული ძალის მოლოდინში იყო, ან სულაც ნაციონალებს უჭერდე მხარს და შენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, სად იქნება ცოცხი. მაგრამ, არ უნდა დავკარგოთ ანალიზის უნარი და დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ აკვარიუმის თევზები ვერ გრძნობენ განსხვავებას გლობალურ აცივებასა და გლობალურ დათბობას შორის და, ვინც, საზოგადოდ, განსხვავებას ვერ გრძნობს რეპრესიულ რეჟიმსა და უნიათო ხელისუფლებას შორის, მას არც არჩევანის გაკეთების უნარი აქვს.

როგორც **არჩევნებმა აჩვენა, ამომრჩეველთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილში პოლიტიკოსი, მეცენატი, ბიზნესმენი პერსონა ან სუბიექტი, რომელსაც პოლიტიკაში მოსვლა სურს, ფასდება არა მისი მიზნებით, პლატფორმით, პროგრამით, პატრიოტიზმით, არამედ ფინანსური რესურსით, ანუ კუჭი კვლავ უსწრებს გონებას, ხოლო ოცნება — ფიქრს.** უახლოეს ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში ჩვენ არაერთი მაგალითი გვახსოვს, როდესაც დიდი ფულისა და გარე მხარდაჭერის შედეგად ხელისუფლებაში მოდიოდნენ ძალები, რომლებისთვისაც საღ გონებაზე მყოფ ამომრჩეველს, შეუძლებელი იყო, მიეცა ხმა; ძალები, რომლებიც შემდგომ სურვილისამებრ ქმნიდნენ ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს. როგორც ახლო პოლიტიკური გამოცდილება გვიჩვენებს, **ბიზნესმენებისა და მეცენატების ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობაც და მოსვლაც ამომრჩევლის იმედებისა და მოლოდინების კონტრპროდუქტიულია.** გავიხსენოთ **პატარკაციშვილის** შეუმდგარი დებიუტი პოლიტიკაში — ამ ფიასკოს შემდეგ პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში თითქმის ჩაკვდა, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლება ბურთსაც და მოედანსაც ერთპიროვნულად დაეპატრონა. და ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს „ცალ კარში თამაში“, რომ არა ივანიშვილის მოულოდნელი გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე.

იმთავითვე კომიკური იყო მავანთა მოლოდინი, რომ 2016 წლის არჩევნებზეც ადგილი ექნებოდა მსგავს „ეფექტურ გამობრწყინებას“; კომიკური, რადგან სააკაშვილსა და მის პარტიას „კაშკაშის რესურსი“ ერთმნიშვნელოვნად აღარ ჰქონდათ. **ივანიშვილისა და მისი პარტიის რეპუტაციული დანაკარგები 4 წლის განმავლობაში ისეთი დიდი იყო, რომ არათუ ძველებურ ბრწყინვალებას, არამედ ბრინჯაოს ვერცხლის ბზინვასაც ვერ გაუწევდა პაექრობას.** ასევე გულწრფელ თანაგრძნობას იწვევდნენ ისინი, ვისაც ეგონა, რომ **ბურჭულაძე** ან „გირჩი“ იერიქონის საყვირებივით შემუსრავდნენ პოლიტოპონენტების ციტადელებს. მსოფლიო ბანი ბანალურად გაბანძდა და მის მიმართ გაჩენილი მოლოდინებიც საპნის ოპერების სცენარისტთა შთაგონების წყაროდ იქცა. **საქველმოქმედო საქმიანობა, რომელსაც პაატა ბურჭულაძეც ეწეოდა, მისთვის, განსხვავებით ივანიშვილისგან, ვერ იქცა პოლიტიკურ ტრამპლინად, პირიქით — ნაცვლად აღზევებისა, პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბებისა, ჩვენ გავხდით ადამიანური ტრაგედიის, საოპერო ბანის პიროვნული და პოლიტიკური სუიციდის საჯარო სცენის უნებური მოწმენი.**

## ლეგიტიმაციის პრობლემა

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობას ქართველი ხალხი და ოპოზიციაც ქოცების ბელადს აკისრებენ, რადგან სწორედ ის კურატორობდა სამთავრობო საქმეებს კულისებიდან და დაუზარლად გასცემდა მითითებებს.

არჩევნებმა ცხადყო, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ მოკავშირეებად კვლავ რჩებიან ის მოქალაქეები, რომლებისთვისაც ოთხი წლის წინათაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მოძალადე რეჟიმის მოცილება, ეს მათთვის დღესაც მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ადამიანებისა და ადმინისტრაციული რესურსის წყალობით, დიდი ალბათობით, „ქართული ოცნება“ მოიპოვებს კონსტიტუციურ უმრავლესობას პარლამენტში. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი **ირაკლი კობახიძე** კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი პარტია მაღალი ლეგიტიმაციით განაგრძობს საქმიანობას საქართველოს პარლამენტში. მან განაცხადა, რომ „საბოლოო ჯამში, თუ საერთოდ არ შემოვლენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პარლამენტში, ეს პირიქით — წაადგება კიდევაც დემოკრატიული პროცესების განვითარებას ქვეყანაში“.

ფორმალური თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი კანონიერად და პროცედურის სრული დაცვით არის, მაგრამ ვნახოთ, რამდენად „მაღალია“ ირაკლი კობახიძის ნაქები მეცხრე მოწვევის პარლამენტის ლეგიტიმაციის ხარისხი.

„ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ საკმაოდ აქტიურად ჰპირდებოდა ამომრჩეველს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შემდგომ საბოლოოდ გაქრებოდა პოლიტიკური რადარებიდან, თუმცა არჩევნების მეორე დღესვე ქართველმა ხალხმა სრულიად საპირისპირო სურათი იხილა — ოპოზიციური ძალებიდან მხოლოდ სააკაშვილის პარტიამ გადალახა ბარიერი, თუ არ ჩავთვლით პატრიოტთა ალიანსის „წვალებას“ 5,1 პროცენტით. სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ ილაპარაკებს პარლამენტში ოპოზიციის სახელით. **მიუხედავად იმისა, რომ „ოცნება“ ამ ეტაპს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მარგინალიზაციის დასაწყისად მიიჩნევს, მაინც აღშფოთებულია ნაციონალების მანდატების რაოდენობით პარლამენტში. კოჰაბიტაციამ ისევ ქოცებს გაურთულა საქმე. კოჰაბიტაციამ შეაჩერა ნაციონალების დასჯის პროცესი, მაგრამ არსებობს შიში... და ეს შიში ამ ხალხში სასჯელის მიღების მოლოდინია. ვიდრე სამართლიანობა არ იზეიმებს, წურავინ იქნება მშვიდობის მოლოდინში.**

როგორც საზოგადოების უმრავლესობის, ასევე ივანიშვილის ხელისუფლების მიერ არაერთხელ რეჟიმად სახელდებული პარტიის დამქაშებმა რომ არ მიიღეს სასჯელი, ამიტომაც განიცდის „ქართული ოცნება“ რეპუტაციულ დანაკარგს, ხოლო რეჟიმის მთავარი „შემკვეთებისა და შემსრულებლებისთვის“ დაუსჯელობა რეციდივის წახალისებაცაა. კოლაბორაციონისტებს II მსოფლიო ომის შემდეგ რით გაუსწორდნენ ფრანგები? მათზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ კულტურის მქონე ხალხი არ არის — გადაპარსეს თმები და ისე გაუშვეს ქუჩაში. ნაციონალები კი, არათუ თმები გადაპარსეს, ხელისუფლებაშიც დარჩნენ, სხვადასხვა ორგანიზაციაშიც, ბევრი დაწინაურდა კიდეც და არაერთ „მთავარ ექჰვმიტანილს“ თმის ღერიც არ ჩამოვარდნია.

**საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, კვლავაც ზარავს ცოცხების პერსპექტივაზე ფიქრი. რამდენი არიან ისინი? ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტით არის არჩეული „ოცნება“? როგორც ვიცით, ამომრჩეველთა 49 პროცენტი, ანუ ყოველი მეორე ამომრჩეველი არ მივიდა საარჩევნო ყუთთან, ხოლო ყუთებთან მისული 51 პროცენტის მხოლოდ არასრულმა ნახევარმა დაუჭირა მხარი „ოცნებას“.** ასე რომ, კობახიძის ნაქები „მაღალი ლეგიტიმაცია“, არც მეტი არც ნაკლები, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს. ფორმალური და პროცედურული თვალსაზრისით, ეს, რა თქმა უნდა, სავსებით საკმარისია. ყველაფერი ლეგიტიმურია, მაგრამ არის კი საკმარისი მოსახლეობის ამომრჩევლის მხოლოდ 25 პროცენტის მხარდაჭერა „ოცნების“ მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად? ვინ უნდა დაფიქრდეს და რა დასკვნები გამოიტანოს, რა სამოქმედო გეგმა დასახოს იმაზე, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 25 პროცენტმა (ისიც მმართველი პარტიის ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე) უთხრა უარი ცოცხებს? საზოგადოების რა ღრმა მორალური და სულიერი დეგრადაციის ტენდენციაზე მიგვითითებს ეს ციფრები? **ხომ არ გახდება ეს პათოლოგიური ტენდეცია 2016 წლის არჩევნებში ფერფლიდან აღმდგარი ნაციონალების მიერ „ქართული ოცნების“ „გაცოცხვის“ საწინდარი? მათ მიერ სუფთად აღებული 27,11% ხომ, ძირითადად, იმ ამომრჩეველთა ხმებია, რომლებსაც მოძალადის შიში სიყვარულში გადაუვიდათ.**

**ნათია თათარიშვილი**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს თითქმის ნახევარი მილიონი სრულწლოვანი მოქალაქე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მომხრეა. მათთვის მისაღებია მართვის დიქტატორული სტილი და ისინი იწონებენ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს — უდანაშაულოთა მკვლელობასა და წამებას, ბიზნესმენების რეკეტს და 08.08.08 ომს. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ შეუძლებელია „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უკეთესი ოპოზიციის მოფიქრება — დამნაშავე პარტიის სამუდამო სტიგმით.**

# «ქართული ოცნებისთვის» «ნაციონალურ მოძრაობაზე» უკეთესი ოპოზიცია არ არსებობს!


არნო ხიდირბეგიშვილი

**2016 წლის 23 აპრილს საქინფორმის საიტზე გამოქვეყნდა ჩემი სტატია „ქართველმა ხალხმა უნდა აირჩიოს — ივანიშვილი თუ სააკაშვილი, სხვა პოლიტიკური პარტიები საქართველოში ჯერჯერობით არ არის“. ეს პუბლიკაცია გადაბეჭდა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო REX-მა, გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“(18) და მასმედიის სხვა საშუალებებმა.**

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა დაადასტურა, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა — **საქართველომ, პრაქტიკულად, ამერიკული ყაიდის ორპარტიული პარლამენტი მიიღო: ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ (48,67 %) და მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ (27,11 %). ბლოკი „თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“, რომელიც პარლამენტში 5,01 %-ით შევიდა, ამინდს ვერ ქმნის, სამაგიეროდ, შესანიშნავი მაჩვენებელია ხელისუფლების დემოკრატიულობისა, რომელმაც სამართლიანი არჩევნები ჩაატარა.**

ზევით მითითებული პროცენტების უკან საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები დგანან — პარლამენტში გასული სამი პოლიტიკური ძალის ელექტორატი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან — 3 513 884-დან გამომდინარე (თუ დავუჯერებთ 2016 წლის 3 ოქტომბრის ცესკო-ს ოფიციალურ მონაცემებს), კერძოდ:

**„ქართული ოცნება“ (48,67 %) — 856 529 ამომრჩეველი;**

**„ნაციონალური მოძრაობა“ (27,11 %) — 477 143 ამომრჩეველი;**

**„თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ (5,01 %) - 88 109 ამომრჩეველი.**

**ეს ნიშნავს, რომ საქართველოს თითქმის ნახევარი მილიონი სრულწლოვანი მოქალაქე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მომხრეა. მათთვის მისაღებია მართვის დიქტატორული სტილი და ისინი იწონებენ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს — უდანაშაულოთა მკვლელობასა და წამებას, ბიზნესმენების რეკეტს და 08.08.08 ომს. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ შეუძლებელია „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უკეთესი ოპოზიციის მოფიქრება — დამნაშავე პარტიის სამუდამო სტიგმით.**

როგორ განაწილდება სადეპუტატო მანდატები ზემოთ მითითებულ, პარლამენტში შესულ სამ პოლიტიკურ სუბიექტს შორის, დეპუტატების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე (150—77 პროპორციული სისტემით, ანუ პარტიული სიებით არჩეული + 73 მაჟორიტარი)?

**პარტიული სიებით:**

**„ქართული ოცნება“ (38+7) — 45 მანდატი;**

**„ნაციონალური მოძრაობა“ (21+4) – 25 მანდატი;**

**„თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ (4+1) – 5 მანდატი.**

2 მანდატის ბედი ჯერჯერობი გაურკვეველია მარნეულსა და ზუგდიდის ოლქებში დარბეული უბნების შედეგების ბათილად ცნობის გამო.

**მაჟორიტარული ოლქებიდან:**

**„ქართული ოცნება“ — 23 მანდატი (კანდიდატებმა ხმების 50%-ზე მეტი დააგროვეს);**

**„ნაციონალური მოძრაობა“ – 0 მანდატი;**

**„თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცი“ – 0 მანდატი.**

**73-დან 50 მაჟორიტარულ ოლქში** კანდიდატებმა 50%ზე ნაკლები ხმა მიიღეს, ამიტომ ამ ოლქებში მე-2 ტური გაიმართება. ამ 50 ოლქში შედის თბილისის 18 ოლქი, რადგან თბილისში მაჟორიტარობის კანდიდატებმა 22 ოლქიდან მხოლოდ 4-ში შეძლეს 50%-ზე მეტი ხმის აღება (ოთხივე — „ქართული ოცნებიდან“).

ამგვარად, **საქართველოს პარლამენტში 98 სავარძელი უკვე დაკავებულია** (75 არჩეულია პროპორციული სისტემით + 23 მაჟორიტარი), **თავისუფალია 52 სავარძელი**, რომლებიც ელოდება პარტიული სიებით არჩეულ 2 დეპუტატსა და 50 მაჟორიტარს.

**საკონსტიტუციო უმრავლესობის** —150-დან 100 მანდატის — მოსაპოვებლად (ანუ ხმების 2/3-ის, რაც აუცილებელია მთავრობის დასაკომპლექტებლად, ბიუჯეტის ფორმირებისა და კანონების მისაღებად) „ქართულ ოცნებას“ შერეული სისტემით უკვე მიღებულ 68 მანდატზე **32 მანდატის** დამატება ჰყოფნის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ **„ქართული ოცნება“ საქართველოს კონსტიტუციაში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას აპირებს, მას სჭირდება 113 მანდატი** (ანუ ხმების 3/4), ამიტომ „ქართულ ოცნებას“ არა 32, არამედ **45 მანდატი** სჭირდება (ან მე-2 ტურში დარჩენილი 50-დან **45 ოლქში** მოგება, ან **43 ოლქში** მაჟორიტარული და **2-ში** პროპორციული სისტემით, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად ცნეს დარბეული უბნების გამო).

„ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მომდევნო პრეზიდენტს უკვე არა საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, არამედ ახალარჩეული პარლამენტი აირჩევს; პარლამენტი სამუშაოდ საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდება, რადგან პარლამენტის შენობად კონსტიტუცია თბილისში მდებარე ისტორიულ შენობას დაამტკიცებს — ახლის მაგივრად, ▶

**იმის გათვალისწინებით, რომ «ქართული ოცნება» საქართველოს კონსტიტუციაში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას აპირებს, მას სჭირდება 113 მანდატი (ანუ ხმების 3/4), ამიტომ «ქართულ ოცნებას» არა 32, არამედ 45 მანდატი სჭირდება (ან მე-2 ტურში დარჩენილი 50-დან 45 ოლქში მოგება, ან 43 ოლქში მაჟორიტარული და 2-ში პროპორციული სისტემით, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად ცნეს დარბეული უბნების გამო)**

# უყურთვალო კომისრები

**საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი ფრედერიკა მოგერინი, ევროკომისარი იოჰანეს ჰანი და საქართველოს მთავარმართებელი, პატივცემული იან კელი ერთობლივად აცხადებენ: „არჩევნები კონკურენტული, კარგად ორგანიზებული იყო. საზოგადოდ, საარჩევნო დღე ნორმალურად წარიმართა, თუმცა რამდენიმე საარჩევნო უბანზე და მათ ტერიტორიაზე ძალადობის ფაქტები გამოვლინდა. მთლიანობაში, თითქმის ყველა საარჩევნო უბაზე კენჭისყრა პოზიტიურად შეფასდა“ და ა. შ.**




დიდ ამერიკელ მწერალ **ო.'ჰენრის** ერთი მოთხრობა აქვს — „ქამელეონი“. მისი სიუჟეტი ასეთია: უნდა დასაჯონ ძაღლი, რომელმაც ოქრომჭედელს თითზე უკბინა. მისი განაჩენი პერიოდულად იცვლება, რადგან ხან გენერლის ძაღლი ჰგონიათ, ხან კი — ჩვეულებრივი გლეხის. ხან ლეკვს უპირებენ მოკვლას, ხან ოქრომჭედელს — დასჯას იმის გამო, რომ გენერლის ძაღლი გააღიზიანა.

ზუსტად ასე იქცევა „ნაცმოძრაობა“ და, კერძოდ, **სააკაშვილი. ნაციონალები, სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, თავს დასავლელი პოლიტიკოსების შეფასებებით იმართლებდნენ, — არჩევნებმა დარღვევების, გაყალბების გარეშე ჩაიარა, ამას ევროპელი მაღალჩინოსნები და განსწავლული ადამიანები ამბობენ და როგორ შეიძლება, არ დავუჯეროთო?! ახლა კი, სააკაშვილი ევროპელ მაღალჩინოსნებს თვალებისა და ყურების უქონლობას აბრალებს.**

„ჩვენ, ყველამ, დავინახეთ, ვისაც თვალები აქვს და ყურები აქვს, რომ ეს არჩევნები წარიმართა დიდი რაოდენობის დარღვევებით“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

„ნაცმოძრაობის“ ყველა წევრი გაყალბების შესახებ ბრალდებას იმით აბათილებდა, რომ რომელიღაც არასამთავრობომ რაღაც თქვა, რომ ისინი ჩვენზე კომპეტენტურები არიან და აუცილებლად უნდა ვენდოთ. და უცებ, ევროკომისრები ამბობენ, რომ არჩევნები, რომელშიც „ნაცმოძრაობამ“ ვერ გაიმარჯვა, პოზიტიური და სამართლიანია. აი, აქ კი იმ ავტორიტეტებმა, რომლებსაც ყოველთვის ფარად იყენებდა „ნაცმოძრაობა“, ყველანაირი მნიშვნელობა დაკარგეს. მათი ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ჩვენ, ქართველები, ისეთი ოსტატები ვართ და არჩევნების გაყალბების ისეთი ხერხები ვიცით, რომლებსაც ევროპელმა დამკვირვებლებმა ვერაფერი გაუგეს, და ყველას მოტყუება მოვახერხეთ. როგორც ჩანს, **ამდენი ეთნიკურად არაქართველი და ქართულის არმცოდნე მხარდამჭერი „ნაცმოძრაობას“ იმიტომ ჰყავს, რომ არ ესმით, რას ლაპარაკობენ მათი ლიდერები.**

ეს — რაც შეეხებოდა არჩევნების ლეგიტიმურობას. ახლა კი სხვა საკითხს შევეხოთ. ამ არჩევნებში ამომრჩეველი იძულებული შეიქნა, ხმა მიეცა „ქართული ოცნებისთვის“, რათა „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მოეპოვებინა უმრავლესობა. „ოცნება“ ისეთი უუნაროა, რომ მათი მხარდამჭერების არჩევანიც კი „ნაციონალურ მოძრაობაზეა“ დამოკიდებული. გაქრება „ნაცმოძრაობა“ — გაიფანტება „ოცნე- ▶

**«ოცნება» ისეთი უუნაროა, რომ მათი მხარდამჭერების არჩევანიც კი «ნაციონალურ მოძრაობაზეა» დამოკიდებული. გაქრება «ნაცმოძრაობა» — გაიფანტება «ოცნების» ამომრჩეველიც და, თუ დღეს ამ პარტიას 48%-იანი მხარდაჭერა აქვს, მთავარი კონკურენტის ყოლის გარეშე 4.8%-იც არ ექნება. ამ ორი პარტიის ურთიერთობა DC comics-ის გმირების — ბეტმენისა და ჯოკერის — ურთიერთობას ჰგავს. თუ ბეტმენი მოკვდება, ჯოკერს აღარავინ ეყოლება ისეთი, ვისთანაც თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას შეძლებს და რიგით დამნაშავედ იქცევა**

**„იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, რომ დაისაჯოს ყველა, ვინც მონაწილეობა მიიღო დარბევაში, ვინც მონაწილეობა მიიღო პოლიციის უფროსის ცემაში, ჩვენ უარს ვიტყვით სამსახურზე. სხვაგვარად სიტუაციის კონტროლი, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება. იმამყულიევი ახალგაზრდებს პირდაპირ მოუწოდებს, რომ ყველა სვანი (და არა ქართველი, ის ქართველებსა და სვანებს ჰყოფს) მტერია და ამაზე ვინმემ პასუხი უნდა მოსთხოვოს“.**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რომელიც სააკაშვილმა ქუთაისში, დიდი სამამულო ომის გმირების აფეთქებული მემორიალისა და აფეთქების დროს დაღუპული გოგონას სისხლზე ააშენა; ასევე, კონსტიტუციაში ჩაიწერება დეფინიცია, რომ ქორწინება მამაკაცისა და ქალის კავშირია, რასაც 2 წელიწადი ეწინააღმდეგებოდნენ დღეს პოლიტიკურ სანაგვეზე განთესილი ქართველი რესპულიკელები.

**მაგრამ ამისთვის „ქართულ ოცნებას“ მე-2 ტურში თავისი ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზაცია დასჭირდება,** რადგანაც „ნაციონალური მოძრაობის“ მოტივირებული ამომრჩევლები არჩევნებზე მეორედაც სრული შემადგენლობით მივლენ, რათა თავიანთი, პირველ ტურში წაგებული, კანდიდატები გაიყვანონ. და კიდევ: „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს ხმას მისცემს პირველ ტურში განთესილი პარტიების, „ნაცმოძრაობის“ სატელიტების, ელექტორატი: ბლოკ **„პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისათვის“ მხარდამჭერები და შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტიის ამომრჩევლები.**

რაც შეეხება ბლოკ **„თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“-ს, ბლოკ „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“-**სა და საარჩევნო კამპანიიდან გასული **ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების“** იმედგაცრუებულ ამომრჩევლებს, ისინი, სავარაუდოდ, არჩევნების მეორე ტურზე საერთოდ არ მივლენ.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“**
**მთავარი რედაქტორი**

◀ ბის“ ამომრჩეველიც და, თუ დღეს ამ პარტიას 48%-იანი მხარდაჭერა აქვს, მთავარი კონკურენტის ყოლის გარეშე 4.8%-იც არ ექნება. ამ ორი პარტიის ურთიერთობა DC comics-ის გმირების — ბეტმენისა და ჯოკერის — ურთიერთობას ჰგავს. თუ ბეტმენი მოკვდება, ჯოკერს აღარავინ ეყოლება ისეთი, ვისთანაც თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას შეძლებს და რიგით დამნაშვედ იქცევა.

ახლა კი — იმ პარტიების შესახებ, რომლებსაც, სავარაუდოდ, ვემშვიდობებით: ირაკლი ალასანია, რომელსაც აღარავინ ენდობა, სხვა გამოსავალი რომ აღარ დარჩა, ადგა და საკუთარი პარტია „თავისუფალი დემოკრატებიდან“ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა — პიპინიასავით პორტ-არტურიდან საკუთარ ცხენს გამოასწრო. პარტია დაეშალა **პაატა ბურჭულაძესაც,** რომელმაც პირველი ათეული ფიზიკურად ვერ შეადგინა (ხალხი არ ეყო).

ასე იყო თუ ისე, არჩევნები ჩაგვიტარეს და მალე ვნახავთ, რას ჩაგვიტარებს „ქართული ოცნება“ შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში. ქართველი ხალხი კი, იმედი ვიქონიოთ, ამჯერად მაინც გამოიტანს სათანადო დასკვნებს.

**ვახტანგ დავითაშვილი**

# მარნეული ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების ზღვარზეა

**როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც სიტუაციის დაძაბვა შეეძლო, მიხეილ სააკაშვილის მიერ დაანონსებული ჩამოსვლა იყო, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ექსპრეზიდენტს კარგად იცნობენ, ამბობდნენ, რომ მიშა ამას, უბრალოდ, ვერ გაბედავდა ციხეში მოხვედრის შიშით; სააკაშვილი საქართველოში კი არა, მისი საზღვრის ახლოსაც ვერ გამოჩნდებაო და არც გამოჩენილა. ჰო, ისიც გავიხსენოთ, სანდრა რულოვსმა რომ თქვა, მიშას გვირაბის გათხრა რომ დასჭირდეს ოდესიდან სოლოლაკამდე, მაინც აქ იქნებაო და უკვე აშკარაა, რომ მოგვატყუა. სანდრას დაანონსებული გათხრა მიშამ არ შეასრულა და ადრეც ასე იყო — მიშას გასათხრელს სხვა თხრიდა.**




**იმამყულიევი დაუფარავად ამბობდა, რომ აზერბაიჯანელებმა სვანს — თამაზ ნავერიანს — მხარი არ უნდა დაუჭირონ, რომ მარნეულში გადაწყვეტილება აზერბაიჯანელმა უნდა მიიღოს და სწორედ ამიტომ მან უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში. იმამყულიევის გარშემო, ძირითადად, ყმაწვილები არიან შეკრებილნი და იმეორებენ იმას, რასაც იმამყულიევი ეუბნება. სწორედ ამ ბიჭებმა მოტეხეს ყბა მარნეულის პოლიციის უფროსს — რამინ ისმაილოვს და, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულები, მეორე ტურშიც იმავეს გაკეთებას აპირებენ**

სამაგიეროდ, სიტუაცია ბოლომდე დაძაბეს ქვემო ქართლში, კონკრეტულად კი — მარნეულში. ის, რაც მარნეულში **ახმედ იმამყულიევის** მხარდამჭერებმა გაბედეს, დაუსჯელი თუ დარჩა, ახალ კონფლიქტამდე არც ისე შორსაა. ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ პრაქტიკულად ყველა შეხვედრაზე **იმამყულიევი დაუფარავად ამბობდა, რომ აზერბაიჯანელებმა სვანს — თამაზ ნავერიანს — მხარი არ უნდა დაუჭირონ, რომ მარნეულში გადაწყვეტილება აზერბაიჯანელმა უნდა მიიღოს და სწორედ ამიტომ მან უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში. იმამყულიევის გარშემო, ძირითადად, ყმაწვილები არიან შეკრებილნი და იმეორებენ იმას, რასაც იმამყულიევი ეუბნება. სწორედ ამ ბიჭებმა მოტეხეს ყბა მარნეულის პოლიციის უფროსს — რამინ ისმაილოვს და, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულები, მეორე ტურშიც იმავეს გაკეთებას აპირებენ.**

ვინც არ იცის, იმასაც ვეტყვით, რომ წინასაარჩევნო კლიპს იმამყულიევმა ოსმალეთის იმპერიის სადიდებელი კლიპის მუსიკა დაადო და შეხვედრებზე არ მალავს, რომ დიადი ოსმალეთის იმპერიის საზღვრების აღდგენის დრო მოვიდა. ამაზე პასუხს მას არავინ სთხოვს და, შესაბამისად, უფრო მეტად თამამდება.

**„შეიძლება ითქვას, რომ მარნეული ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების ზღვარზეა. იმამყულიევი ღია იერიშზეა გადასული — ამბობს ყველაფერს, რაც უნდა; მოსახლეობას აზერბაიჯანელებად და სვანებად ყოფს, რაც ახალგაზრდა აზერბაიჯანელებში მოწონებას იმსახურებს. იმამყულიევი დიდ შეხვედრებზეც არ მალავს, რომ არ მოსწონს ის საზღვრები, რომლებშიც მარნეულია მოქცეული, და ამაზე არავინ არაფერს ეუბნება. ახმედ იმამყულიევი ჩვეულებრივი სეპარატისტია სეპარატისტული განცხადებებით“,** — ეს ერთ-ერთმა მარნეულელმა აქსაკალმა (უხუცესმა) გვითხრა.

სამაგიეროდ, თამაზ ნავერიანის შტაბს მკაცრი მითითება აქვს, რომ მოწინააღმდეგესთან კონფლიქტში არ შევიდეს და სწორედ ამ მითითების გამო, მისი შტაბის წევრები დაღვრემილი უყურებდნენ, როგორ არბევდნენ არჩევნების ღამეს „ქართული ოცნების“ ოფისს მარნეულში იმამყულიევის მხარდამჭერები, რომლებსაც წინ ნაციონალების კანდიდატი მოუძღოდა.

სხვათა შორის, ოლქების დანაწილების პრინციპის გამო, გარდაბნის რაიონის რამდენიმე ქართული სოფელი (კუმისი, თელეთი, კრწანისი, ახალსოფელი, ახალი სამგორი, გამარჯვება) თეთრიწყაროს რაიონს მიუერთეს, მარტყოფი ისანი-სამგორის რაიონმა „წაიღო“ და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გარდაბანში აზერბაიჯანელი და ქართველი ამომრჩევლების შეფარდება **73/27%-ით „დაჯდა“,** ამიტომაც 11 კანდიდატიდან 7 აზერბაიჯანელი იყო და „ქართულ ოცნებასაც“ აზერბაიჯანელი კანდიდატი, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე — **სავალან მირზოევი** ჰყავდა. ყველა სხვა აზერბაიჯანელი კანდიდატისგან განსხვავებით, მირზოევმა კარგად იცის ქართული ენა და ყველა შეხვედრაზე ამბობდა, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებაა სახელმწიფო ენის ცოდნა. ვერ გეტყვით, ეს იყო მიზეზი თუ ის, რომ დანარჩენი აზერბაიჯანელი კანდიდატები მირზოევს ქართველებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულში ადანაშაულებდნენ, მაგრამ ფაქტია — მმართველი გუნდის კანდიდატს ყველა ქართულ სოფელში პროცენტულად უფრო მეტი ხმა ერგო, ვიდრე აზერბაიჯანულში და სწორედ ქართული ხმების ხარჯზე მოიგო პირველივე ტურში.

**რეალურად, „ნაციონალური მოძრაობა“ ქვემო ქართლში წავიდა ყველა პროვოკაციაზე, რომ გაემარჯვა, მაგრამ ერთადერთ საჯილდაო ქვად მარნეული დარჩა, ოლქი, რომელიც რეალურად ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების ზღვარზეა.**

**„იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, რომ დაისაჯოს ყველა, ვინც მონაწილეობა მიიღო დარბევაში, ვინც მონაწილეობა მიიღო პოლიციის უფროსის ცემაში, ჩვენ უარს ვიტყვით სამსახურზე. სხვაგვარად სიტუაციის კონტროლი, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება. იმამყულიევი ახალგაზრდებს პირდაპირ მოუწოდებს, რომ ყველა სვანი (და არა ქართველი, ის ქართველებსა და სვანებს ჰყოფს) მტერია და ამაზე ვინმემ პასუხი უნდა მოსთხოვოს“,** — ეს სიტყვები მარნეულში ერთ-ერთმა ძალოვანმა გვითხრა.

ადგილობრივი მოსახლეობა შეშინებულია. მათ კარგად იციან, რომ, საჭიროების შემთხვევაში, იმამყულიევი იარაღის გამოყენებასაც არ მოერიდება და გაისვრის. შემდეგ უკვე არავის ემახსოვრება, ვინ გაისროლა პირველმა და ვნახავთ იმ ფილმს, რომელიც რამდენჯერმე უკვე ნანახი აქვს საქართველოს.

არჩევნების შედეგების მიხედვით გვეყოლება პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობა ისევ „ქართული ოცნება“ იქნება, უმცირესობა — ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ და... თუ ჩვენი არ გჯერათ, „წყაროზე“ იკითხეთ, **ხალხს ნაციონალები, პარლამენტში კი არა, საბრალდებო სკამზე სურს, იხილოს და დაუსჯელობის სინდრომი ყველაზე მეტად სწორედ მათთვის მუშაობს. როდემდე გაგრძელდება ასე და როდის აივსება, ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხის მოთმინების აბაზანა (ფიალა 2012/14 წლებში გამოცვალეს), არავინ იცის.**






**გიორგი გელაშვილი**

**ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი მომავალში მაჟორიტარული არჩევნების წესსა და სისტემას არ შეცვლიან, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის ჩატარებას აზრი არ აქვს. შეგვიძლია დავზოგოთ ბიულეტენების ბეჭდვის ფული, საერთოდ არ დავბეჭდოთ მაჟორიტარული ბიულეტენები და ყველა ოლქში გამარჯვებულად გამოვაცხადოთ იმ პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები, რომელთა წარმდგენი პარტიაც გაიმარჯვებს პროპორციულ არჩევნებში.**

# პოლიტიკური ფეოლა და ანცი ნაცები

**პირდაპირ ასე დავიწყებ — არაფერიც არ გაყალბებულა! მიუხედავად იმისა, რომ მე ზოგადიდეურადაც და პირადადაც წავაგე ეს არჩევნები, მაინც ბოლომდე „ვაწვები პირველ ჩვენებას“ და ვიმეორებ, რომ ეს, გაყალბება კი არა, სწორედაც სამწუხარო რეალობაა!**

ზოგადიდეურად იმიტომ მიმაჩნია თავი წაგებულად, რომ ნამდვილად არ მსურდა პროპორციული, ანუ პარტიული ადგილები საქართველოს პარლამენტში ისე გადანაწილებულიყო, როგორც გადანაწილდა. მიუხედავად ამისა, თვე-ნახევრის წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალში“, ჩემთან ინტერვიუში, როდესაც ჟურნალისტმა მკითხა, — არის მრავალპარტიული პარლამენტის მოლოდინი. თქვენ რას იტყვითო, — ჩემი პასუხი ასეთი იყო:

**— არავითარი მრავალპარტიული პარლამენტი არ იქნება. ადგილებს გადაინაწილებენ ისევ და ისევ ქოცები და ნაცები. 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი ექნება „პატრიოტთა ალიანსს“. ყველა დანარჩენი პარტია პარლამენტს გარეთ დარჩება.**

რასაც გნებავთ და ვისაც გნებავთ, იმას დავიფიცებ, რომ მე არც სახელისუფლო ძალასთან ვარ შეკრული, რომ ასე ზედმიწევნით წინასწარ მცოდნოდა თვე-ნახევრის შემდეგ გასამართი არჩევნების შედეგები, და არც ვანგა ან ნოსტრადამუსი ვარ, ხილვა რომ მქონოდა.

ვიმეორებ: ეს უბრალო რეალობაა. ამის განსაზღვრა შეეძლო ნებისმიერს, ვინც არ წყდება რეალობას და საღად აფასებს სიტუაციას.

კიდევ ცალკე და სხვა ფენომენია **მაჟორიტარული არჩევნები, რომელიც აშკარად მახინჯი სისტემით ტარდება და პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის ჩატარებას არანაირი აზრი არ აქვს, გარდა იმისა, რომ გამარჯვებულ ძალას რეალურად მიღებულ პროცენტზე გაცილებით მეტი მაჟორიტარი დაუმატოს იმისათვის, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა და ქვეყნის შეუზღუდავი ბატონ-პატრონობა შესძინოს.**

თუნდაც წლევანდელი არჩევნების შედეგებს გადავხედოთ. „ქართულმა ოცნებამ“ პარტიულ კენჭისყრაში 48 პროცენტი მოიპოვა, ანუ, რეალურად, მას პარლამენტში ნახევარზე ნაკლები „ხმის უფლება“ უნდა ჰქონდეს, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობისგან ძალიან შორსაა.

პროპორციულ კენჭისყრაში კი 73-დან 20 მაჟორიტარი უკვე დაემატა „ქართულ ოცნებას“ და აშკარაა, რომ დანარჩენ 53-შიც მეორე ტურს სწორედ „ოცნების“ მაჟორიტარები მოიგებენ.

ანუ, **73-ს თუ ვერა, 70 დეპუტატს მაინც „ქართული ოცნება“ მაჟორიტარული სისტემით მიიღებს პარლამენტში.** ეს იმიტომ, რომ მაჟორიტარულ სისტემაში პროცენტების გადანაწილება არ არსებობს. მაჟორიტარის 51 პროცენტი, ფაქტობრივად, 100 პროცენტს ნიშნავს და იგი არავის „უნაწილდება“.

ძნელი არ არის „ცესკოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე იმის ნახვა, რომ ყველა მაჟორიტარის მიერ აღებული ხმები უტოლდება მისი წარმდგენი პარტიის მიერ აღებულ ხმებს.

**მაგალითად, თუკი იქს ოლქში „ოცნებამ“ აიღო ხმების 48 პროცენტი, ნაცებმა — 25, „პატრიოტებმა“ — 5, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ — 3 და ა.შ., ამავე ოლქში წარდგენილი მაჟორიტარებიდანაც „ოცნების“ მაჟორიტარს აღებული აქვს 48%, ნაცების მაჟორიტარს — 25, „პატრიოტების“ მაჟორიტარს — 4, „თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარს — 3 და ა.შ.**

მოსახლეობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სახელსა და გვარს — არჩევნებზე მოსული აქტიური ამომრჩეველი ხაზავს ციფრს და არა პიროვნებას. წარდგენილ მაჟორიტარებს ნომრები რომ შევუცვალოთ, გაიმარჯვებს იმავე ნომრისა და სხვა სახელ-გვარის პიროვნება. ამგვარად, გამარჯვებული პარტია პარლამენტში იღებს მაჟორიტარების 100 პროცენტს და საბოლოოდ **გამარჯვებული პარტიისადმი გამოცხადებული ზოგადი ნდობის პროცენტი სულაც არ ასახავს რეალურად ამ პარტიის წარმომადგენელთა პროცენტულ რაოდენობას პარლამენტში.**

**მარტივია — „ქართულ ოცნებას“ უკვე გარანტირებული აქვს პარტიული სიით, სულ ცოტა, 50 ადამიანის გაყვანა პარლამენტში. მაჟორიტარული მეორე ტურის დასრულების შემდეგ ამას დაემატება კიდევ 70 დეპუტატი. გამოვა, რომ 48-პროცენტიანი ნდობის მქონე პარტია 150-კაციან პარლამენტში 120 დეპუტატს დასვამს, რაც რეალურად 80 პროცენტია.**

დემოკრატიულია თუ არა ამომრჩეველთა 48 პროცენტის 80 პროცენტად ასეთი „ჯადოსნური“ გადაქცევა, მკითხველმა შეფასოს.

აქვე ჩნდება კითხვაც: **სად არის გამოსავალი — მაჟორიტარული სისტემის საერთოდ გაუქმებაში, რომელსაც, ამდენი წელია, ითხოვს ზოგიერთ პოლიტიკური პარტია?**

**მგონია, რომ მაჟორიტარული სისტემა კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ უნდა შეიცვალოს მისი გაძლიერების გზით.**

კერძოდ, **მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს უნდა აეკრძალოთ ამა თუ იმ პარტიის საარჩევნო ნომრის გამოყენება. თავისთავად, პარტიებსაც უნდა აეკრძალოთ მაჟორიტარებად პიროვნებების წარდგენა და მათი მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იქნება, რომ ისედაც გავრცელდეს ხმა სხვადასხვა მეთოდით, რომელ მაჟორიტარს რომელი პარტია უდგას უკან, მაგრამ ასეთი შეზღუდული „უკან დგომა“ სხვა არის და ღია მხარდაჭერა და პარტიის მიერ მაჟორიტარის წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური წარმოება — სხვა.**



**მგონია, რომ მაჟორიტარული სისტემა კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ უნდა შეიცვალოს მისი გაძლიერების გზით. კერძოდ, მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს უნდა აეკრძალოთ ამა თუ იმ პარტიის საარჩევნო ნომრის გამოყენება. თავისთავად, პარტიებსაც უნდა აეკრძალოთ მაჟორიტარებად პიროვნებების წარდგენა და მათი მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, არ იქნება გამორიცხული, რომ ისედაც გავრცელდეს ხმა სხვადასხვა მეთოდით, რომელ მაჟორიტარს რომელი პარტია უდგას უკან, მაგრამ ასეთი შეზღუდული «უკან დგომა» სხვა არის და ღია მხარდაჭერა და პარტიის მიერ მაჟორიტარის წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური წარმოება — სხვა**

რაც მთავარია, ამომრჩეველი ბრმად ველარ შემოხაზავს ორივე ბიულეტენში 41-ს ან 5-ს ან კიდევ რომელიმე სხვა პარტიის ნომერს.

მაჟორიტარების ნუმერაცია უნდა დაიწყოს პარტიული ნუმერაციის ზევით.

მხოლოდ ასე არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები იქნებიან მართლა ნდობით აღჭურვილნი მოსახლეობისგან. თორემ **არსებულ სისტემაში, ვინმე მონდომებული უპარტიო ადამიანი კი არა, შოთა რუსთაველი რომ გავაცოცხლოთ და მაჟორიტარულ არჩევნებში მივალებინოთ მონაწილეობა, მისი გამარჯვების შანსი ნულის ტოლი იქნება!**

მეტიც — **შოთა რუსთაველი აუცილებლად დიდი უპირატესობით წააგებს მაჟორიტარულ არჩევნებს ნებისმიერ უბრალო „კარისკაცთან“, თუკი ამ უკანასკნელს მმართველი პარტიის ნომერს მივცემთ არჩევნებში.**

ამის მიზეზი მარტივია — არჩევნებზე მისული ადამიანების უმრავლესობა პარტიების მიერ არის მობილიზებული. არჩევნებში მონაწილეობენ, ძირითადად, ის ადამიანები, რომლებიც რაიმენაირად არიან დაკავშირებულნი რომელიმე პარტიასთან — ან მისი შვილია ამა თუ იმ პარტიაში, ან მამა ან ნათესავი და ვინმეს ხათრით მიდის არჩევნებზე. შესაბამისად, ის ხაზავს როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ ბიულეტინში პარტიის ნომერს და სულაც არ აინტერსებს სახელი და გვარი, რომელიც ამ ნომრის გვერდით წერია.

მოკლედ, **თუკი მომავალში მაჟორიტარული არჩევნების წესსა და სისტემას არ შეცვლიან, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის ჩატარებას აზრი არ აქვს. შეგვიძლია დავზოგოთ ბიულეტენების ბეჭდვის ფული, საერთოდ არ დავბეჭდოთ მაჟორიტარული ბიულეტენები და ყველა ოლქში გამარჯვებულად გამოვაცხადოთ იმ პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები, რომელთა წარმდგენი პარტიაც გაიმარჯვებს პროპორციულ არჩევნებში.**

რა თქმა უნდა, სახელისუფლო პარტიასა და ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას ხელს არ აძლევს არსებული მაჟორიტარული სისტემის შეცვლა, ამიტომ ნამდვილად ვერ გეტყვით, ოდესმე მართლა იფიქრებს ამაზე ვინმე თუ არა. ვერც იმ ბერკეტს ვხედავ, რომელიც ხალხის მხრიდან მათ ამას აიძულებს.

ამიტომაც იყო ასე არხეინად **ბიძინა ივანიშვილი**. მის „ქართულ ოცნებას“ პროპორციულ კენჭისყრაში თუნდაც 40 ან 35 პროცენტით რომ გაემარჯვა, ეს უკვე თავისთავად ნიშნავდა ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგებას თუნდაც მეორე ტურიდან და 73 დაბევებულ ადგილს პარლამენტში, რომელსაც პარტიული სიიდან გასულები დაემატებოდნენ და, საკონსტიტუციო თუ არა, უბრალო უმრავლესობა გარანტირებული იყო.

ეს არის მიზეზი იმ კულუარული ხმებისაც, რომელთა მიხედვითაც, ასეთი „ცხელი“ საარჩევნო საღამოს მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა არ უღალატა თავის ჩვეულებას და, წესისამებრ, დასაძინებლად საღამოს 10 საათზე დაწვა. სხვათა შორის, მავანნი სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, სწორედ ამიტომაც ვერ გაბედა ცესკომ შედეგების დროულად გამოცხადებაო. როგორც ამბობენ, ღამის 1 საათისთვის ყველა უბანი დათვლილი იყო და შემაჯამებელი ოქმებიც გამზადებული, მაგრამ ცესკოს თავმჯდომარემ **თამარ ჟვა-** ▶

**— რაში ჩავყარე ამდენი ფული? რისთვის გასვით და გაჭამეთ, რომ ისევ იმიმიიმას გაემარჯვა? — დაება ენა მიხეილს.
— ბატონო მიხეილ, თქვენი მზე ნუ ჩაქრება, ჩვენ არაფერი დაგვიკლია. ყველაფერი ზუსტად ისე გავაკეთეთ, როგორც ჩემი დიდი ბებია ზინა აკეთებდა, თქვენც ხომ იქ იყავით და ნახეთ, რომ ზუსტად იმავე რეცეპტით გავაკეთეთ ჯადო, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დამპალს რაღაც უფრო ძლიერი ჰქონია და არ იმუშავა.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀**ნიამ** ბიძინასთან შეუთანხმებლად მათი გამოცხადება ვერ გაბედა, ხოლო **კახა კალაძემ** ვერ გაბედა ბიძინას გაღვიძება...

მხოლოდ ნაციონალი **დავით ბაქარაძის** მიერ ატეხილი ხმაურის შედეგად შეეღვიძა ბიძინას და ცალი თვალის ჩაპაჭუნებით სადღაც გამთენიისას დაუდასტურა თანხმობა შედეგებზეო, — ყვებიან სანდო და არასანდო წყაროები, თუმცა წყაროებსაც თავი რომ დავანებოთ, ამ ამბებში დაუჯერებელი არაფერია.

ბიძინას დასტური არ დასჭირდებოდა არსებულ შედეგებს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წლის არჩევნები ოდნავადაც არ გაყალბებულა და, თუკი ცესკოს თავმჯდომარე ბიძინას გაღვიძებას ელოდა, ეს, უბრალოდ, „ბელადისადმი“ ინსტინქტური შიში იყო და არა ის, რომ არჩევნების შედეგებში ვინმე რეალურად შეიტანდა უკანონო შესწორებას.

აქ გაგვახსენდება კადრი ფილმიდან „ფეოლა“, როდესაც ბალახებზე უდარდელად წამოწოლილ მწვრთნელს გუნდის წევრები ეუბნებიან: „მოვიგეთ, ფეოლა!“ და ისიც ირონიით პასუხობს: „გაგიჭირდებოდათ!“.

„ფეოლა“ გაგვახსენდება იმ შემთხვევაშიც, თუკი „ოცნების“ პარტიულ სიასა და მაჟორიტარებს გადავხედავთ. ნამდვილად დაგვრჩება შთაბეჭდილება, რომ, როგორც იპოლიტე ხვიჩიას გმირი ფეოლა, სწორედ ასევე ბიძინაც სპეციალურად აგროვებდა სუსტ და უნიჭო მოთამაშეებს, რომ როგორმე წაეგო არჩევნები, მაგრამ მოწინააღმდეგეთა კიდევ უფრო უარეს სისუსტეა და უნიჭობას მისთვის უზრუნველი გამარჯვება მოაქვს.

ფაქტია, ისეთი ზანტი და უეფექტო მუშაობით, როგორაც დანარჩენი პარტიები მუშაობდნენ, ისინი ვერანაირად ვერ შეძლებდნენ მოსახლეობის „მეორე ნახევრის“ არჩევნებზე მიყვანას. ის „პირველი ნახევარი“ კი, რომელიც არჩევნებზე მივიდა, 80 პროცენტით „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერები იყვნენ.

**მხოლოდ ამ ორ პოლიტიკურ ძალას შეუძლია დღეს მხარდამჭერების სრული მობილიზება და საარჩევნო ყუთებთან მიყვანა და ამ ფაქტს ვერც ერთი სხვა პოლიტიკური ძალის ლიდერის თვალის ახვევა და „ქუჩაში გავარდნის“ მუქარა ვერ შეცვლის.**

ეს რომ შეიცვალოს, ამას სხვა პოლიტიკურ ლიდერთა მიერ რეალობის სწორი აღქმა და გაცხოველებული პარტიული მუშაობა სჭირდება მთელი 4 წლის განმავლობაში და არა ის — არჩევნებამდე 2 თვით ადრე რომ ახსენდებათ პარტიის აქტივი და სატელევიზიო მუქარებით ცდილობენ ფონს გასვლას.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი **ნინო ბურჯანაძის** „დემოკრატიული მოძრაობაა“, რომელსაც ყოველწლიურად სრულიად ლოგიკურად აკლდება მხარდამჭერები. პირადად ჩემი რჩევა იქნება, ქალბატონმა ნინომ ამის მიზეზი საკუთარ თავში ეძიოს და თავი დაანებოს რეალობის დამახინჯებით თავის მართლებას, — სინამდვილეში გაცილებით დიდი პროცენტი გვიჭერს მხარსო. სხვა სინამდვილე არ არსებობს, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური პარტია ოჯახური კლანივით არ უნდა მართოს არავინ, თორემ სავალალო შედეგს აუცილებლად მიიღებს.

რაც შეეხება **„პატრიოტთა ალიანსს“**, აშკარა იყო, რომ ისინი 5-7 პროცენტის ზევით ვერ წავიდოდნენ. **დავით თარხან-მოურავის** „ბრძნული“ ლექციები ტელეკომპანია „ობიექტივზე“ და ნარცისული სიუჟეტები მხოლოდ და მხოლოდ ირონიისა და ყბისმოქცევის განწყობაზე აყენებს განსაკუთრებით ახალგაზრდა ამომრჩეველს და არასერიოზულ ელფერს აძლევს ამ პოლიტიკურ გაერთიანებას. შესაბამისად, პატრიოტების მიერ საკუთარი პოლიტიკური ძალის უფრო სერიოზული რეკლამირების შემთხვევაში, ალბათ, 15 პროცენტსაც აწევდნენ... თუმცა ხსენებულმა ფაქტორებმა ისინი „გოიმ“ პოლიტიკურ ძალად წარმოაჩინა და ძალიან ბევრი მხადამჭერი დააკარგვინა.

ორივე ამ პოლიტიკური ძალის მიმართ ჩემი პირადი სიმპათიის მიუხედავად, ვიმეორებ, რომ ისინი, თუ ასე განაგრძობენ, კიდევ დაკარგავენ მხარდამჭერებს. **„პატრიოტთა ალიანსს“ ერთში გაუმართლა — არჩევნები 2016 წელს დაემთხვა, ანუ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სრულად არ არიან „გაფარჩაკებული“, თორემ, არჩევნები 2017 წელს რომ ჩატარებულიყო, დარწმუნებული ვარ, 3 პროცენტსაც ვეღარ გადალახავდნენ...**

რაც მთავარია, მათმა ლიდერებმა უნდა შეძლონ ასეთი კრიტიკის ჯანსაღად მიღება, დაფიქრდნენ და თავი დაანებონ ჩემნაირი ადამიანების „მტრად“ გამოცხადებას. იქნებ ოდესმე მიხვდნენ, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობა და სწორი შენიშვნის მიღება და გათვალისწინება მათთვის დადებითი შედეგის მომტანია და არა — პირიქით.

**რაც შეეხება დანარჩენ, ანუ მკვეთრად „პროამერიკულ“ პოლიტიკურ ძალებს, მათ მხარდამჭერების მატების პერსპექტივა არ აქვთ. მათი უმთავრესი პრობლემა ერთმანეთთან ვერგაერთიანება და პირადი ამბიციებია.**

**არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 48 პროცენტმა ხმა „ოცნებას“ მისცა, 27-მა — ნაციონალებს, 5-მა —„პატრიოტებს“. ეს მონაწილე ამომრჩევლის მხოლოდ 80 პროცენტია. დანარჩენი 20 პროცენტი 1-2-3 პროცენტებად არის დაშლილი. 20-პროცენტიანი „ჰაერი“ კი ძალიან ბევრია.**

აი, ამ 20 პროცენტში შემავალი პარტიების იდეურად თანმხვედრ ნაწილს რომ მოეხერხებინა გაერთიანება, სრულიად შესაძლებელი იყო, 15 პროცენტითაც კი შესულიყვნენ პარლამენტში.

მესმის, რომ კომუნისტები ან ბურჯანაძე რესპუბლიკელებთან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაერთიანდებოდნენ, მაგრამ თუნდაც „თავისუფალი დემოკრატების“, რესპუბლიკელებისა და ლეიბორისტების საარჩევნო ბლოკი, არსებული მონაცემებით, სულ ცოტა, 9 პროცენტს იძლევა, რაც პარლამენტში 3 ფრაქციისთვისაც კი იქნებოდა საკმარისი.

ასე რომ, **ყველაფრის მილიარდერისთვის გადაბრალება ძალიან იოლია. უფრო სწორი იქნებოდა, ამ პოლიტიკურ ძალებს საკუთარი უაზრო და გაუმართლებელი ამბიციებისთვის მიექციათ ყურადღება.**

მით უფრო, **სრული უაზრობაა ხალხის ქუჩაში გამოსვლისკენ მოწოდება არჩევნების გაყალბების საბაბით. რა თქმა უნდა, აქ ნაციონალებს არ ვგულისხმობ. ისინი, საერთოდ, სხვა ტიპის „ოპოზიციაა“ (სწორედაც ბრჭყალებში) და მათ მიერ სხვადასხვა დესტრუქციული ქმედება სხვა მიზნებს ისახავს. აკი, ნაცების „ანცობამ“ ამ წინასაარჩევნოდაც სწორედ „ოცნების“ წისქვილზე დაასხა წყალი...**

სხვა პარტიებს კი პირდაპირ ვეტყვი: **თქვენი მხარდამჭერების კრიტიკული მასის მობილიზების თავი რეალურად რომ გქონოდათ, ამას, არჩევნების შემდეგ ქუჩაში კი არა, არჩევნების დროს საარჩევნო ურნებთან გააკეთებდით.**

**სრული უაზრობაა ხალხის ქუჩაში გამოსვლისკენ მოწოდება არჩევნების გაყალბების საბაბით. რა თქმა უნდა, აქ ნაციონალებს არ ვგულისხმობ. ისინი, საერთოდ, სხვა ტიპის «ოპოზიციაა» (სწორედაც ბრჭყალებში) და მათ მიერ სხვადასხვა დესტრუქციული ქმედება სხვა მიზნებს ისახავს. აკი, ნაცების «ანცობამ» ამ წინასაარჩევნოდაც სწორედ «ოცნების» წისქვილზე დაასხა წყალი... სხვა პარტიებს კი პირდაპირ ვეტყვი: თქვენი მხარდამჭერების კრიტიკული მასის მობილიზების თავი რეალურად რომ გქონოდათ, ამას, არჩევნების შემდეგ ქუჩაში კი არა, არჩევნების დროს საარჩევნო ურნებთან გააკეთებდით**




# პოლიტიკური ჯადოს კრახი და საიდუმლო ვიზიტი ოდესაში

**ჩვენმა ძალიან სპეციალურმა კორესპონდენტმა ამ მასალის გამოგზავნა რედაქციაში ცოტა დაგვიგვიანა. საქმე ის არის, რომ მას ოდესაში მოულოდნელმა ვიზიტმა მოუწია — ობიექტები, რომლებსაც ის უთვალთვალებდა, სრულიად მოულოდნელად გამეგზავრნენ ოდესაში და ჩვენს ძალიან სპეციალურ კორესპონდენტსაც სხვა რა დარჩენოდა?! ფორს-მაჟორულ სიტუაციაში გაჰყვა მათ. უკან დაბურნებისთანავე ექსკლუზივი რედაქციაში მოიტანა და მისი საგაზეთო მასალად დამუშავების დროც აღარ იყო, ამიტომ გთავზობთ ჩვენი ძალიან სპეციალური კორესპონდენტის ქრონოლოგიურ ჩანაწერებს:**

**დილის 5 საათი. მოქმედების ადგილი — მახათას მთა, შავბნელთა დასახლება.**

ირინე, მეგი და „ის“ ფშვინავენ.

მოულოდნელად ტელეფონი რეკავს, გაბრუებული მეგი ყურმილს იღებს და ჩახლეჩილი ხმით პასუხობს:

— გისმენ!

— ბატონ მიხეილს უნდა სამივესთან შეხვედრა.

მეგიმ სასწრაფოდ დაახეთქა ყურმილი და შესძახა:

— ადექით!

ირინე და „ის“ შეშფოთებული სახეებით წამოხტნენ და გაურკვევლად იყურებოდნენ აქეთ-იქით.

— გვიბარებს, სწრაფად ჩაიცვით და წავედით!

ირინეს ფერი ეცვალა, არც „ის“ ჩანდა მშვიდი.

— ვიცოდი, ვიცოდი, რომ გავფარჩაკდებოდით, დადექი ახლა და უმტკიცე, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, – ამბობდა მეგი და ზეწარს ასწორებდა.

ირინეს დანა კბილს არ უხსნიდა, თან თავისთვის ამბობდა: — რა დამაკლდა, ნიუჟელი, ყვავის წვენი არ ეყო?! 100 პროცენტზე მივეცი და...

შეიშმუშნა და კარისკენ წავიდა.

— ბილეთები გივის აქვს, პასპორტი ხომ ყველას წესრიგში აქვს? – იკითხა მეგიმ.

— კი, გვაქვს, – უპასუხეს „იმან“ და ირინემ.

ღრუბლიანი დილა იყო, ცოტა სუსხიანიც. ქალბატონები ტაქსიში ჩასხდნენ და აეროპორტისკენ გაემართნენ. იქ გივი ელოდათ ბილეთებით ხელში.

* * *

**12 საათი და 2 წუთი. ოდესა, უკრაინა.**

ირინე მეგი და „ის“ სასოწარკვეთილი სახით დააბიჯებდნენ ოდესის ქუჩებში და ფეხები უკან რჩებოდათ.

— მეგი, გოგო, რა უნდა ვუთხრათ — ჯადომ არ იმუშავაო?

— არ მკითხო, დანა პირს არ მიხსნის, ხო ყველაფერი ვუყავით, რაც 100 პროცენტზე გაგვიყვანდა?

— შენს თავს ვფიცავარ, ყველაფერი — ყვავი ბოლომდე გამოვწურე და ისე შევურიე, – უპასუხა ირინემ.

— ცოტა ხო არ დაგველია? შევთამამდებოდით, ფეხები მიკანკალებს, რა ვუთხრათ, არ ვიცი, — უთხრა „მან“.

— ცოტა კონიაკი მაქვს წამოღებული, გინდა? — შესთავაზა ირინემ.

— მომე, თორემ გასკდა გული, — მიუგო „მან“

* * *

**13 საათი და 10 წუთი. ოდესის ოლქის გუბერნიის მმართველობის შენობა.**

— ზდრასტვიწე, ნას ჟდიოტ მიხაილ ნიკოლაევიჩ, პაჟალუისტა, სკაჟიწე ჩტო მი უჟე ზდეს, — უთხრა მეგიმ დამტვრეული რუსულით ადმინისტრაციის თანამშრომელს.

იღება კარი, ოთახში ზის მიხეილი, მაგიდაზე ფეხები აქვს შემოწყობილი, თმები აქა-იქ გაწეწილი, ხუთივე თითი პირში ჩაუდია და ლოკავს სიმწრისგან.

მეგი, ირინე და „ის“ თავჩაქინდრულები შედიან, იქვე, კუთხეში სხდებიან და ხმას არ იღებენ.

რამდენიმე წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა არის ეს? – მოულოდნელად იღრიალა მიხეილმა. ქალბატონები არ ელოდნენ ყვირილს და შიშისგან სამივე სკამიდან გადაყირავდა.

— რაში ჩავყარე ამდენი ფული? რისთვის გასვით და გაჭამეთ, რომ ისევ იმიმიიმას გაემარჯვა? — დაება ენა მიხეილს.

— ბატონო მიხეილ, თქვენი მზე ნუ ჩაქრება, ჩვენ არაფერი დაგვიკლია. ყველაფერი ზუსტად ისე გავაკეთეთ, როგორც ჩემი დიდი ბებია ზინა აკეთებდა, თქვენც ხომ იქ იყავით და ნახეთ, რომ ზუსტად იმავე რეცეპტით გავაკეთეთ ჯადო, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დამპალს რაღაც უფრო ძლიერი ჰქონია და არ იმუშავა.

— თქვენ კი ნუ მოგვიკვდებით, ბატონო მიხეილ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, — ჩაერია „ის“, — დღე და ღამეს ვასწორებდით, თითქმის გარანტირებული გვქონდა გამარჯვება, მაგრამ ბოლო მომენტში, როგორც ჩანს, იგრძნო იმ უდღეურმა და დაბლოკა ჯადო.

— თქვენ კი ნუ მიგვიკვდებით, ჩვენო ბატონო და პატრონო, ამ ერთხელ იქნებ შეგვინდო და პირობას გაძლევთ, მომავალი ჩვენი იქნება, — უთხრა მეგიმ და სამივე ერთად დაემხო დიდი მიხეილის მუხლებთან.

— სვეტა! — დაუძახა მიხეილმა ასისტენტს, — გააცილე ესენი ავტობუსის გაჩერებამდე, მათი დანახვაც აღარ მინდა, — თქვა მიხეილმა და დარცხვენილი ქალები კაბინეტიდან გამოაძევა.

**გრიგოლ ინგაძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ F-16-ს წარმატებით გამოიყენებენ, უკვე რამდენიმე ათეული წელია (პირველი გაფრენა განხორციელდა 1974 წლის 2 თებერვალს — ნ.კ.), აშკარაა, რომ ეს საფრენი აპარატი მოძველდა. ის ვერ გაუმკლავდება ახალი თაობის მძლავრ რუსულ და ჩინურ გამანადგურებლებს. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლებმა — CY-35-მა და „პაკ-ფა"-მ, აგრეთვე, ჩინელების უხილავმა გამანადგურებელმა J-20-მა ამერიკელთა „შემტევი შევარდენი" მოძველებულ მანქანად აქცია.**

F-16



J-20



CY-35



# ამერიკის ლეგენდა F-16 ჩინური J-20-ისა და რუსული Cy-35-ის წინააღმდეგ: ვინ გაიმარჯვებს?

**F-16 თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც მსუბუქი გამანადგურებელი აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების შეიარაღებული ძალებისთვის. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში ამ მანქანას, რომელსაც „შემტევი შევარდენი" უწოდეს, უნდა დაეკავებინა ქვედა საფეხური წყვილში განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით გამორჩეულ F-15-თან ერთად.**

ნატოელი მოკავშირეებისთვის F-16 უნდა ყოფილიყო საფრონტო გამანადგურებელი, რომელიც შეცვლიდა მოძველებულ F-104-სა და F-15-ს.

მაგრამ ეს შესანიშნავი მახასიათებლებით გამორჩეული პატარა ერთძრავიანი თვითმფრინავი უფრო ფართო ამოცანების შესასრულებლად გამოიყენეს. თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, რომ F-16-ს აღჭურვავდნენ მცირე მანძილზე მოქმედი რაკეტებით — AIM-9 sidewinder-ებით, მაგრამ დროთა განმავლობაში „შემტევმა შევარდენმა" დიდ მანძილზე მოქმედი რაკეტების (AIM-7 Sparrow და AIM-120 AMRAAM) გაშვების შესაძლებლობაც მიიღო. ის ნელ-ნელა გადაიქცა ფართო დანიშნულების საბრძოლო პლატფორმად, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ისეთი ამოცანები, როგორიც არის საავიაციო მხარდაჭერა, ბრძოლის ველის იზოლაცია ჰაერიდან და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ჩახშობა. თვითმფრინავი, აგრეთვე, აღჭურვილია მაღალი სიზუსტის სამართავი რაკეტებით, მათ შორის, AGM-65 Maverick-ით, რადიოლოკაციის საწინააღმდეგო რაკეტა AGM-88 HARM-ითა და დამიზნების JDAM-ის კომპლექტებით აღჭურვილი სამართავი ავიაბომბებით.

რატომ არის F-16 ამერიკელთა შეიარაღებაში აქამდე — ეს სხვა თემაა, მაგრამ ძირითადი დასკვნა ასეთია: **მახასიათებლებს ამ თვითმფრინავისა, რომელსაც კვლავ იყენებს აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალები, მნიშვნელოვნად აღემატება ახალი თაობის რუსული და ჩინური გამანადგურებლების მახასიათებლები.**

თავდაპირველად განვიხილოთ F-16-ის ბოლო და ყველაზე პოპულარული ვერსია, რომელსაც Block 50 უწოდეს. ეს მოდიფიკაცია აღჭურვილია რადიოსალოკაციო სისტემა AN/APG-68V-ით და ტურბორეაქტიული ორკონტურიანი ძრავით (F100-PW-229).

**BLOCK 50-ის მაქსიმალური სიჩქარე საათში 2120 კმ-ია, ფრენის სიშორე საწვავის დაუმატებლად — 580 კმ, ფრენის სიმაღლე — 15,2 კმ. თვითმფრინავს შეუძლია ბორტზე იქონიოს ინფრაწითელი თვითდამიზნების სისტემის მქონე მცირე მანძილზე მოქმედი 6 რაკეტა ან პირდაპირი ხედვის საზღვრებში მოქმედი საჰაერო სამიზნეების დასაზიანებელი 6 რაკეტა, ან კიდევ ეს რაკეტები სხვადასხვა შეფარდებით, ოღონდ არაუმეტეს 6 ერთეულისა.**

**Cy-35-ს უხილავს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ამ გამანადგურებელს მანამდე შეუძლია აღმოაჩინოს და დაარტყას F-16-ს, სანამ ეს საჰაერო მანქანა შეამჩნევს. ამის გამო ამერიკული თვითმფრინავი არასახარბიელო მდგომარეობაშია. საჰაერო ბრძოლაში კი F-16 საერთოდ ვერ შეძლებს Cy-35-თან ისე მიახლოებას, რომ გამოავლინოს თავისი ლეგენდარული მანევრულობა**

მიუხედავად იმისა, რომ F-16-ს წარმატებით გამოიყენებენ უკვე რამდენიმე ათეული წელია (პირველი გაფრენა განხორციელდა 1974 წლის 2 თებერვალს — ნ.კ.), აშკარაა, რომ ეს საფრენი აპარატი მოძველდა. ის ვერ გაუმკლავდება ახალი თაობის მძლავრ რუსულ და ჩინურ გამანადგურებლებს. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლებმა — Cy-35-მა და „პაკ-ფა"-მ (საფრონტო ავიაციის პერსპექტიული საავიაციო კომპლექსი — ნ.კ.), აგრეთვე. ჩინელების უხილავმა გამანადგურებელმა J-20-მა ამერიკელთა „შემტევი შევარდენი" მოძველებულ მანქანად აქციეს. **CY-35-ს უხილავს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ამ გამანადგურებელს მანამდე შეუძლია აღმოაჩინოს და დაარტყას F-16-ს, სანამ ეს საჰაერო მანქანა შეამჩნევს. ამის გამო ამერიკული თვითმფრინავი არასახარბიელო მდგომარეობაშია. საჰაერო ბრძოლაში კი F-16 საერთოდ ვერ შეძლებს CY-35-თან ისე მიახლოებას, რომ გამოავლინოს თავისი ლეგენდარული მანევრულობა.**

ანალოგიური უპირატესობები აქვს ახალ თვითმფრინავებსაც, ისეთებს, როგორიც არის რუსული „პაკ-ფა" და ჩინური J-20. მათი ოდნავ შესამჩნევი კონსტრუქციები კი, საბოლოო ჯამში, ნიშნავს იმას, რომ F-16-ს მოწინააღმდეგე აღმოჩენილიც კი არ ეყოლება, როდესაც მიხვდება, რომ სამართავი რაკეტის სამიზნეშია ამოღებული. **„პაკ-ფა"**-სა და **J-20**-ის დანახვა რადარების ეკრანებზე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თანაც ძალიან მცირე ხნით, როცა აიხსნება მათი იარაღის ნაკვეთურები.

რა შეიძლება გაკეთდეს F-16-ის გასაძლიერებლად? „შემტევი შევარდენის" უახლეს ვარიანტს — **F-16V**-ს ექნება რადიოსალოკაციო სადგური ფაზირებული საანტენო ცხაურებით — APG-83 (SABR), რომელსაც „მეხუთე თაობის გამანადგურებლის ტექნიკას" უწოდებენ, და ეს რადიოსალოკაციო სადგური გაცილებით სწრაფად და ეფექტიანად იმოქმედებს ძველ რადარებთან შედარებით, მაგრამ მიზნების აღმოსაჩენი შესაძლებლობების გაძლიერება პრობლემების მხოლოდ ნახევარია. ეს სადგური **F-16**-ს, რა თქმა უნდა, **Cy-35**-სა და **„პაკ-ფა"**-ს სწრაფად აღმოჩენის უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს, მაგრამ ამ თვითმფრინავებსაც გაუადვილდებათ „შემტევი შევარდენის" პოვნა, რადგან თვითმფრინავი არ არის უხილავი და ამ მახასიათებლის კომპენსირება კორპუსის მოდერნიზებითა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გაძლიერებით შეუძლებელია. ერთადერთი გამოსავალი ახალი თვითმფრინავის აგებაა.

**კაილ მიზოკამი**
The National Interest (აშშ)

# სკანდალი აშშ-ის არმიაში:

# ობამა, ჩვენ არ ვიბრძოლებთ შენი «ბოევიკებისთვის» სირიაში!





**აშშ-ის არმიის სულ უფრო მეტი წარმომადგენელი ათვითცნობიერებს, რომ, სირიაში ტერორისტებთან ბრძოლის ნაცვლად, აშშ-ის სარდლობა „ალ ქაიდას" (სირიაში მოქმედებს „ან-ნუსრას" დროშის ქვეშ) ბოევიკებს უჭერს მხარს.**

ამერიკელი სამხედროები, რომლებიც მიხვდნენ, რომ მათი მთავრობა ცრუობს, მზად არიან, ეს ამბავი მსოფლიოს აცნობონ.

ასეთი თავისებური საპროტესტო აქცია ამერიკელებმა 2013 წელს დაიწყეს (ფოტოების ნაწილი იმხანად არის გადაღებული), მას შემდეგ აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები — ძველი თაობის სამხედროებიც და ახალწვეულებიც — რეგულარულად უერთდებიან ამ აქციას და აქვეყნებენ თავიანთ მიმართვას.





**„ამერიკელი ჯარისკაცები „არას"-ს ეუბნებიან სირიაში ომს. მხარი დაუჭირეთ და გაავრცელეთ ეს ვიდეო"** — ეს განცხადება, რომელიც ვიდეოზეა გადაღებული, სოციალურ ქსელებში ვრცელდება. ასე გამოდიან ამერიკელი სამხედროები იმის წინააღმდეგ, რომ ისინი ტერორისტების ხელის შემწყობებად და „საზარბაზნე ხორცად" აქციეს.

**„ერაყში სისხლი აღარ უნდა დაიღვაროს, უნდა შეჩერდეს სისხლისღვრა სირიაშიც! ჩვენ ამერიკელთა სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიგვაქვს სირიაში იმიტომ, რომ, ობამას გადაწყვეტილებით, აშშ სირიის საშინაო საქმეებში უნდა ჩაერიოს. ჩვენ შორს უნდა დავდგეთ სირიისგან, გამოვუცხადოთ ობამას იმპიჩმენტი და ვიცხოვროთ ისე, როგორც უნდა იცხოვრონ ამერიკელებმა!"** — ამბობენ აქციის ინიციატორები.

აი კიდევ რამდენიმე განცხადება:

*** „მე იმიტომ არ შევსულვარ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში, რომ სირიის სამოქალაქო ომში „ალ ქაიდას" მხარდამხარ მებრძოლა".**

* „მე სამხედრო იმიტომ გავხდი, რომ ჩემი ოჯახი დამეცვა ტერორისტებისგან და არა იმიტომ, რომ თვითონ ვყოფილიყავი ტერორისტი".

* „ობამა, მე არ ვიბრძოლებ შენი ბოევიკებისთვის სირიაში. გამოფხიზლდით, ადამიანებო!"

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

„ჩელსი ლორსონმა აღიარა, რომ ლუისბურგის სკოლის ორ მოსწავლესთან, ძმებთან, სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა. დადგინდა, რომ მასწავლებელმა ქალმა თავისი სექსუალური სურვილების დასაკმაყოფილებლად „დაბადების დღისთვის საჩუქრის მიძღვნის“ საბაბით აცდუნა ერთ-ერთი მოზარდი. თავდაპირველად ქალს სექსი 17 წლის ყმაწვილთან ჰქონდა, შემდეგ — მის უმცროს ძმასთან“.

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## ამერიკელმა მასწავლებელმა ქალმა 2 მოსწავლე დაბადების დღეზე სექსით «დაასაჩუქრა»

**პენსილვანიის შტატში (აშშ) გაასამართლეს 25 წლის მასწავლებელი ჩელსი ლორსონი, რომელიც თავის ავტომობილში 15 და 17 წლის არასრულწლოვან ბიჭებთან სექსით იყო დაკავებული. გამოძიებით დადგინდა, რომ ქალმა არასრულწლოვანებს სექსუალური აქტი დაბადების დღეზე „აჩუქა“.**






**„ჩელსი ლორსონმა აღიარა, რომ ლუისბურგის სკოლის ორ მოსწავლესთან, ძმებთან, სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა. დადგინდა, რომ მასწავლებელმა ქალმა თავისი სექსუალური სურვილების დასაკმაყოფილებლად „დაბადების დღისთვის საჩუქრის მიძღვნის“ საბაბით აცდუნა ერთ-ერთი მოზარდი.**

**თავდაპირველად ქალს სექსი 17 წლის ყმაწვილთან ჰქონდა, შემდეგ — მის უმცროს ძმასთან“,** — წერს Mirror Online-ი.

მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობის შესახებ სოციალურ ქსელში გავრცელებული ჩანაწერების წყალობით შეიქნა ცნობილი. ამის შემდეგ ქალი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დაითხოვეს. გამოძიების პროცესში ის 25 ათასი დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

ეს პირველი სკანდალი არ არის აშშ-ის სასწავლო დაწესებულებებში.

* 2015 წლის ზაფხულში სასამართლომ 22 წლით ალუკვეთა თავისუფლება ინგლისური ენის მასწავლებელს, 30 წლის **ჯენიფერ ფიჩტერს**, რომელსაც სამ მოსწავლესთან ჰქონდა სექსი.

* ნიუჯერსის შტატში 17 წლის მოსწავლეზე სექსუალური ძალადობისთვის დააპატიმრეს კათოლიკური სკოლის 24 წლის მასწავლებელი.

* მიმდინარე წლის აპრილში, ერთი კვირის შუალედში, პოლიციამ დააპატიმრა მასწავლებლები — ცოლ-ქმარი, რომლებსაც ერთმანეთისგან მალულად სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ მოსწავლეებთან. ახლა მეუღლეთაგან თითოეულს 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება.



## ლვოვში 76 წლის პენსიონერი მამაკაცი გააუპატიურეს

**ლვოვის მეოთხე საავადმყოფოში 76 წლის პენსიონერი მამაკაცი გააუპატიურეს. ამ გამაოგნებელ შემთხვევაზე ინფორმაცია ლვოვის ოლქის ნაციონალური პოლიციის სამმართველოს წარმომადგენელმა გაავრცელა.**

ახალგაზრდა კაცი პენსიონერს ექიმად წარუდგა და უთხრა, რომ გასასინჯად მივიდა. შემდეგ კი გააუპატიურა. გარყვნილი მოქალაქე, რომელიც კიევის ოლქის 29 წლის მცხოვრები აღმოჩნდა, სამართალდამცველებმა დააპატიმრეს.

## ამერიკელი მონაზვნები კანაფის მოყვანით ირჩენენ თავს





**მონაზვნების მცირერიცხოვანი ორდენი — „ველის დების ორდენი“ კალიფორნიის ერთ-ერთ მონასტერში კანაფის მოყვანით არის დაკავებული. მონაზვნები ამტკიცებენ, რომ მისგან სამკურნალო მალამოებს ამზადებენ, შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით ყიდიან და თავს ასე ირჩენენ.**

ადრე ქალების მოღვაწეობა კანონის ჩარჩოებს არ სცილდებოდა — კალიფორნიაში სამედიცინო მიზნით მარიხუანის დარგვა და გამოყენება ნებადართული იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვს, თვითონ განსაზღვროს კანაფის სტატუსი. ქალაქი მერსედი კი ერთ-ერთია ჩამონათვალში იმ დასახელებული პუნქტებისა, რომლებშიც აიკრძალა მარიხუანის გამოყენება. ახლა, როგორც ჩანს, „ველის დებმა“ სხვა საქმეს უნდა მიჰყონ ხელი.

## პოპულარული ინგლისელი მსახიობების ჰომოსექსუალური ურთიერთობები



**„ბეჭდების მბრძანებლისა“ და „იქს-ადამიანებში“ მთავარი გმირების როლების შემსრულებელი მამაკაცების სოდომისტური ურთიერთობა.**

ლონდონურმა გამოცემა ES magazine-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ ორ ცნობილ ინგლისელ მსახიობთან — **იენ მაკკელენსა** („იქს-ადამიანები“, „ბეჭდების მბრძანებელი“, „ჰობიტი“) და **პატრიკ სტიუარტთან** („იქს ადამიანები“, „ვარსკვლავური გზა: მომავალი თაობა“), რომლებზეც ბრიტანეთში ვრცელდებოდა ხმები, რომ მათ სასიყვარულო ურთიერთობა აკავშირებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ერთი ცნობილი გეია, მეორე კი — ცოლიანი ჰეტეროსექსუალი. ამ ინტერვიუში კი მათ არ დამალეს თავიანთი ჰომოსექსუალური ურთიერთობა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მთავარი გმირები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. სტალინის გარდაცვალებამდე, მის მძიმე მდგომარეობაში ყოფნისას, მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება და შეთქმულებმა სახელდახელოდ ჩატარებულ პოლიტბიუროს სხდომაზე სახელმწიფოს მართვის სადავეები გადაინაწილეს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-36 (361-365)

# სტალინი და ჟუკოვი

## ნაწილი VI

„მარშალთა ომში" მთავარსარდალმა კვლავ შეიმუშავა ათი სტალინური დარტყმა და განახორციელა კიდეც — მისაზღავი მიუზღო, საბოძები უბოძა და უსაზღვროდ ავტორიტეტული და დაწინაურებული კასტა ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნა. ქვეყნის მძლავრ აღმშენებლობასთან ერთად, სწრაფად იზრდებოდა ხალხთა კეთილდღეობაც. სურსათსა და სამრეწველო საქონელზე ყოველწლიურად იკლებდა ფასები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბინათმშენებლობა. თავბრუდამხვევი ტემპი იყო აღებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

1952 წელს სტალინმა გადაწყვიტა, მოეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობა, რომელზეც პარტია და მთავრობა ანგარიშს ჩააბარებდა ომგადახდილ და გამარჯვებულ ხალხს მე-18 ყრილობის შემდეგ გამართული ხანგრძლივი ბრძოლებისა და შრომის შესახებ. ხალხი დიდი იმედით შეჰყურებდა მე-19 ყრილობის შედეგებს. მოსახლეობა ზეიმობდა და ჰქონდა კიდეც საზეიმო განწყობა ომსა და შრომაში მოპოვებული გამარჯვებების გამო. ქვეყნის ქალაქებში, დაბებსა და რაიონებში მიმდინარეობდა პარტიული კონფერენციები, ჯამდებოდა ადგილობრივი მიღწევები, პატაკები იგზავნებოდა მისამართზე: „მოსკოვი, კრემლი. სტალინს".

კონფერენციებზე მე-19 ყრილობის დელეგატებად ასახელებდნენ რჩეულთა შორის რჩეულებს — ახალგაზრდა მეცნიერებს, ინჟინრებს, მწერლებს, კულტურის მუშაკებს, ომისა და შრომის ვეტერანებს.

სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტში კრემლიდან დეპეშა მიიღეს, ყრილობის დელეგატად დაესახელებინათ მარშალი ჟუკოვი. ეს ჟუკოვის ცხოვრების 180 გრადუსით შემობრუნებას ნიშნავდა.

1952 წლის 5 ოქტომბერს დაწყებული მე-19 ყრილობის დასკვნით ნაწილში, რომელზეც სახელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ასარჩევი ამხანაგები, გაისმა ყველასათვის ნაცნობი გვარი — ჟუკოვი, რომელიც სტალინის უშუალო მითითებით შეიყვანეს ცენტრალური კომიტეტის წევრთა ასარჩევ სიაში.

დაწყნარებული და დამშვიდებული მარშალი ჟუკოვი სხვა მარშალთა შორის კვლავ გამოჩნდა სტალინის გვერდით. როგორც ჟუკოვი ირწმუნება, ამის შემდეგ კერძო საუბარში სტალინმა მას შეიარაღებული ძალების მინისტრობა შესთავაზა, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო — უეცრად გარდაიცვალა.

საინტერესოა უსტალინოდ დარჩენილი მარშალი ჟუკოვის ზიგზაგებიანი ცხოვრების გზა, რომელზეც სწორედ ახლა მინდა მოვუთხრო მკითხველს:

სტალინის გარაცვალებისთანავე, მარტის ბოლოს, სვერდლოვსკში სამთავრობო დეპეშა გაგზავნეს — ჟუკოვს კრემლში გამოცხადებას სთხოვდნენ.

**ნიკიტა ხრუშჩოვი** ღიმილით შეეგება კაბინეტში შესულ მარშალს, გულწრფელად გადაკოცნა და მიულოცა შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილედ დანიშვნა.

**სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მთავარი გმირები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. სტალინის გარდაცვალებამდე, მის მძიმე მდგომარეობაში ყოფნისას, მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება და შეთქმულებმა სახელდახელოდ ჩატარებულ პოლიტბიუროს სხდომაზე სახელმწიფოს მართვის სადავეები გადაინაწილეს.**

სვერდლოვსკიდან ჩამოყვანილ მარშალ ჟუკოვს დაევალა, საპატიმროებიდან და სხვადასხვა ადგილიდან სასწრაფოდ შეეკრიბა სტალინზე განაწყენებული მარშლები და მაღალი ჩინის სამხედროები, რომლებიც გერმანიიდან „ბარახლოვკის" ჩამოტანას შეეწირნენ ან „მარშალთა ომის" მსხვერპლნი შეიქნენ.

1953 წლის 2 ივნისს, სტალინის გარდაცვალებიდან 4 თვის შემდეგ, მარშალმა ჟუკოვმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ხრუშჩოვს, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა სტალინის მაკომპრომეტებელი დოკუმენტების მოძიება და შეთხზვა, გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა, გულდასმით გასცნობოდა პატიმარი გენერლის — კრიუკოვის მოხსენებით ბარათს, რომელიც ციმბირიდან მიიღო. ხრუშჩოვს სწორედ გენერალ კრიუკოვის ახსნა-განმარტება ედო წინ, რომელმაც აღიარა ჟუკოვის დანაშაულებრივი ქმედებები. კრიუკოვს, ვლადიმერ ვიქტორის ძეს, საბჭოთა კავშირის გმირს, 25 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი უმაღლესი სამხედრო სასამართლო კოლეგიის მიერ.

**კრიუკოვის უკიდურესი ცილისწამება და უხამსი ბრალდებები სტალინისა და მისი ლუბლიანკის პატრონების მიმართ, ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ეს წერილი შეიქნა არა მხოლოდ სტალინისა და მისი მართლმსაჯულების მაკომპრომეტებელი, არამედ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა წყობილების ნგრევის პროგრამას.**



ნიკიტა ხრუშჩოვი და მარშალი ჟუკოვი

**საბჭოთა კავშირში 1953 წლის მარტიდან 1964 წლის ოქტომბრამდე მიმდინარე ბაკქანალია არ შეიძლება ნორმალური ადამიანების ცხოვრების ნორმალურ რიტმად ჩაითვალოს. ეს იყო ერთი სულელი ხელმძღვანელის მიერ 300 მილიონი ადამიანის გასასულელებლად დადგმული აბსურდის თეატრი, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც ბოლო**

წერილი განიხილეს 1953 წლის 11 ივლისს, სტალინის გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ. მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მის თავმჯდომარეს **გიორგი მალენკოვს** მიმართა წერილით, რომელსაც ხელს აწერდნენ თავდაცვის მინისტრი **ბულგანინი,** გენერალური პროკურორი **რუდენკო** და მთავარი სამხედრო პროკურორი **ჩეპელოკი.** წერილში აღნიშნული იყო:

*** „დაევალოს სამხედრო სასამართლო კოლეგიას, უმაღლეს სასამართლოს, გადახედოს გასამართლებული გენერლებისა და ადმირალების საქმეს.**

*** ხრუშჩოვის მიერ ხელმოწერილი დადგენილებით:**

დაევალოს სამხედრო კოლეგიას, შეწყვიტოს ყველა სამხედროზე აღძრული საქმე და დაიწყოს მათი სრული რეაბილიტაცია".

კანონმდებლობა, სასამართლო პროცედურები — ყველაფერი განზე იქნა გაწეული, მთავარი იყო, რას იტყოდა მთავარი ხელისუფალი და შეთქმულების ორგანიზატორი.

**საბჭოთა კავშირში 1953 წლის მარტიდან 1964 წლამდე მიმდინარე ბაკქანალია არ შეიძლება ნორმალური ადამიანების ცხოვრების ნორმალურ რიტმად ჩაითვალოს. Eეს იყო ერთი სულელი ხელმძღვანელის მიერ 300 მილიონი ადამიანის გასასულელებლად დადგმული აბსურდის თეატრი, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც ბოლო.**

ხალხსა და ხელისუფლების დაბალი რგოლების წარმომადგენლებზე ძალადობის წარმმართველი ძალა ხრუშჩოვის მიერ სვერდლოვსკიდან ჩამოყვანილი მარშალი ჟუკოვი გახლდათ. სტალინის პერიოდში „დაჩაგრული" და ხრუშჩოვის პერიოდში „გალაღებული" ჟუკოვი განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა.

**სტალინის შემდეგ კაცთმოძულე და განუვითარებელმა ხრუშჩოვმა იერიში მიიტანა მეორე ქართველზე — ლავრენტი ბერიაზე. ყოველგვარ ადამიანურ ნორმებსა და ცინიზმს აღემატება ის სცენები, რომლებიც ამ ნახევრადველურმა ადამიანებმა დადგეს ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ.**

მკითხველს უნდა მოვუბოდიშო, რომ ვერ მივაწოდე მასალა სტალინისა და ბერიას ურთიერთობის შესახებ. ეს ჩემი ბრალი არ არის. მე არ ვარ პროფესიონალი მკვლევარი, ისტორიკოსი და არ მაქვს შესაბამისი კომპეტენცია, მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ სტალინისა და ბერიას ურთიერთობის გამოკვლევასა და ერთ სიბრტყეში წარმოდგენას არათუ მე, ჯერჯერობით ვერავინ შეძლებს — დედამიწის ზურგზე, ალბათ, ვერ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შეძლებს, დაწრიტოს სიბინძურე და ჭაობი, რომელშიც ჩაყარეს მე-20 საუკუნის ეს ორი უდიდესი პიროვნება ქვეყნისა და ხალხის მტრებმა, და მათი ჭეშმარიტი სახეები უჩვენოს შთამომავლობას.

მოვა კი ამისი დრო? — მოვა!

**სტალინისა და ბერიას სიდიადე არის ის, რომ მათი ცხოვრება, მათი აზროვნებისა და ინტელექტის პარამეტრები დიდად აღემატება ჩვეულებივი მოკვდავისას, ამიტომ კიდევ დიდხანს იქნება ბურუსით მოსილი ამ ადამიანების ადგილი საზოგადოებასა და სამყაროში.**

მაგრამ ამის დრო აუცილებლად მოვა. მოვა ისე, როგორც მაცხოვარი. ცეცხლითა და მახვილით.

1955 წელს ხრუშჩოვმა მარშალი ჟუკოვი იუგოსლავიაში მიავლინა ოფიციალური ვიზიტით, მარშალ **ტიტოსთან** მოსალაპარაკებლად კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის მიზნით — „მარშალი მარშალთან უფრო კარგად გამონახავს შეხების წერტილებს".

მეტი პომპეზურობისთვის (თუ დროის მოგების მიზნით — გრ. ონიანი), **უმაღლესმა ხელისუფალმა გადაწყვიტა, ჟუკოვი იუგოსლავიაში გაემგზავრებინა კრეისერ „კუიბიშევით", რომელიც გაივლიდა ყველა დიდ საზღვაო პორტს და მიადგებოდა იუგოსლავიის სანაპიროს, საიდანაც მარშალი ამავე კრეისერით ალბანეთისკენ აიღებდა კურსს, როგორც ეს ვიზიტის ფარგლებში იყო გაწერილი.**

შავი ზღვის ფლოტის **ერთ-ერთი საუკეთესო კრეისერი „კუიბიშევი", რომლითაც თანხმლებ პირებთან ერთად მგზავრობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო მინისტრი, მარშალი ჟუკოვი, სევასტოპოლიდან გავიდა. იგი საიმედოდ იყო დაცული: ზღვის სიღრმიდან წყალქვეშა ნავებით, ხოლო ჰაერიდან — წითელვარსკვლავებიანი გამანადგურებლებით. კრეისერზე იყო უძლიერესი სატელეფონო სადგური დედამიწის ნებისმიერ კუთხეში დასაკავშირებლად.** გზად მიმავალ კრეისერს პორტებში უამრავი ხალხი ხვდებოდა ყვავილებით. ადამიანებს გემბანიდან ამაყად ესალმებოდა დიდ სამამულო ომში გამარჯვების მთავარი სარდალი, მარშალი ჟუკოვი, რომლის მისალმებასაც მოჰყვებოდა საზეიმო სალუტები და ფოიერვერკები. ჟუკოვის შეხვედრებს ფართოდ აშუქებდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური გაზეთები.

მარშალმა კრეისერი დატოვა და დიდი კორტეჟის თანხლებით მარშალ იოსიფ ბროზ ტიტოს რეზიდენციისკენ გაემართა.

ჟუკოვი რეზიდენციამდე არც იყო მისული, რომ რადისტმა მოსკოვიდან მიიღო რადიოგრამა, რომელიც წარუდგინა კრეისერის ლეგენდარულ კაპიტანს — **ვლადიმერ მიხაილინს:**

„გიბრძანებთ, სასწრაფოდ გაემგზავროთ ალ- ▶

**კრემლის ემისრები საბჭოეთის ტერიტორიას მოედვნენ, ყველა სამხედრო უწყებაში პარტიული კრებებისა და პარტაქტივების ჩასატარებლად. როდესაც მარშალ ჟუკოვს ოვაციებითა და სალუტებით ხვდებოდნენ, მის უწყებაში ჟუკოვის პიროვნების კულტის კრიტიკა და პარტიული ნორმებიდან უხეში გადახვევის ფაქტების დაგმობა მიმდინარეობდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მარშალი ჟუკოვი „კუიბიშევის“ გემბანზე


კრეისერი „კუიბიშევი“

## როცა ჟუკოვის ყურამდეც მიაღწია ხმამ, რომ კრეისერმა «კუიბიშევმა» დატოვა იუგოსლავიის სანაპირო და სამშობლოში დაბრუნდა, მან სასწრაფოდ იხმო ადიუტანტი და უბრძანა კრეისერთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. კრეისერთან კავშირი გაწყვეტილი იყო. ჟუკოვმა პირდაპირი ხაზით ითხოვა მოსკოვთან დაკავშირება, მაგრამ მცელობაც კი ამაო აღმოჩნდა. ჟუკოვი და მისი თანხმლები პირები იზოლაციაში მოექცნენ

ბანეთში მინისტრის გარეშე“. მიხაილინმა სასწრაფოდ შეაბრუნა კრეისერის შტურვალი და გეზი ალბანეთისკენ აიღო, თანაც ფიქრობდა: „ეს როგორ — მე ალბანეთში მივდივარ, მინისტრს კი სხვის მიწაზე ვტოვებ?!“

გემი გაშლილ ზღვაში იყო შესული, როცა მეორე დეპეშა მიიღეს:

„სასწრაფოდ დაბრუნდით სევასტოპოლში“.

გაკვირვებული სამხედრო მეზღვაურები თავიანთი კრეისერითა და გამცილებლებითურთ სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

**როგორც კი ხრუშჩოვმა ჟუკოვი იუგოსლავიის მიწაზე დაიგულა, ხოლო კრეისერი — საბჭოეთის წყლებში, არ დააყოვნა და სწრაფად გასცა განკარგულება: შეეკრიბათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა საგანგებო სხდომის ჩასატარებლად.**

პრეზიდიუმის არც ერთმა წევრმა არ იცოდა, რატომ იმართებოდა საგანგებო სხდომა და რა საკითხი უნდა განხილულიყო. სხდომა ხრუშჩოვმა გახსნა და საგანგებო მდგომარეობის გასაცნობად სიტყვა შეიარაღებული ძალების მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროს **ჟელკოვს** მისცა.

ჟელკოვის მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ყველა პარტიულ დანაყოფში ჩატარებულიყო პარტიული კრება, რომლებზეც დაგმობილი იქნებოდა ჟუკოვის მიერ პარტიული ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები. ჟუკოვის პიროვნების კულტის მავნე შედეგები არმიაში და მისი აღმოფხვრის ამოცანები.

რადგან წამოწყებული ავანტიურის წინააღმდეგ შეიძლებოდა გაელაშქრებინა მოსკოვის გარნიზონის პარტიულ ორგანიზაციას, ამიტომ, მეტი კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნით, პარტიული აქტივის კრება არა ოფიცერთა ცენტრალურ სასახლეში, არამედ კრემლის დარბაზში ჩატარდა.

მოსკოვის გარნიზონის პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვით კვლავ ჟელკოვი გამოვიდა.

ჟელკოვის ავტორიტეტის გასამყარებლად პარტაქტივის წინაშე ხრუშჩოვი გამოვიდა, რათა გაეგო ყველა იქ მსხდომს, რას ფიქრობს ქვეყნის პირველი პირი თავდაცვის მინისტრისა და მის მიერ პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევების შესახებ.

**მეორე დღესვე კრემლის ემისრები საბჭოეთის ტერიტორიას მოედვნენ ყველა სამხედრო უწყებაში პარტიული კრებებისა და პარტაქტივების ჩასატარებლად. როდესაც მარშალ ჟუკოვს ოვაციებითა და სალუტებით ხვდებოდნენ, მის უწყებაში ჟუკოვის პიროვნების კულტს აკრიტიკებდნენ და პარტიული ნორმებიდან უხეში გადახვევის ფაქტებს გმობდნენ.**

ჟუკოვსა და მის თანხმლებ პირებს საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია, რა ხდებოდა მათ ქვეყანაში. უცხოეთის საელჩოები და პრესის წარმომადგენლები დააეჭვა იუგოსლავიაში ჟუკოვის ვიზიტის გაშუქების შეწყვეტამ საბჭოთა პრესაში.

**როცა ჟუკოვის ყურამდეც მიაღწია ხმამ, რომ კრეისერმა „კუიბიშევმა“ დატოვა იუგოსლავიის სანაპირო და სამშობლოში დაბრუნდა, მან სასწრაფოდ იხმო ადიუტანტი და უბრძანა კრეისერთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ — კრეისერთან კავშირი გაწყვეტილი იყო. ჟუკოვმა პირდაპირი ხაზით ითხოვა მოსკოვთან დაკავშირება, მაგრამ მოსკოვთან დაკავშირების მცდელობაც ამაო აღმოჩნდა. ჟუკოვი და მისი თანხმლები პირები იზოლაციაში მოექცნენ.**

ჟუკოვმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო საიდუმლო ინფორმაცია იმის შესახებ, რაც მის გარშემო ხდებოდა: რომ ჩატარდა პრეზიდიუმის სხდომა, რომ ტარდება პარტიული აქტივები, რომ გმობენ ჟუკოვის პარტიულ გადაცდომებს და სხვ. მას არც ინფორმატორის ვინაობა დაუმალავს და განაცხადა, რომ მას ინფორმაცია მიაწოდა დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსმა, არმიის გენერალმა **სერგეი შტემენკომ.**

ხრუშჩოვისთვის ცნობილი შეიქნა, რომ საიდუმლომ გაჟონა და ეს შტემენკოს დამსახურება იყო. გაცოფებულმა გასცა განკარგულება, დაუყოვნებლივ მოეხსნათ თანამდებობიდან შტემენკო და არმიის გენერლობიდან დაექვეითებინათ გენერალ-ლეიტენანტობამდე, რაც დაუყონებლივ იქნა აღსრულებული.

**ჟუკოვი, მიიღო რა ეს შემაშფოთებელი ცნობა შტემენკოსგან, სასწრაფოდ ჩამოფრინდა მოსკოვში.**

მეზღაპრე ისტორიკოსებისა და მემუარისტების მიერ გავრცელებული ვერსია, რომ ჟუკოვს მოსკოვის აეროდრომზე მხოლოდ მისი თანაშემწე დახვდა, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

ჟუკოვს მოსკოვის აეროდრომზე დახვდა მისი ყველა მოადგილე და ჯარების სახეობათა ყველა სარდალი. ჟუკოვი თავისი ამაყი გამოხედვით ყველას ესალმებოდა და ხელს ართმევდა. იქვე იდგა მისი პირველი მოადგილე მარშალი **კონევი.**

მაღალჩინოსან სამხედროთა შორის იდგა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი საშუალო ტანის გამხდარი კაცი, რომელიც მიუახლოვდა ჟუკოვს და ხელი გაუწოდა. ეს იყო **ჩერნუხა**, რომელიც პრეზიდიუმის სხდომებზე სტენოგრამებს აკეთებდა. მან მარშალს ხელი ჩამოართვა და მიმართა:

— გიორგი კონსტანტინეს ძევ, თქვენ პრეზიდიუმზე გელოდებიან, ყველა იქ არის შეკრებილი.

— პირდაპირ აქედან? — გაკვირვებულმა იკითხა მარშალმა. — არ შეიძლება შევიარო შინ და ტანსაცმელი გამოვიცვალო?

არავის უნდოდა პასუხისმგებლობის დაკისრება: „გაუშვი. ესე იგი, გაუშვი“, — არ გაუშვებ და, ყველამ კარგად იცოდა ჟუკოვის ხასიათი.

პასუხისმგებლობა ისევ წყნარმა ჩერნუხამ დაიკისრა:

— კი ბატონო. გიორგი კონსტანტინეს ძევ, ოღონდ ნუ დააგვიანებთ. Gგელოდებიან.

ჟუკოვს გულზე ოდნავ მოეშვა.

**ზღაპრები — თითქოს ჟუკოვი აეროდრომიდან პირდაპირ თავის სამუშაო კაბინეტში მივიდა, სადაც მას კავშირგაბმულობის ყველა საშუალება გათიშული დახვდა, სინამდვილეს არ შეეფერება.**

მარშალი კონევი ისტორიკოს პონომარიოვას უყვება:

„როდესაც მარშალი ჟუკოვი თავისი მეუღლით დამხვდურთ ესალმებოდა და ხელს ართმევდა, მე მის გვერდით ვიდექი და, როდესაც მანქანისკენ გაეშურა, გვერდით მივყვებოდი. ჟუკოვმა შემომხედა და მითხრა:

— რა გინდა, რას მიბიძგებ შენი მანქანისკენ?

— რას ბრძანებთ, ამხანაგო მარშალო, ჩვენ ხომ სულ ასე დავდიოდით.

მანქანაში როცა მოვთავსდით, ოდნავ ნერვიული ხმით მკითხა:

— ვის ნიშნავენ ჩემს ნაცვლად?

— ამბობენ, მალინოვსკის.

— კიდევ კარგი, — თქვა ჟუკოვმა — მეშინოდა, ფურცევა არ დაენიშნათ“. (ისე, ეკატერინე ფურცევა რით იყო ნაკლები თინა ხიდაშელზე? — გრ. ონიანი).

ერთი საათის შემდეგ ჟუკოვი კრემლში გამოცხადდა.

პრეზიდიუმის დარბაზში შესული ჟუკოვი ხედავს თავიანთ ადგილებზე მსხდომ პრეზიდიუმის წევრებს, მაგრამ უცნაურად მოეჩვენა, რომ, გარდა პრეზიდიუმის წევრებისა, მაგიდასთან ისხდნენ ის მარშლები და მაღალი ჩინის სამხედროები, რომლებიც აეროდრომზე დახვდნენ.

სწორედ მაღალი ჩინის სამხედრო პირების პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრება არ მოეწონა ჟუკოვს.

ხრუშჩოვმა, რომელიც მაგიდის თავში თავმჯდომარის სავარძელში იჯდა, მიმართა ჟუკოვს, მოკლედ მოეთხრო იუგოსლავიაში ვიზიტის შესახებ.

ჟუკოვმა ვიზიტის შედეგებზე ისევე ზერელედ ისაუბრა, როგორ ზერელედაც უსმენდნენ იქ დამსწრენი. ჟუკოვის სიტყვის დასრულებისთანავე ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ ვიზიტის შედეგები ცნობად იქნას მიღებული, რასაც პრეზიდიუმის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

ხრუშჩოვმა ამის შემდეგ სერიოზულად მიმართა მარშალ ჟუკოვს:

— თქვენი აქ არყოფნის პერიოდში ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა თავდაცვის სამინისტროს პარტიული აქტივი. ამ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ცენტრალური კომიტეტის მდივანს — ამხანაგ **სუსლოვს.**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

## როდესაც მარშალ ჟუკოვს ოვაციებითა და სალუტებით ხვდებოდნენ, მის უწყებაში ჟუკოვის პიროვნების კულტს აკრიტიკებდნენ და პარტიული ნორმებიდან უხეში გადახვევის ფაქტებს გმობდნენ




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო პერიოდში პოლიტიკური სიმწიფე, პრინციპულობა და გონიერება დასავლელი ამომრჩევლებისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. არადა, ამერიკის მოქალაქეებს უფლება არ აქვთ, დაივიწყონ, რომ უნდა აირჩიონ არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო ისტორიის კურსი. პოპულისტები, რომლებიც მოუწოდებენ საშინაო პოლიტიკაზე კონცენტრაციისკენ, სპეკულირებენ ამერიკის ამომრჩევლების ემოციებზე. დღეს კი, როგორც არასდროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო კრიზისების მოგვარებაზე, რადგან ამ რიგის საკითხების გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია დასავლეთის სამყაროს სიმშვიდე და კეთილდღეობა.**

«ბი-ბი-სი»:

# გაეროს ახალი გენერალური მდივანი — ვინ არის ანტონიუ გუტერიში?



**ყველა ელოდა, რომ გაეროს ახალ გენერალურ მდივნად წამოაყენებდნენ ან აღმოსავლეთ ევროპელ კანდიდატს, ან ქალს. ვარაუდი არ გამართლდა: გასულ ხუთშაბათს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ანტონიუ გუტერიშს — პორტუგალიის ყოფილ პრემიერმინისტრს და ლტოლვილთა საქმეების გაეროს ყოფილ უმაღლეს კომისარს. ახალი გენმდივანი თავისი მოვალეობის შესრულებას მომავალი წლის 1 იანვრიდან შეუდგება. ინსაიდერების აზრით, გუტერიშს ძალუძს, ახალი სული შთაბეროს გაეროს, რომელიც ასე სჭირდება ამ საერთაშორისო ორგანიზაციას. ამ დიპლომატს ფართო საზოგადოებრიობა არ იცნობს.**

### კარიერა პორტუგალიაში

ანტონიუ მანუელ დე ოლივეირა გუტერიში დაიბადა ლისაბონში 1949 წელს. შეისწავლა საინჟინრო საქმე და ფიზიკა უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტში.

1971 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დაიწყო მუშაობა უფროს მასწავლებლად.

1974 წელს შევიდა სოციალისტურ პარტიაში და მთელი თავისი ცხოვრება პოლიტიკას მიუძღვნა.

1995 წელს, სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივნად არჩევიდან 3 წლის შემდეგ კი, პორტუგალიის პრემიერმინისტრი გახდა.

### მუშაობა გაეროში

ქვეყნის მთავრობის სათავეში 7 წელიწადს იმყოფებოდა — 2002 წლამდე.

2005 წელს გუტერიში, რომელიც თავისუფლად ფლობდა პორტუგალიურ, ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, მუშაობას იწყებს ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლეს კომისრად.

ამ თანამდებობაზე მუშაობის წლებში გაეროს ჟენევის შტაბ-ბინაში საგრძნობლად შემცირდა აქ მომუშავე მოხელეთა რაოდენობა, ამასთანავე, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, გაუმჯობესდა და ოპერატიული გახდა სააგენტოს რეაგირება საერთაშორისო კრიზისებზე, „ცხელ წერტილებში“ თანამშრომელთა საქმიანობამ გაცილებით უკეთესი შედეგი გამოიღო.

გუტერიში დაუღალავად არწმუნებდა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული და მდიდარი ქვეყნების მთავრობებს, რაც შეიძლება მეტი დახმარება გაეწიათ კონფლიქტებითა და სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის.

„ჩვენ ვერ შევაჩერებთ ადამიანებს, რომლებიც გაურბიან უბედურებას. ისინი მოვლენ. რამდენად კარგად მოვემზადებით მათ დასახვედრად, რამდენად ჰუმანურად ვიმოქმედებთ მათ მიმართ — აი საკითხები, რომლებიც დღეს ჩვენ წინაშე დგას“, — წერდა იგი შარშან ჟურნალ „თაიმსში“.

გუტერიშს ჰყავს ორი შვილი პირველ ცოლთან, რომელიც 1998 წელს გარდაიცვალა. მეორედ 2001 წელს დაქორწინდა, ზრდის ნაშვილებ ბიჭს.



# აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებს კვლავ შეეშალათ?

**5 ოქტომბერს უცნობმა თვითმფრინავებმა დაბომბეს ერაყის პროსამთავრობო სუნიტი მოხალისეების პოზიციები მოსულის სამხრეთით კაიარის რაიონში. დაიღუპა 21 მოხალისე, ხუთი დაიჭრა, — იუწყება პორტალი „სამხედრო მიმომხილველი“.**

კაიარი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონია. ერაყის არმიამ აქ ალყაში მოაქცია “ისლამური სახელმჭიფოს” (დაიშის) ტერორისტები. ავიადარტყმას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ერაყის ხელისუფლებამ და სამხედროებმა მოუწოდეს ამერიკის კოალიციას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ინციდენტის გამოძიება.

სუნიტი მოხალისეების მეთაურმა **ჰაზხან საჰრ ალლიჰაიბიმ** განაცხადა, რომ დარტყმა განხორციელდა ტერორისტების შემოტევის მოგერიებისთანავე, როცა მოხალისეები ომის შემდეგ თავიანთ პოზიციებზე ბრუნდებოდნენ.

«დიე ველტი»:

# ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ევროზონის გახლეჩა იწინასწარმეტყველა

**ნობელიანტი ჯოსეფ სტიგლიცი მიიჩნევს, რომ ევროზონა უახლოეს წლებში შეიძლება დაიშალოს და ამის მიზეზი წევრი ქვეყნების არასაკმარისი გამბედაობა და სოლიდარობა იქნება.**



**„მე მაინტერესებს, თუ რამდენად სწრაფად განახორციელებენ ევროპაში მიღებულ გადაწყვეტილებებს“,** — ამბობს ის. დარწმუნებულია, რომ პოლიტიკოსები ერთმანეთს მოელაპარაკებიან იმაზე, რაც გასაკეთებელია, მაგრამ შემდეგ მათი გადაწყვეტილებები იბლოკება, შესრულება იწელება, დრო იკარგება.

სტიგლიცი მიიჩნევს, რომ აუცილებელია რადიკალური რეფორმების განხორციელება, მაგალითად, უნდა შეიქმნას ბანკების კავშირი ან ანაბრების დაცვის ერთიანი სისტემა. მაგრამ არ სჯერა, რომ პოლიტიკოსები სავალუტო კავშირის ჩაძირვისგან გადარჩენას შეძლებენ. **„10 წლის შემდეგ ევროზონა კი იარსებებს, მაგრამ საკითხავია — როგორი სახით? ნაკლებად სარწმუნოა, რომ მის წევრებად კვლავ 19 ქვეყანა დარჩება“,** — ასეთ პროგნოზს გვთავაზობს მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი.

მისი აზრით, ერთიანი ევროპული ვალუტის ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროებად გაყოფა არის გზა, რომელიც შეძლებს ახალი იმპულსი შესძინოს კონტინენტის პარალიზებულ ეკონომიკას.

მაგალითად მან იტალია დაასახელა: **„როცა იტალიელებთან ვურთიერთობ, ვგრძნობ, რომ იქ ადამიანებს ევროს იმედი აღარ აქვთ“. მეცნიერებიც და პოლიტიკოსებიც დარწმუნებულები არიან, რომ ევრო აღარაფრის მაქნისი არ არის.**

საააგენტო SANA:

# ამერიკელების ავიაციამ დაბომბა სოფელი ალეპოს შემოგარენში



**შედეგად სოფელ სელსანში რამდენიმე ათეული სახლი მიწასთან გასწორდა, დაიღუპა 20 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, ბავშვები.**

აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიციის თვითმფრინავები არცთუ იშვიათად ბომბავენ მშვიდობიანი მოქალაქეების საცხოვრისს, მთავრობის მომხრე მოხალისეების პოზიციებს. მაგალითად, 5 ოქტომბერს დაბომბეს ერაყელი მოხალისეების პოზიციები ქალაქ მოსულის მახლობლად; 17 სექტემბერს — სირიის არმიის დანაყოფები ქალაქ დეირ-ეზ-ზორთან. პენტაგონში განაცხადეს, რომ წინასწარგანზრახვით არ მოქმედებდნენ, შეცდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბომბავდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვაშინგტონის დემოკრატიულ წრეებში ფიქრობენ, რომ ობამას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო უკრაინისთვის. შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა.

# რას უნდა ელოდოს უკრაინა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისგან?

**ამერიკაში დაიწყო საპრეზიდენტო დებატების ციკლი. წინასაარჩევნო პერიოდი დასკვნით ფაზაში შედის და 8 ნოემბერს გაირკვევა, რომელ კანდიდატს მისცემს ხმას ამერიკელი ამომრჩეველი.**

რას უნდა ელოდოს ამ გაურკვეველი დროის შემდეგ უკრაინა ამერიკელი „მეგობრებისგან“?

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ნეზალეჟნაიას ახალ ადმინისტრაციასთან მოუწევს თანამშრომლობა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უკრაინული და აღმოსავლეთ ევროპის წარმოშობის ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას მისცემს დემოკრატიული პარტიის კანდიდატ **ჰილარი კლინტონს.**

ახლახან რუსეთში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **მაიკლ მაკფოლმა** თავის წერილში, რომელიც „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა, შეგვახსენა, როგორ დაეხმარა აღმოსავლეთევროპული ფესვების მქონე ამერიკის მუშათა კლასი **რონალდ რეიგანს** გაპრეზიდენტებაში 1980 და 1984 წლების არჩევნების დროს.

ვაშინგტონის დემოკრატიულ წრეებში ფიქრობენ, რომ ობამას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო უკრაინისთვის. შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა. იხსენებენ ობამას კომენტარებსაც უკრაინაზე, რომლებიც **ჯეფრი გოლდბერგის** სტატიაში „ობამას დოქტრინა“ იყო გადმოცემული. მან ჩვენი ქვეყანა (უკრაინა) რუსეთის ვასალად მოიხსენია და აღნიშნა, რომ, აშშ-ის დამოკიდებულებისა და მოქმედების მიუხედავად, უკრაინა ყოველთვის იქნება მოწყვლადი რუსეთის სამხედრო დომინირების მიმართ. თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ობამას არ ესმოდა ან არ სურდა, გაეგო აღმოსავლეთ ევროპის სტრატეგიული მნიშვნელობა; მრჩევლები არწმუნებდნენ, რომ მთავარი მისია აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე არის ამ ქვეყნის იმიჯის გამოსწორება მსოფლიო სარბიელზე, რომელიც დაზარალდა მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშმა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ დაწყება გამოაცხადა. მსოფლიო ტერორიზმთან დაკავშირებული სიტუაცია უარესდება, ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შერიგების პოლიტიკა ვერ ამოქმედდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი „საბჭოთა მაგიდა“, რადგან გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ „ბოროტების იმპერია“ ვეღარ დაბრუნდება. ყოფილმა სოვეტოლოგებმა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების აუდიტორიებში გადაინაცვლეს, ახალი კრემლელოგები კი ამერიკელებმა ვერ აღზარდეს...

უფლება რომ მქონდეს, შევეკითხებოდი პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს: მიიღებენ თუ არა თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში უკრაინას ნატოს წევრად? რა დაემუქრება რუსეთს მინსკის შეთანხმებათა შეუსრულებლობისთვის? რით შეუწყობს ხელს თქვენი ადმინისტრაცია უკრაინის იურისდიქციაში ყირიმის დაბრუნებას?

პასუხები ამ შეკითხვებზე ნათლად დაგვანახვებს კანდიდატების სტრატეგიულ ხედვას.



ჰილარი კლინტონი და პეტრო პოროშენკო: მორიგი თხოვნა და მორიგი დაპირება



ამერიკული სამხედრო ტექნიკა უკრაინაში ჩაიტანეს: ვის უნდა ეომოს ნეზალეჟნია?!

ნეგატიურ მუხტს შეიცავს „უკრაინისგან დაღლა“, რომელიც შეიმჩნევა დასავლურ მედიაში.

მსოფლიო არაჩეულებრივად დრამატულ დროში ცხოვრობს. ბოლო მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ გეოპოლიტიკური ტურბულენტობა კიდევ 7-10 წელიწადს გაგრძელდება, შეიძლება, მეტ ხანსაც. მსოფლიო მასშტაბის „მოლოტოვის კოქტეილი“ უკვე მზადაა, სად და როდის აფეთქდება და როგორ უნდა ჩავაქროთ ცეცხლი, დღეს ესაა საკითხავი.

ბოლო პერიოდში პოლიტიკური სიმწიფე, პრინციპულობა და გონიერება დასავლელი ამომრჩევლებისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. არადა, ამერიკის მოქალაქეებს უფლება არ აქვთ, დაივიწყონ, რომ უნდა აირჩიონ არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო ისტორიის კურსი. პოპულისტები, რომლებიც მოუწოდებენ საშინაო პოლიტიკაზე კონცენტრაციისკენ, სპეკულირებენ ამერიკის ამომრჩევლების ემოციებზე. დღეს კი, როგორც არასდროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო კრიზისების მოგვარებაზე, რადგან ამ რიგის საკითხების გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია დასავლეთის სამყაროს სიმშვიდე და კეთილდღეობა.

**ანტონ სესტრიცინი,**
**ტორონტო**



# ირანი აშშ-ს თავის შეკავებას ურჩევს

**ირანის უმაღლესი ხელმძღვანელის მრჩეველი ალი აკბარ ველაიათი აფრთხილებს აშშ-ის ხელისუფალთ, თავი შეიკავონ სირიის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საომარი დარტყმების განხორციელებისგან.**

ირანის არხი **„პრეს ტვ“** იტყობინება, რომ აიათოლა ჰამენეის მრჩეველმა, ამერიკის სარდლობის ამგვარ მოქმედებას სირიის არმიის წინააღმდგ „თვითმკვლელობა“ უწოდა.

ველაიათიმ გაიხსენა აშშ-ის ორი სამხედრო დამარცხება ავღანეთსა და ერაყში, და ამერიკის ადმინისტრაციის მესამე ავანტიურა სირიაში, რომელიც დღემდე გრძელდება. მესამე ჯერზე ამერიკელები უფრო მწარედ დამარცხდებიან, განაცხადა მან.

# «თურქეთის ნაკადის» მშენებლობა 2018 წელს დაიწყება

**10 ოქტომბერს სტამბოლში ხელი მოაწერეს მთავრობათაშორის შეთანხმებას „თურქეთის ნაკადის“ პროექტის რეალიზაციის საკითხზე, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“.**

„შეთანხმება ითვალისწინებს ორი მაგისტრალური მილსადენის გაყვანას. თითოეულის სიმძლავრე 15,75 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. მაგისტრალებს შავი ზღვის ფსკერზე გაიყვანენ. ერთი გათვალისწინებულია თურქეთის ბაზრისთვის ბუნებრივი აირის მისაწოდებლად, მეორე ევროპის ქვეყნებს მოამარაგებს საწვავით.

მილსადენების მშენებლობა 2019 წელს უნდა დამთავრდეს. ამ მორიგი „საუკუნის პროექტის“ რეალიზაცია 2018 წელს დაიწყება“, — განუცხადა „როსია-24“-ის კორესპონდენტს „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა **ალექსეი მილერმა.**

მისი თქმით, „საზღვაო მონაკვეთი“ 100 პროცენტით რუსეთის „გაზპრომის“ საკუთრება იქნება. ორივე განშტოების მშენებლობასაც აღნიშნული კომპანია დააფინანსებს, ხოლო ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის გაყვანას თურქეთის ტერიტორიაზე თურქული „ბოტასი“ უზრუნველყოფს.

სატრანზიტო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ყალიბდება ერთობლივი საწარმო.





# «რია ნოვოსტი»: მარინ ლე პენმა სირიაში ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირს დააკისრა

**ევროკავშირი სირიას სამოქალაქო ომში ითრევს და ცდილობს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, რომელსაც რუსეთს აკისრებს.**

ეს განაცხადა სტრასბურგში ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საფრანგეთის ოპოზიციური პარტიის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა.

„თქვენ ყველაფერს აკეთებთ სირიის მთავრობის დასამხობად, ითრევთ ამ ქვეყანას საშინელ სამოქალაქო ომში და ყველა ცოდვას რუსეთს აჰკიდებთ, ქვეყანას, რომელიც „ისლამის სახელმწიფოს ებრძვის“, — აცხადებს ოპოზიციური ფრაქციის ხელმძღვანელი.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინურ ეპოქაში გაიცნო მსოფლიომ ქართული თეატრი, ქართული კინო, მწერლობა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სპორტი. სტალინის ეპოქაში შეიქმნა გამოჩენილი ქართველი სწავლულების სამეცნიერო სკოლები, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ მეცნიერებას. იმ მძიმე წლებში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, ბრძენი სტალინის ხელი რომ არ დატყობოდა. საბჭოეთის სტალინური პერიოდი იყო ქართული კულტურის აყვავებისა და აღორძინების ხანა.**

# ვინ არიან კრიტიკოსები, რომლებსაც ჰყოფნით თავხედობა, შეურაცხყონ სტალინი?

**ბატონო რედაქტორო! ეს წერილი ჩვენთვის, დიდი სამამულო ომის მონაწილე 92 წელს გადაცილებული ვეტერანებისთვის, შეიძლება გედის სიმღერა აღმოჩნდეს და, სანამ დრო დაგვრჩა, გვინდა, ჩვენი ადამიანური ვალი მოვიხადოთ მსოფლიოს ისტორიული პიროვნების, გენერალისიმუსი სტალინის წინაშე, რომლის უშუალო მთავარსარდლობით საბჭოთა ხალხთან ერთად ვიბრძოლეთ დიდ სამამულო ომში, რომელიც ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.**
**დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მიღწეული ეს ისტორიული გამარჯვება მსოფლიოს გამოჩენილმა გონიერმა ადამიანებმა ზედმიწევნით ობიექტურად შეაფასეს, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ბოროტი, უგონო, გაუნათლებელი ადამიანები, განსაკუთრებით საქართველოში, რომლებიც თავიანთი პასკვილებით და ჩლუნგი გონებით შეეცადნენ და დღესაც ცდილობენ, ათასგვარი ინსინუაციებით შეურაცხყონ სტალინის პიროვნება.**
**ჩვენთვის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია. ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხისადმი გამოთქმულია წერილში, რომლის გამოქვეყნებასაც დაბეჯითებით გთხოვთ.**




**მთავრობა, იმის მაგივრად, რომ უფრთხილდებოდეს ისტორიული პიროვნების ხსოვნას, უყურადღებობას იჩენს სტალინის პიროვნებისადმი, ყველანაირად ცდილობს მისი დამსახურების დაჩრდილვას, რათა ხალხს, ახალგაზრდობას დაავიწყოს სტალინის ისტორიული დამსახურება მსოფლიოს და, მათ შორის, ქართველი ერის, წინაშე ფაშისტი ვანდალებისგან კაცობრიობის გადარჩენის საქმეში... დასანანია, რომ მთავრობის მხრიდან სტალინის პიროვნების მიმართ ასეთი უგნური დამოკიდებულება ამერიკელებისა და სხვათა საამებლად არის გამიზნული**

დიდი სტალინის წინააღმდეგ თავხედური, აღვირახსნილი ლანძღვა-გინება სულ უფრო ამაზრზენ ხასიათს იღებს, ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს და ამტკიცებს მისი პიროვნების გენიალურობასა და უკვდავებას.

63 წელზე მეტი გავიდა, რაც აღარ არის მსოფლიო ისტორიაში უთვალსაჩინოესი სახელმწიფო მოღვაწე, ეპოქალური პიროვნება იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. განუზომელია ცივილიზებული სამყაროს წინაშე მისი დამსახურება, რომელიც ობიექტურად იქნა შეფასებული მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. ის იყო უიშვიათესი ადამიანი, რომელიც წინასწარ ჭვრეტდა მოვლენებს. **მაო ძედუნის** შეფასებით, იგი წინ უსწრებდა მოვლენებს და შეეძლო ამ მოვლენების მართვა. აღნიშნულის დასტურად, უამრავი მასალიდან მოვიტანთ მხოლოდ სამ ფაქტს:

*** სტალინმა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განაცხადა, რომ „ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩამოვრჩით 100 წლით და, თუ ეს ჩამორჩენა 10 წელიწადში არ დავძლიეთ, ჩვენ გაგვსრესენ“. დიდმა სტალინმა ქვეყნის გენიალური მართვით, საქვეყნოდ ცნობილი ხუთწლიანი გეგმების წარმატებით განხორციელებით ერთ დროს ჩამორჩენილი რუსეთი, რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედიოდა, ერთ-ერთ განვითარებულ და ძლიერ ქვეყნად აქცია.**

* სტალინმა ფაშისტურ გერმანიასთან დიდი სამამულო ომის დაწყებისას, 1941 წლის 3 ივლისს, საბჭოთა ხალხისადმი რადიომიმართვაში 4 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ამ უსამართლო ომში გერმანიის დამარცხება, დიდი სტალინის ეს წინასწარმეტყველებაც აღსრულდა და ფაშისტური გერმანია თავისივე ბუნაგში იქნა განადგურებული 1945 წლის 9 მაისს.

*** მეტად საინტერესოა დიდი სტალინის გენიალური წინასწარმეტყველება სიკვდილის შემდეგ მისი პიროვნების შეფასების შესახებ. მან განაცხადა, რომ მის მიერ ქვეყნის მართვისას იყო შეცდომები და წარუმატებლობები, მაგრამ წარმატებებიც ხომ იყოო? ყველა შეცდომასა და წარუმატებლობას მას დააბრალებდნენ და მის საფლავს ნაგვით აავსებდნენ. მისი ეს წინჭვრეტაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულდა.**

**გამოჩნდნენ ბოროტი, ბინძური, გაუნათლებელი, არაფრის შემქმნელი ადამიანები, რენეგატები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობის მიზნად სტალინის პიროვნების ლანძღვა-გინება, ტალახში ამოსვრა, ათასგვარი ტყუილისა და ბრალდების შეთხზვა დაისახეს.**

სტალინის პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლები სტალინს რომ აკრიტიკებენ და რომ იგი მათთვის მიუღებელი ისტორიული პერსონაა, არავის უნდა უკვირდეს, რადგან **სტალინმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია, რაც დედამიწის ერთ მეექვსედზე ისტორიაში მანამდე სრულიად უცნობი ტიპის ქვეყნის შექმნითა და სოციალიზმის გამარჯვებით დაგვირგვინდა. სტალინმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მსოფლიოს მასონურ მოძრაობას და ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება კაპიტალისტური იდეოლოგიის მქონე ადამიანების მხრიდან გიკვირდეს სტალინის პიროვნების კრიტიკა და ლანძღვა?**

სტალინის გენია მსოფლიოს გადაწვდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ამ წერილში ჩვენ მხოლოდ საქართველოზე გვინდა ვისაუბროთ, რადგან **ეს დიდებული ზებუნებრივი, ბრძენი ადამიანი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე უხამსად და დაუნდობლად არ ულანძღიათ და უგინებიათ, როგორც საქართველოში.**

ამას წინათ კიევში ყოფნისას ვიწრო წრეში სტალინზე საუბრისას რუსებმა გვითხრეს, სტალინს თვითონ აკრიტიკებთ საქართველოში და ჩვენგან რა გინდათო. არადა, სტალინი იყო ის ადამიანი, რომელმაც უკუნი სიბნელიდან ამოიყვანა ჩვენი ქვეყანა და მსოფლიომ გაიცნო საქართველო, როგორც უძველესი კულტურის მქონე, თანამედროვე დონეზე განვითარებული ქვეყანა. ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, დავიბადეთ, გავიზარდეთ, ვისწავლეთ, ვიბრძოდით და ვშრომობდით სტალინურ ეპოქაში, ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ საქართველოში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, აზროვნების უნარი ჯერ კიდევ შეგვრჩა, თანაც არც მეხსიერება გვღალატობს. ასე რომ, შეგვიძლია პარალელის გავლება სტალინისდროინდელ საბჭოეთსა და დღევანდელ რეალობას შორის.

შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ სტალინური ეპოქა სულაც არ იყო ავადსახსენებელი, როგორც ახლა ამბობენ, თუმცა შეცდომები და სირთულეები იმხანადაც იყო, მაგრამ არა იმდენი და ისეთი, როგორც ახლა გვიხატავენ მუქ ფერებში. რასაც სტალინურ ეპოქაზე წერენ, ძალიან შორსაა სინამდვილისგან. იგი უფრო ისტორიის გაყალბების მცდელობაა; სურვილი, მომავალი თაობის შეცდომაში შეყვანისა. **სტალინურ ეპოქაში გაიცნო მსოფლიომ ქართული თეატრი, ქართული კინო, მწერლობა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სპორტი. სტალინის ეპოქაში შეიქმნა გამოჩენილი ქართველი სწავლულების სამეცნიერო სკოლები, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ მეცნიერებას. იმ მძიმე წლებში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, ბრძენი სტალინის ხელი რომ არ დატყობოდა. საბჭოეთის სტალინური პერიოდი იყო ქართული კულტურის აყვავებისა და აღორძინების ხანა.** მოსახლეობის ცხოვრების დონე ყოველწლიურად იზრდებოდა, არ არსებობდა უმუშევრობის პრობლემა და მოსახლეობას ჰქონდა უამრავი სიკეთე, რომელთა აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ამ ბუმბერაზი ადამიანის უხამსი კრიტიკა? თანაც, **ვინ არიან ეს კრიტიკოსები? — გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც გაუცნობიერებელი არიან ისტორიაში, არ იცნობენ სტალინის შრომებს, წარმოდგენა არ აქვთ მის მოღვაწეობაზე და ქვეყნისთვის ღირებული არაფერი შეუქმნიათ. აი ასეთ ადამიანებს, რომლებმაც დაანგრიეს საქართველო, ეს ოდესღაც აღორძინებული, მზიურ საქართველოდ წოდებული ქვეყანა და ულატაკეს ქვეყნად აქციეს, ჰყოფნით თავხედობა, შეურაცხყონ დიდი სტალინის პიროვნება.**

სტალინის დიდების აპოგეა მისი მთავარსარდლობით ფაშისტური გერმანიის განადგურებაა, რომლის უშუალო მონაწილე ჩვენც გახლდით. მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობაზე ბევრი ითქვა, უამრავი წიგნი დაიწერა და აქ მის

მოკლედ

## «ნაციონალური მოძრაობა» პარლამენტში შედის

**„ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შევა და მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს. ეს გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭომ 11 ოქტომბრის სხდომაზე მიიღო.**

პარტიის წევრების ნაწილი მიიჩნევდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უნდა შესულიყო და მონაწილეობა მიეღო მეორე ტურში, რათა არ მომხდარიყო პარტიის მარგინალიზაცია და თვითიზოლაცია, ასევე, პატივი ეცათ იმ ნახევარი მილიონი ამომრჩევლისთვის, რომელმაც არჩევნებში მხარდაჭერა გამოუცხადა. ნაციონალები მიიჩნევენ, რომ პარლამენტში შესვლით შეებრძოლებიან ერთპარტიულ დიქტატურას.

ნაწილი კი მეორე ტურსა და პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობდა, რადგან მათი აზრით, ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები და ამ არჩევნებმა არ ასახა ქართველი ხალხის ნება. პარლამენტში შესვლით კი მოხდება გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმაცია.



ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყოველი წლის 9 მაისს აღინიშნება გამარჯვების დღე, მაგრამ ამ გამარჯვების შემოქმედის სახელს არც კი ახსენებენ, განა შეიძლება დიდ სამამულო ომზე ისაუბრო და სტალინი არ ახსენო — ეს ხომ ნონსენსია?!



საერთაშორისო მნიშვნელობაზე არ შევჩერდებით, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ამ ომის მოგებით დიდმა სტალინმა, დიახ, დიდმა სტალინმა, მსოფლიოს ხალხები, მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა ფაშისტთა მონობისა და განადგურებისგან.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, აღშფოთებულნი ვართ იმ განუკითხაობით, რომელიც სტალინის პიროვნების მიმართ მისი სიკვდილის შემდეგ შეიქმნა — **ბოროტმა ადამიანებმა დაივიწყეს დიდი სტალინის ის უდიდესი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში, დაივიწყეს საბჭოთა ადამიანების თავგანწირვა, რომელსაც საბჭოთა მეომრები სჩადიოდნენ სტალინის სახელით; დაივიწყეს საბჭოთა ადამიანების გმირობა, როდესაც ისინი სტალინის სახელით ტანკებს მუხლუხებში უვარდებოდნენ, აფეთქებდნენ და თვითონაც იღუპებოდნენ; დავიწყებას მისცეს ჩვენი მებრძოლების გმირობა, როდესაც ისინი სტალინის სახელით ტყვიამფრქვევის ამბრაზურას სხეულით ეფარებოდნენ, როგორც ეს ჩვენმა თანამემამულემ, ბოლნისელმა ვასილ პეტრიაშვილმა გააკეთა 1943 წლის იანვარში და სხვა მრავალი გმირობა დიდი სტალინის სახელით,** რომლებმაც განაპირობა მსოფლიოს ისტორიაში უპრეცენდენტო ომში გამარჯვება.

მთავრობა, იმის მაგივრად, რომ უფრთხილდებოდეს ისტორიული პიროვნების ხსოვნას, უყურადღებობას იჩენს სტალინის პიროვნებისადმი; ყველანაირად ცდილობს მისი დამსახურების დაჩრდილვას, რათა ხალხს, ახალგაზრდობას დაავიწყოს სტალინის ისტორიული დამსახურება მსოფლიოს და, მათ შორის, ქართველი ერის, წინაშე ფაშისტი ვანდალებისაგან კაცობრიობის გადარჩენის საქმეში. **ყოველი წლის 9 მაისს აღინიშნება გამარჯვების დღე, მაგრამ ამ გამარჯვების შემოქმედის სახელს არც კი ახსენებენ, განა შეიძლება დიდ სამამულო ომზე ისაუბრო და სტალინი არ ახსენო?** ეს ხომ ნონსენსია, ეს ხომ იგივეა ისაუბრო 1812 წლის პირველ სამამულო ომზე და კუტუზოვი არ ახსენო?! არ არის ეს ისტორიული სინამდვილის დამახინჯება?! **დასანანია, რომ მთავრობის მხრიდან სტალინის პიროვნების მიმართ ასეთი უგნური დამოკიდებულება ამერიკელებისა და სხვათა საამებლად არის გამიზნული. სტალინის პიროვნების უგულებელყოფა და შეურაცხყოფა სახელმწიფო დონეზეა აყვანილი.** აბა, როგორ გავიგოთ სხვანაირად, როდესაც საქართველოს პარლამენტის სხდომაზე მთავრობის წევრი თავის სიტყვაში დიდ სტალინს უდიერად იხსენიებს, მის პიროვნებას ჰიტლერთან აიგივებს და ამ სულელურ განცხადებას პარლამენტი მოწონებით ხვდება?! არ არის ეს სტალინის პიროვნების მიმართ სახელმწიფოს უზნეო პოლიტიკა?

**საქართველოს მთავრობას არა მხოლოდ სტალინის პიროვნება არ მოსწონს, არამედ არც დიდი სამამულო ომის მონაწილეები ესიმპათიურება. ამის დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ომის ვეტერანები ისე უყურადღებოდ არ არიან მიტოვებულნი, როგორც საქართველოში. კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი: სამამულო ომის ვეტერანებს ომში მონაწილეობის პენსია წაართვეს, მათ ჩვეულებრივი მოქალაქის პენსია ეძლევათ.**

დღეს ეს უვიცი, ბინძური ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან სტალინის ლანძღვაგინებაში. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ სტალინის პიროვნებას, მის შემოქმედებას, მოღვაწეობას, მათ არაფერი წაუკითხავთ სტალინისადმი მიძღვნილი მრავალი ათასი წიგნიდან, თორემ ასე უსინდისოდ არ მოექცეოდნენ სტალინის პიროვნებას. **განა სასაცილო არ არის, სატირალი რომ არ იყოს, რომ ისეთი ადამიანები, უფრო ზუსტად პარაზიტები, როგორიც არიან სააკაშვილები, ბარამიძეები, წიკლაურები, ხოშტარიები, თუთბერიძეები, ხერხეულიძეები, ბერძენიშვილები, ვაშაძეები და მათი მსგავსი ვიგინდარები, ამ ისტორიულ პიროვნებას, ფაშისტური ტირანიისგან კაცობრიობის მხსნელს დასცინიან, აბუჩად იგდებენ, აკრიტიკებენ, აშარჟებენ და ლანძღავენ?** მათ სინდისისნაირი არაფერი შერჩენიათ, თორემ სტალინის მიერ გამის დარჩენილ სამშობლოში არ ცხოვრობენ?! მათი თავხედობა დიდი სტალინის მიმართ ყოველგვარ ზღვარს სცდება, რაც კანონით უნდა ისჯებოდეს. არ არსებობს სიგლახე, მათ რომ არ იკადრონ სტალინის წინააღმდეგ, ვიღაც ვიგინდარა **მალაშხიამ** შექმნა პასკვილი-კინოფილმი სახელწოდებით „ოკუპაცია“, რომელშიც ისტორიული ფაქტები თავდაყირაა დაყენებული. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ, იმ ომის უშუალო მონაწილენი, ცოცხლები ვართ. ამაზე მეტი თავხედობა წარმოუდგენელია. **ეს ნაძირალა მალაშხია სინანულს გამოთქვამს, რომ 1945 წელს გერმანელ დამნაშავეებთან ერთად საბჭოთა კავშირიც არ გაასამართლეს. ამ არაკაცის ნება რომ იყოს, ჩვენც, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, სიამოვნებით ციხეში გაგვისტუმრებდა. სამწუხაროდ, ამ ფილმს საქართველოს ტელევიზიამ დაულოცა გზა.**

სტალინი ამოუწურავი თემაა, ის ისეთი მასშტაბური ადამიანია, რომ მისი პიროვნების შეცნობას საუკუნეები დასჭირდება. ჩვენ მხოლოდ დავძენთ, რომ ამ უბადრუკმა, ავყია და ბოროტმა ადამიანებმა რაც უნდა იჩხავლონ, ლანძღონ და შეურაცხყონ, მის პიროვნებას ვერაფერს დააკლებენ, პირიქით — მეტ პოპულარობას შესძენენ.

ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო დიდი სტალინი, რომლისთვისაც საბჭოთა ხალხებთან ერთად ჩვენ, სამამულო ომის მონაწილე ქართველი ვეტერანები, სიცოცხლეს ვწირავდით?

*** დიდი სტალინი იყო ჩაგრული ადამიანების ქომაგი, რომელთა გასათავისუფლებლად სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა;**

*** სტალინი იყო უდიდესი ნებისყოფის მქონე ადამიანი, რომლისთვისაც დაუძლეველი წინააღმდეგობა არ არსებობდა;**

*** სტალინი იყო ზებუნებრივი ადამიანი, რომლის სადარ პიროვნებას მსოფლიო ისტორია არ იცნობს;**

*** სტალინი იყო ადამიანი, რომელმაც შეძლო სხვადასხვა ეროვნების მრავალი მილიონი ადამიანის ერთ მუშტად შეკვრა და მსოფლიოში უძლეველი, გერმანიის კბილებამდე შეიარაღებული არმიის სასტიკად დამარცხება;**

*** სტალინი იყო ადამიანი, რომელიც ჭვრეტდა და მართავდა მოვლენებს;**

*** სტალინი იყო ადამიანი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ქვეყნის მართვის საიდუმლოებას, და კი არ უნდა თათხონ, არამედ მისგან ისწავლონ ქვეყნის მართვა.**

სწორედ ქვეყნის მართვის უცოდინარობის შედეგია, რომ 25 წელია, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოში სტალინისდროინდელი განვითარების დონეზე ვერ ავედით.

აი ძალიან მოკლედ დიდი სტალინისთვის დამახასიათებელი თვისებები, რომლებითაც ის უხვად იყო დაჯილდოებული.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, გვჯეროდა სტალინის გენიისა, გვიყვარდა იგი, ეს ფაქიზი გრძნობა დღემდე ცოცხლობს ჩვენში და ამ ქვეყნიდან წასვლისას საფლავში გავიყოლებთ. ვეტერანები სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ დიდი სტალინის პიროვნების ასეთი თავაწყვეტილი შეურაცხყოფის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მის აღკვეთას. შეურაცხყოფის ეს კამპანია სახელს ვერ მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ის ხალხური შეგონებაც უნდა გვახსოვდეს, რომ მკვდარზე ცუდს არ ამბობენ.

სტალინი უკვდავია, მისი სახელი საუკუნეებს გაუძლებს. ომის ვეტერანებს ღრმად გვწამს, რომ დადგება დრო, როდესაც ქართველი ერი სტალინის სახელით იამაყებს.

**ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, გული გვწყდება, რომ შერცხვენილი ვართ დიდი სტალინის წინაშე — ვერ შევძელით, დაგვეცვა მკვდარი სტალინი ბინძური, ბოროტი ადამიანების შეურაცხყოფისგან, მაგრამ გვჯერა, რომ მომავალი თაობა ამ საბედისწერო შეცდომას აუცილებლად გამოასწორებს.**

წერილს ინგლისის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, სტალინის დაუძინებელი მტრის — უინსტონ ჩერჩილის მიერ სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, 1959 წლის 21 დეკემბერს, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვით დავამთავრებთ: **„რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“.**

**შოთა ბუაძე,**

**იოსებ ტუხაშვილი,**

**ტარასი იჩქიტიძე,**

**დიდი სამამულო ომის მონაწილენი**

**სტალინი იყო ადამიანი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ქვეყნის მართვის საიდუმლოებას, და კი არ უნდა თათხონ, არამედ მისგან ისწავლონ ქვეყნის მართვა**

მოვლენა

## სასამართლომ „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელები წინასწარ პატიმრობაში დატოვა

**სასამართლომ „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელი მაია რჩეულიშვილი, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩეულიშვილი და „ცენტრ პოინტ აჭარის“ ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი მინდელი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.**

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდებულების ადვოკატების შუამდგომლობები შეფარდებული პატიმრობის შეცვლის შესახებ.

როგორც მოსამართლემ განმარტა, ჯერ კიდევ არსებობს საფრთხე, რომ ბრალდებულებმა თავი აარიდონ მართლმსაჯულებას, ზემოქმედება მოახდინონ მოწმეებზე და მიიმალონ.

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე ე. წ. ბათუმის „მაგნოლიას“ ეპიზოდზე მიმდინარე სასამართლო განხილვას „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეებიც ესწრებოდნენ. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ვახტანგ რჩეულიშვილსა და მათ შორის მცირე შელაპარაკება მოხდა. დაზარალებულებმა რჩეულიშვილისგან ბინებში გადახდილი თანხების დაბრუნება მოითხოვეს.



ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საიდუმლო ქვედანაყოფები შეიქმნა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა (ცსს) და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურის მი-6-ის მხარდაჭერით დასავლეთ ევროპაში კომუნიზმის გამოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ კოორდინირებდა არატრადიციული მეთოდებით საომარი მოქმედების წარმოების ნატოს სპეციალური განყოფილება.**




**შვეიცარიელი მკვლევარი დანიელ განსერი შეისწავლის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფების სკანდალურ ისტორიას. ნატოში შესვლისას დასავლეთევროპულ სახელმწიფოებს ხელი უნდა მოეწერათ საიდუმლო ოქმებისთვის, რომლებიც მათ მთავრობებს ავალდებულებდა, უზრუნველეყოთ დასავლეთის ბლოკზე ორიენტაცია ნებისმიერი საშუალებით „მაშინაც კი, როცა ელექტორატი სხვა უპირატესობების დემონსტრირებას ახდენს“. საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებზე სამხედრო საფრთხის პროეცირებასთან ერთად, ნატო მოწოდებული იყო, განეხორციელებინა ტერორი თვით მის წევრ სახელმწიფოებში, რათა შეენარჩუნებინა ისინი ატლანტიკური ბლოკის ჩარჩოებში. ნატო, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც „დემოკრატიულ ფასეულობათა დამცველი, სინამდვილეში მიზნად ისახავდა, ჩაეხშო საკუთარი მოქალაქეების დემოკრატიული იმედები „ნებისმიერი საშუალებებით“ (მკვლელობის ჩათვლით) და ამგვარად თავს მოეხვია მიცემული კურსი. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ნატოს საიდუმლო არმიების ისტორიას უწოდეს „მეორე მსოფლიო ომის ყველაზე უფრო დაფარული და საშიში სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლოება“.**

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

დამთავრდა „ცივი ომი“. გამოძიებამ გაუგებარი ტერორისტული აქტებისა, რომლებიც იტალიაში მოხდა, აიძულა პრემიერმინისტრი ჯულიო ანდრეოტი, 1990 წლის აგვისტოში ელიარებინა, რომ იტალიასა და სხვა დასავლეთევროპულ ნატოს წევრ ქვეყნებში არსებობენ საიდუმლო არმიები.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საიდუმლო ქვედანაყოფები შეიქმნა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა (ცსს) და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურის მი-6-ის მხარდაჭერით დასავლეთ ევროპაში კომუნიზმის გამოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ კოორდინირებდა არატრადიციული მეთოდებით საომარი მოქმედების წარმოების ნატოს სპეციალური განყოფილება.** საიდუმლო ქსელს, რომელიც იტალიის პრემიერის სენსაციური მხილების შემდეგ ყოველმხრივ იქნა შესწავლილი ევროპელი მოსამართლეების, პარლამენტარების, მეცნიერების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მიერ, იტალიაში კოდური სახელწოდება **„გლადიო“** („ორლესური — მახვილი“) ეწოდა. სხვა ქვეყნებში ქსელი მოქმედებდა კოდური სახელწოდებებით: **„აბსალონი“** — დანიაში, **ROC** — ნორვეგიაში, **SDRA8** — ბელგიაში. თითოეული ქვეყნის სამხედრო დაზვერვა საიდუმლო ანტიკომუნისტურ არმიებს ცსს-სა და მი-6-თან მჭიდრო თანამშრომლობით ხელმძღვანელობდა, თანაც — პარლამენტისა და საზოგადოებრიობისგან დაფარულად. **ყველა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წამყვანი პოლიტიკოსები, პრემიერმინისტრების, პრეზიდენტების, შინაგან საქმეთა მინისტრებისა და თავდაცვის მინისტრების ჩათვლით, მონაწილეობდნენ შეთქმულებაში, ხოლო ნატოს საიდუმლო ოპერაციების გაერთიანებული კომიტეტი და საიდუმლო ოპერაციების დამგეგმავი კომიტეტი განახორციელებდა პროცესს საერთაშორისო დონეზე.**

ნატოს საიდუმლო კომიტეტის ბოლო სხდომა ევროპის ქვეყნების საიდუმლო სამსახურების მონაწილეობით 1990 წლის 24 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა.

იმის გამო, რომ ევროპის ქვეყნებში მოქმედი საიდუმლო ქვედანაყოფების საქმიანობა საყოველთაოდ გამჟღავნდა, პრესის განცხადებით, „ისტორია, ეტყობა, პოლიტიკური თრილერის ფურცლებიდან გაქრა“.

**ცსს-სა და მი-6-ის ძალისხმევით საიდუმლო არმიები შეიარაღებული იყო ავტომატებით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით, საბრძოლო მასალითა და კავშირის დამყარების მაღალტექნოლოგიური მოწყობილობით. ეს ყველაფერი ინახებოდა დასავლეთ ევროპის ტყეებში, მინდვრებში, მიწისქვეშა ბუნკერებში მოწყობილ სამალავებში. საიდუმლო ქსელის წამყვანი სპეციალისტები, საგანგებო დანიშნულების სადესანტო-დივერსიული ძალების წარმომადგენლებთან — „მწვანე ბერეტებთან“ ერთად სწავლობდნენ აშშ-ში, ასევე — ბრიტანეთის საგანგებო დანიშნულების ძალებთან ერთად — ინგლისში.**

საიდუმლო არმია „გლადიო“ დაკომპლექტებული იყო მოსახლეობის ანტიკომუნისტურად განწყობილი ფენებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ ზომიერ კონსერვატორებსა და მემარჯვენე ექსტრემისტებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ სკანდალურად ცნობილი ულტრამემარჯვენე ტერორისტები სტეფანო დელ ჩიაე და ივ ჰერვინ სერაკი.

საიდუმლო დანაყოფების არმია მოქმედების თვალსაზრისით იყო სრული ანალოგი ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების სამმართველოსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დესანტის ჩამოსხმის ოპერაციებს განახორციელებდა და საიდუმლო ომს აწარმოებდა.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა არმია დაიპყრობდა დასავლეთ ევროპას, „გლადიოს“ ჯარისკაცები ნატოს სარდლობით ერთგვარ პარტიზანულ-დივერსიულ რაზმებად უნდა გაერთიანებულიყვნენ და საოკუპაციო ჯარების ზურგში ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდასაჭერად ემოქმედათ. ამოცანად მათ განსაზღვრული ჰქონდათ ჩამოგდებული თვითმფრინავების პილოტების მოძებნა-ევაკუაცია და საოკუპაციო ჯარების მომარაგების გზებზე, აგრეთვე, სამრეწველო რაიონებში დივერსიული ოპერაციების განხორციელება.

მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები არავის დაუპყრია.

**საიდუმლო ომების ვაშინგტონელი და ლონდონელი მესვეურების აზრით, ამ ვითარებაში მთავარი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა დემოკრატიას, კომუნისტური პარტიების ძლიერი გავლენა იყო. ამიტომ მთელი ძალები მათ წინააღმდეგ უნდა წარემართათ. საიდუმლო ქვედანაყოფები ჩართული იყო ტერორისტული აქტების მთელი სერიის განხორციელებაში, რამაც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები გამოიწვია. ამას ადასტურებს მეორადი წყაროები, რომლებიც მოგვიანებით მკვლევართა ხელში აღმოჩნდა. ამ ტერორისტული აქტების მოწყობას, როგორც წესი, აბრალებდნენ კომუნისტებს, რათა სახელი გაეტეხათ მათთვის წინასაარჩევნო კამპანიების პროცესში.**


1972 წლის 31 მაისი, სოფელი პეტეანო (იტალია): „ფიატი 500“ აფეთქების შემდეგ


1974 წლის 28 მაისი, ქალაქი ბრეშა (იტალია), პიაცა დელა ლოჯია. ბომბი აფეთქდა გაერთიანებული ანტიფაშისტური კომიტეტისა და ადგილობრივი პროფკავშირების დემონსტრაციის დროს


1974 წლის 4 აგვისტო. მატარებელი „იტალიკუსი“ აფეთქების შემდეგ

ოპერაციები, უპირველესად, მიმართული იყო მშვიდობიან მოსახლეობაში შიშის დასანერგავად: ბომბების აფეთქებით მატარებლებსა და ბაზრებში (იტალია), რეჟიმის ოპონენტების სისტემატური წამებით (თურქეთი), მემარჯვენე ძალების მიერ სახელმწიფო გადატრიალებების მხარდაჭერით (საბერძნეთი და თურქეთი) და ოპოზიციური ძალების განადგურებით (პორტუგალია და ესპანეთი). საიდუმლო არმიების მხილების შემდეგ ნატოს ხელმძღვანელობამ, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა უარი თქვეს კომენტარი გაეკეთებინათ იმ მოვლენებზე, რომლებიც მასმედიამ მონათლა, როგორც „ყველაზე უფრო დამალული, საშიში სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლოება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში“.

## ტერორისტული შეტევები იტალიაში

1972 წლის 31 მაისს იტალიის სოფელ პეტეანოს მახლობლად, ტყეში აფეთქდა ავტომობილი. შედეგად სერიოზულად დაიჭრა ერთი კარაბინერი (იტალიის გასამხედროებული პოლიციის თანამშრომელი), სამი — გარდაიცვალა. ისინი მოსალოდნელი შემთხვევის ადგილზე ანონიმური სატელეფონო ზარით გამოიძახეს. უპატრონოდ დატოვებული „ფიატ-500“-ის დათვალიერებისას ერთ-ერთმა კარაბინერმა ავტომანქანის კაპოტი ახადა, რამაც ბომბის დეტონირება გამოიწვია. ორი დღის შემდეგ პოლიციამ მიიღო ანონიმური შეტყობინება, რომ ტერაქტი მოწყობილია „წითელი ბრიგადების“ მიერ და რომ ეს პროკომუნისტური დაჯგუფება აპირებს ძალთა ბალანსის შეცვლას იტალიაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მძევლად აყვანისა და მათი დახოცვის გზით.

**პოლიციამ დაუყოვნებლივ ჩაატარა შემოწმებების სერია და 200-მდე კომუნისტი დააპატიმრა. ათ წელიწადზე მეტხანს იტალიელებს სჯეროდათ, რომ სწორედ „წითელმა ბრიგადებმა“ განახორციელეს ტერორისტული აქტი პეტეანოში. და მხოლოდ 1984 წელს ახალგაზრდა იტალიელი მოსამართლე ფელიჩე კასონი დაინტერესდა ამ უკვე დახურული საქმით. ამისკენ მას უბიძგა შეთითხნილი და საეჭვო გარემოებებისა და ფაქტების მთელმა სერიამ. კასონმა, მაგალითად, გაარკვია, რომ უშუალოდ შემთხვევის ადგილზე არ ჩაუტარებიათ პოლიციური გამოძიება; ანგარიში, რომლის მიხედვით ბოროტმოქმედების მიერ გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება იყო იგივე, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებდნენ „წითელი ბრიგადები“, ნაყალბევი იყო: მარკო მორინიმ, იტალიის პოლიციაში მომუშავე სპეციალისტმა, თავის დროზე გამოძიებას ექსპერტიზის ყალბი შედეგები წარუდგინა. ეს კაცი ნეოფაშისტური დაჯგუფების „ახალი წესრიგი“ წევრი იყო.**

მოსამართლე კასონმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება $C_4$, რომელიც გამოყენებული იყო ტერაქტების მოსაწყობად, იმ დროს ყველაზე ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო. მისი გამოყენება მხოლოდ ნატოს შეეძლო. წლების შემდეგ კასონმა, რომელიც ვენეციის ლაგუნის სანაპიროზე XVIII საუკუნეში აშენებულ სასამართლოს შენობაში, თავის პატარა ოფისში იჯდა, ჟურნალისტებს განუცხადა: **„მე მხოლოდ ის მსურდა, რომ მზის სინათლეზე გამომეტანა სიცრუისა და მისტიფიკაციის წლები. მე მსურდა, რომ იტალიას სცოდნოდა სიმართლე“.**

1972 წელს კარაბინერების ჯგუფმა ტრიესტის მახლობლად შემთხვევით აღმოაჩინა იარაღის სამალავი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერება $C_4$, რომელიც პეტეანოში გამოყენებულის იდენტური იყო. კარაბინერები დარწმუნებულები იყვნენ, რომ აღმოაჩინეს კრიმინალური დაჯგუფების ▶

**დადგინდა, რომ პეტეანოში მოწყობილ ტერაქტში ჩართული იყვნენ არა მემარცხენე ოპოზიციის წევრები, არამედ იტალიელი მემარჯვენე რადიკალები და იტალიის სამხედრო დაზვერვა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურთან ერთად მჭიდროდ ურთიერთობდა ნეოფაშისტურ დაჯგუფება „ახალ წესრიგთან“. ტერაქტი, რომელზეც ვლაპარაკობთ, მათი ერთობლივი ნამოქმედარია, მემარცხენე რადიკალებისთვის („წითელი ბრიგადები“) გადაბრალებაც მათი დეზინფორმაციის ნაყოფია.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცსს-სა და მი-6-ის ძალისხმევით საიდუმლო არმიები შეიარაღებული იყო ავტომატებით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით, საბრძოლო მასალითა და კავშირის დამყარების მაღალტექნოლოგიური მოწყობილობით. ეს ყველაფერი ინახებოდა დასავლეთ ევროპის ტყეებში, მინდვრებში, მიწისქვეშა ბუნკერებში მოწყობილ სამალავებში. საიდუმლო ქსელის წამყვანი სპეციალისტები, საგანგებო დანიშნულების სადესანტო-დივერსიული ძალების წარმომადგენლებთან — «მწვანე ბერეტებთან» ერთად სწავლობდნენ აშშ-ში, ასევე — ბრიტანეთის საგანგებო დანიშნულების ძალებთან ერთად — ინგლისში**

◀ არსენალი. წლების შემდეგ მოსამართლე კასონის გამოკვლევამ მიგვანიშნა, რომ ეს სამალავი ერთ-ერთი იყო საიდუმლო არმიების ასზე მეტი სხვა არსენალიდან. კასონმა დაასკვნა, რომ იტალიის სამხედრო დაზვერვამ და იმჯამინდელმა მთავრობამ ძალისხმევა არ დაიშურეს ამ ფაქტის მისაჩქმალად და, რაც მთავარია, არ გამჟღავნებულიყო მისი სტრატეგიული დანიშნულება.

**დადგინდა, რომ პეტეანოში მოწყობილ ტერაქტში ჩართული იყვნენ არა მემარცხენე ოპოზიციის წევრები, არამედ იტალიელი მემარჯვენე რადიკალები და იტალიის სამხედრო დაზვერვა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურთან ერთად მჭიდროდ ურთიერთობდა ნეოფაშისტურ დაჯგუფება „ახალ წესრიგთან“. ტერაქტი, რომელზეც ვლაპარაკობთ, მათი ერთობლივი ნამოქმედარია, მემარცხენე რადიკალებისთვის („წითელი ბრიგადები“) გადაბრალებაც მათი დეზინფორმაციის ნაყოფია.**

მოსამართლე კასონმა დაადგინა ბომბის დამმონტაჟებლის ვინაობაც: იგი აღმოჩნდა ორგანიზაცია „ახალი წესრიგის“ წევრი **ვინჩენცო ვინჩიგერა,** რომელიც ტერაქტის მოწყობიდან წლების გასვლის შემდეგ დააპატიმრეს. მან აღიარა დანაშაული და ისიც, რომ მიმალვაში ხელი შეუწყეს „ახალი წესრიგის“ მომხრეების უდიდესი ქსელის წევრებმა იტალიასა და საზღვარგარეთ: „მთელი მექანიზმი ამოქმედდა — კარაბინერები, შინაგან საქმეთა მინისტრი, საბაჟო და სამხედრო და სამოქალაქო დაზვერვის სტრუქტურები. ყველა აღიარებდა მოწყობილი ტერაქტის იდეოლოგიურ არგუმენტაციას“.

ვინჩიგერა მართალი იყო, როცა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ტერორისტული აქტი პეტეანოში განხორციელებული იყო ისტორიის ყველაზე უფრო არეულ დროს. „ყვავილების რევოლუციებს“ კვალად მოჰყვა სტუდენტური პროტესტები ძალადობის და, კერძოდ, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. ამასთანავე, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში, 1960-იანი წლების მეორე ნახევარში გაძლიერდა იდეოლოგიური დაპირისპირება „მემარცხენეთა“ და „მემარჯვენეთა“ შორის. საზოგადოების დიდი ნაწილი მონაწილეობდა მემარცხენეთა რადიკალურ მოძრაობაში პროტესტის არაძალადობრივი ფორმების გამოყენებით, ისეთების, როგორიც არის დემონსტრაციები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მწვავე დებატები. **იტალიის პარლამენტში ამ მოძრაობას მხარს უჭერდა იტალიის ძლიერი კომუნისტური პარტია და ოდნავ ნაკლებად პოპულარული სოციალისტური პარტია. ისინი აკრიტიკებდნენ, შეერთებულ შტატებს, ვიეტნამის ომს და, უფრო მეტიც, ხელისუფლების უფლებამოსილების განაწილებას იტალიაში: პარლამენტში რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, იტალიის კომპარტიას არ ჰქონდა მინისტრის არცერთი პორტფელი და შეგნებულად ამოგდებული იყო სახელმწიფო ძალაუფლების სისტემიდან. იტალიელმა მემარჯვენეებმა იცოდნენ, რომ ეს იყო აშკარა დისკრიმინაცია და დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების დარღვევა.**

„ცივი ომისა“ და ძალაუფლებისთვის ბრძოლის პირობებში დასავლეთ ევროპის სამთავრობო წრეებში მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალებმა ტერორს მიმართეს. მემარცხენე რადიკალური ტერორისტული დაჯგუფებებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იტალიური „წითელი ბრიგადები“ და გერმანული „წითელი არმიის ფრაქცია“. ამ დანაყოფების წევრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ უსამართლო და კორუფცირებული ხელისუფლების სტრუქტურის შესაცვლელად აუცილებელია ძალადობის გამოყენება. „წითელი არმიის ფრაქციის“ ტერაქტები, ისევე, როგორც „წითელი ბრიგადების“ ტერორი, არ ეხებოდა ადამიანების მასობრივი თავშეყრის ადგილებს. ისინი სკრუპულოზური შერჩევით განსაზღვრავდნენ თავიანთ მსხვერპლს „სახელმწიფო აპარატის“ წევრებს შორის — ბანკირებს, გენერლებს, მინისტრებს, რომლებსაც იტაცებდნენ და ჰკლავდნენ. „წითელი ბრიგადების“ ტერორმა 1970 წელს 75 ადამიანი შეიწირა. მოგვიანებით, სამხედრო და სტრატეგიული ჩვევებისა და გამოცდილების არქონის გამო ბრიგადის წევრები განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე გამოთვალეს, დააპატიმრეს, აწამეს და გისოსებს მიღმა გამოკეტეს.

„ცივი ომის“ სხვა რადიკალური დაჯგუფებებიც ასევე იყენებდნენ ძალადობის მეთოდებს. იტალიაში ასეთები იყვნენ „გლადიოს“ — სამხედრო დაზვერვის სამსახურისა და ფაშისტური მიმართულების ორგანიზაციის „ახალი წესრიგის“ წევრები.

„მემარცხენეთა“ ტერორისგან განსხვავებით, მემარჯვენე რადიკალები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ დაშინების მეთოდს და დარტყმებს მიმართავდნენ სოციალური საფუძვლების წინააღმდეგ.



1980 წლის 2 აგვისტო, ბოლონიის რკინიგზის სადგური ტერაქტის შემდეგ

ამ მიზნით ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებდნენ ნაღმებს, და ადამიანების უაზროდ დახოცვაში კომუნისტებს სდებდნენ ბრალს. **პეტეანოში განხორციელებული აქტი, როგორც ეს მოსამართლე კასონმა დაამტკიცა, ამ კატეგორიის „საქმეების" ერთ-ერთი გამოვლენა იყო. სწორედ მან მისცა ბიძგი ტერორის ასეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც განსაკუთრებით შემაშფოთებელი 1969 წელს შეიქნა.**

სწორედ მაშინ, **ქრისტეშობის ზეიმის დროს, რომისა და მილანის ხალხმრავალ ადგილებში ოთხი ბომბი ააფეთქეს. შედეგად გარდაიცვალა 16 ადამიანი, 80 დაიჭრა და დასახიჩრდა. მსხვერპლთაგან უმრავლესობა უბრალო ფერმერები იყვნენ, რომლებიც სამუშაო დღის შემდეგ მილანში, პიაცა ფონტანაზე მდებარე ეროვნულ აგრარულ ბანკში იყვნენ მისულები, რათა თავიანთ ანგარიშებზე ჩაერიცხათ გამომუშავებული ფული.**

**დესტაბილიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე, ტერაქტში კომუნისტები და მემარცხენე რადიკალები დაადანაშაულეს. ყველა კვალი მოსპეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ დაპატიმრებებს. მოქალაქეებს არავითარი შანსი არ დარჩათ, შეეტყოთ სიმართლე, რადგან სამხედრო საიდუმლო სამსახურებმა ყველაფერი გააკეთეს, სამხილები რომ დაემალათ.** მილანში ერთი ბომბი არ აფეთქდა ტაიმერის გაუმართაობის გამო, იგი ადგილზევე გაანადგურეს საიდუმლო სამსახურის ძალებით, მისი ნაწილები კი მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციის ცნობილ გამომცემელსა და წევრს **ჯანჯაკომო ფელტრინელის** ვილაზე შეუგდეს.

იტალიის პარლამენტის კომისიის პრეზიდენტი, რომელიც „გლადიოს“ საიდუმლო საქმიანობას იკვლევდა **ჯოვანი პელეგრინომ** იტალიის უახლესი ისტორიის ეს არეული დრო ასე შეაფასა: **„ოფიციალური ციფრები გვაჩვენებს, რომ 1969 წლის 1 იანვრიდან 1987 წლის 31 დეკემბრამდე იტალიაში პოლიტიკური მოტივით 14591 ტერაქტი განხორციელდა. საშინელებაა ის, რომ ამ აქტებს 491 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 1181 დაიჭრა და დასახიჩრდა. ეს ციფრები ომისდროინდელი დანაკარგების ფარდია და მსგავსი რამ არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ მომხდარა“.**

ზემონახსენებ სისხლიან ფაქტებს 1974 წლის 28 მაისს ქალაქ ბრეშიაში ანტიფაშისტური დემონსტრაციის აფეთქება უნდა დავუმატოთ. მაშინ 8 ადამიანი დაიღუპა, 102 დაიჭრა. 1974 წლის 4 აგვისტოს მეორე ბომბი ააფეთქეს ექსპრეს „იტალიკუსში“, რომელიც რომიდან მიუნხენში მიემართებოდა. შედეგი — 12 დაღუპული და 48 დაჭრილი. კულმინაცია შეიძლება ვუწოდოთ ძლიერ აფეთქებას 1980 წლის 2 აგვისტოს, იტალიის ეროვნული ზეიმის დღეს, ბოლონიის რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში, რომელსაც 85 ადამიანი ემსხვერპლა, 200-ზე მეტი დაიჭრა. ტერაქტი დღემდე ითვლება ძალადობის ერთ-ერთ უსაშინელეს აქტად, რომლებიც კი ევროპაში გასულ საუკუნეში მოხდა. „წითელი ბრიგადების“ მონაწილეებისგან განსხვავებით, რომლებმაც ცხოვრება ციხეებში დაამთავრეს, მემარჯვენე-რადიკალი ტერორისტები ყოველი ტერაქტის შემდეგ ახერხებდნენ, დევნისთვის თავი დაეღწიათ, რადგან იტალიის უშიშროებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და საიდუმლო სამხედრო სამსახურები იცავდნენ მათ. ამაზე ხაზგასმით მიუთითა ვინჩიგერამ.

მას შემდეგ, რაც პიაცა ფონტანაზე მომხდარი ტერაქტი გაიხსნა და კვალმა გამომძიებლები იტალიის მემარჯვენეებთან მიიყვანა, „ახალი წესრიგის“ წევრ **ფრანკო ფრედას** ჰკითხეს: ხომ არ მიაჩნია, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისა — გენერლები, მინისტრები — მისით მანიპულირებდნენ? **ფრედამ, რომელიც ჰიტლერის თაყვანისმცემელი იყო და თავის პატარა გამოცემაში „მაინ კამფის“ იტალიური თარგმანი დაბეჭდა, უპასუხა, რომ არავინ არის დაზღვეული მანიპულირებისგან: „თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე ზემოქმედებენ ისინი, რომლებიც მათზე გავლენიანები არიან. მე ვიყავი მარიონეტი იდეების, მაგრამ არა საიდუმლო სამსახურების ხელში აქ (იტალიაში) თუ საზღვარგარეთ. სხვა სიტყვებით, მე ჩემი ნებით ვაწარმოებდი ჩემს ომს ჩემი საკუთარი იდეალების კარნახით. ესაა და ეს“.**

2001 წლის მარტში იტალიის კონტრდაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა **ჯანდელიო მელეტიმ ივარაუდა, რომ საიდუმლო არმია „გლადიოს“, იტალიის საიდუმლო სამსახურებს, იტალიის მემარჯვენე-რადიკალი ტერორისტების ჯგუფის სისხლიან ანგარიშსწორებას, რომელიც იტალიელი კომუნისტების დისკრედიტაციისთვის იყო გამიზნული, მხარს უჭერდა თეთრი სახლი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.** მემარჯვენე-რადიკალი ტერორისტების სასამართლო პროცესზე მელეტიმ განაცხადა: **„ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომელიც თავისი მთავრობის მითითებებს განახორციელებდა, მიზნად იტალიური ნაციონალიზმის შექმნა ჰქონდა დასახული. იგი (ნაციონალიზმი) შეძლებდა, შეეჩერებინა მოძრაობა, რომელიც მას მემარცხენეებისკენ გადახრად მიაჩნდა. და ამ მიზნის განსახორციელებლად ცსს-ს შეეძლო მემარჯვენეების ტერორიზმის გამოყენება. გენერალმა ახსნა, რომ იმხანად ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ აშშ გააკეთებდა ყველაფერს, რათა იტალია „მარცხნივ“ არ გადახრილიყო“.** აქვე დაუმატა: „არ დაგავიწყდეთ, რომ სახელმწიფოს სათავეში იდგა ნიქსონი; იგი საკმაოდ უცნაური ადამიანი იყო — გონიერი პოლიტიკოსი არასტანდარტული ინიციატივებით“. 79 წლის მალეტიმ კრიტიკულად გადახედა წარსულს და გულდაწყვეტით დაასკვნა: „გარკვეული აზრით, **იტალია შეერთებული შტატების პროტექტორატი იყო. მე მრცხვენია, რომ ჩვენ კვლავ განსაკუთრებული ობიექტი ვართ“.**

**გაგრძელება იქნება**

**2001 წლის მარტში იტალიის კონტრდაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯანდელიო მელეტიმ ივარაუდა, რომ საიდუმლო არმია «გლადიოს», იტალიის საიდუმლო სამსახურებს, იტალიის მემარჯვენე-რადიკალი ტერორისტების ჯგუფის სისხლიან ანგარიშსწორებას, რომელიც იტალიელი კომუნისტების დისკრედიტაციისთვის იყო გამიზნული, მხარს უჭერდა თეთრი სახლი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ამერიკული წყალქვეშა ნავი ამერიკელმა გერმანელმა, ინჟინერმა ჯულიუს ჰერმან კროლმა (1820—1867) და არიელ პეტერსონმა შექმნეს 1863—1866 წლებში. კროლმა და მისმა გუნდმა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, დროს გაუსწრეს, მაგრამ SUBMARINE EXPLORER-ს მათთვის წარმატება არ მოუტანია.**



# წყალქვეშა ნავი, რომელმაც დროს გაუსწრო

**ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ითვლებოდა, რომ წყალქვეშა ნავის კორპუსი, რომელიც ახლა პანამის სანაპიროზეა, გერმანელებს ეკუთვნოდათ და II მსოფლიო ომის დროინდელი იყო, მაგრამ კვლევის შემდეგ ის უფრო ძველი და ძალიან საინტერესო გემის ნაშთი აღმოჩნდა.**

ეს ამერიკული წყალქვეშა ნავი გერმანული წარმომავლობის ამერიკელმა ინჟინერმა **ჯულიუს ჰერმან კროლმა** (1820—1867) და **არიელ პეტერსონმა** შექმნეს 1863—1866 წლებში. კროლმა და მისმა გუნდმა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, დროს გაუსწრეს, მაგრამ SubMarine Explorer-ს მათთვის წარმატება არ მოუტანია.

კროლი პანამის ნაპირებთან კესონური დაავადებით (დაავადება, რომელიც ემართებათ წყალქვეშა სამუშაობებისათვის განკუთვნილ აპარატში – კესონში მომუშავეებს. დაავადებას იწვევს ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილება სწრაფი დეკომპრესიის შედეგად) გარდაიცვალა გემის გამოცდისას. მაშინ კესონური დაავადების შესახებ არაფერი იცოდნენ. ნავი დიდი სიღრმიდან ძალიან სწრაფად ამოდიოდა წყლის ზედაპირზე, იმ პერიოდისთვის უჩვეულო ტექნოლოგიების წყალობით, რაც შეკუმშული ჰაერის გამოშვებით ბალასტის მოცილებაში გამოიხატებოდა, მაგრამ დეკომპრესიის თავიდან ასაცილებლად წნევის გათანაბრების აუცილებლობაზე იმხანად არავინ არაფერი იცოდა.



# სანკტ-პეტერბურგელმა სტუდენტებმა მზისმობილი ააგეს

**სანკტ-პეტერბურგელი სტუდენტები მათ მიერ შექმნილი მზისმობილით გამოსვლას გეგმავენ მზისმობილთა საერთაშორისო რბოლაში, ხოლო მანქანის საბოლოო ვარიანტის გამოშვებას 2017 წლის მაისში აპირებენ.**





პირველი წელი არ არის, რაც ავსტრალიაში მზისმობილების რბოლა World Solar Challenge ტარდება. ამ მანქანების მუშაობის პრინციპი მარტივია: მზისმობილის სახურავზე მზის ბატარეებია, რომლებიც ელექტროძრავს ამუშავებს.

პირველ რუსულ მზისმობილზე მუშაობა ამა წლის მაისში დაიწყო. Polytech Solar-ი უკვე ამთავრებს ავტომობილის პროექტირებასა და ძლიერი და კომპაქტური ელექტროძრავის დამუშავებას; ფირმა, ამასთანავე, მუშაობს სატრანსპორტო საშუალების ძარისა და ბორბლების ფორმაზე. მზისმობილ SOL-ის ღირებულება 10 მლნ რუბლია.

„ჩვენი მზისმობილი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება. SOL-ი კონკურენტუნარიანია. ეფექტურობა, სიჩქარე, წონა, დიზაინი — ყველაფერი ეს ტოპ-დონეზეა. სამომავლოდ ვაპირებთ **SOL**-ში ავტოპილოტის ჩანერგვას. მსგავსი რამ ჯერ ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ფინიშამდე ნახევარზე მეტი პილოტი ვერ აღწევს, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ, ჩვენი ქმნილება მათ რიცხვში რომ არ მოხვდეს. **SOL**-ის სიჩქარე იქნება 90კმ/სთ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიქნებით", — აღნიშნა პროექტის მონაწილემ „კომსომოლსკაია პრავდასთან" საუბარში.

შემქმნელთა ჯგუფისთვის რბოლის მოგება არ არის მთავარი. მათ სურთ ყურადღების მიქცევა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე, რადგან ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება რუსეთში სუსტადაა განვითარებული. მაგალითად, მოცემულ მომენტში რუსეთში რეგისტრირებულია მხოლოდ 700 ელექტრომობილი, მაშინ, როცა მეზობელ ნორვეგიაში მანქანების საერთო რაოდენობაში მათი წილი 25%-ია.

# REVERO — ელექტრომობილი მზის ბატარეებით



**„ტესლას" პოტენციური კონკურენტი, კომპანია Fisker Automotive, ბაზარზე ლუქს კლასის ელექტრული სედანის ახალი მოდელით ბრუნდება, რომლის სახელწოდებაა Revero.**

ელექტრომობილების ამ მწარმოებელმა მუშაობა 2011 წელს დაიწყო და, შესაძლოა, ღირსეული კონკურენციაც გაეწია Tesla Motors-ისთვის, რომ არა ფინანსური შეფერხება, რომლის გამოც სამუშაოები შეწყდა. 2013 წელს კი კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

მიუხედავად ამისა, კომპანიის პარტნიორთაგან ერთმა — ავტომობილების სათადარიგო ნაწილების მიმწოდებელმა ჩინურმა კომპანიამ Wanxiang-მა გაკოტრებული კომპანიის აქციების შეძენის სურვილი გამოთქვა და შეიძინა კიდეც. გადაწყვიტეს, კომპანიისთვის სახელი შეეცვალათ და ახლა მას Karma ქვია. ჩინელმა მეპატრონეებმა დაამტკიცეს ახალი ხელმძღვანელობა და ამჟამად დაკავებულნი არიან ახალი ელექტრომობილის — Revero-ს შექმნაზე მუშაობით.

Revero-ს ბევრი საერთო აქვს თავის პროტოტიპთან, თუმცა განსხვავდება კიდეც მისგან. მწარმოებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოიყენებს მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო და ხარისხიან მასალას. აღნიშნეს ისიც, რომ სალონში დაამონტაჟებენ ახალ საინფორმაციო-გასართობ სისტემას, რომელიც, მათი თქმით, უბრალო და ლამაზი იქნება.

მზისბატარეებიანი სახურავი კიდევ ერთი თავისებურებაა ამ მოდელის. მწარმოებელი აღნიშნავს, რომ მსგავსი გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს მძღოლს, მანქანა დატუმბოს მოძრაობისას და ისეთ ადგილებშიც კი, სადაც არ არის დასატუმბი სადგურები.

Revero ძალიან ლამაზი ავტომობილია მთელი რიგი საინტერესო თავისებურებებით, ამიტომ მისი ფასი 100 ათასი ამერიკული დოლარია.



# ნიდერლანდებში Tesla Model S-ისგან კატაფალკა გააკეთეს

**კარგა ხანია, ჩვეულებრივი ავტომობილიც კი აღარ ითვლება მხოლოდ გადაადგილების საშუალებად, ამიტომ მის იერს დიდი ყურადღება ექცევა.**

მაშ, რითაა სხვებზე ნაკლები კატაფალკა? — სწორედ ეს გაიფიქრეს ფირმა Van der Lans & Busscher BV-ის მესვეურებმა და გადაწყვიტეს, ავტოპარკი შეევსოთ თანამედროვე Tesla Model S-ის ნიმუშებით.

სამუშაოები Tesla Model S-ის ლამაზ კატაფალკებად გადასაკეთებლად დაიკისრა კომპანია RemetzCar-მა, რომელიც დაკავებულია ჩვეულებრივი ავტომობილების ლიმუზინად „დაგრძელებით". სანამ ტესლას კარკასს 80 სმ-ით დააგრძელებდნენ, საჭირო შეიქნა მანქანიდან აკუმულატორის ამოღება. მინის ყუთი და თავსახური ძალიან მოდურად გამოიყურება, მათ ქვეშ კი მოძრავი პოსტამენტია, რომელზეც იდება კუბო, ხოლო საბარგული პოსტამენტის ქვეშ გადაიტანეს.

ავტომობილი კოხტად და სადად გამოიყურება, რაც მის დანიშნულებას ზუსტად შეესაბამება.

თუკი ვინმე მიცვალებულის იმქვეყნად გაცილებას Van der Lans & Busscher BV-ის კატაფალკით მოინდომებს, კომპანია მათ ყველაზე თანამედროვე, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ ტრანსპორტს შესთავაზებს.

**რაკეტა FALCON 9-ს ორბიტაზე უნდა გაეტანა სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი AMOS-6, რომლის მეშვეობითაც მარკ ცუკერბერგს სურდა, გაეფართოვებინა „ფეისბუქის“ არეალი, პირველ რიგში, აფრიკაში. მთლიანად ქსელში ჩაერთვებოდა კიდევ 1 მილიარდი ადამიანი, რომლებიც ცივილიზაციას მოწყვეტილები არიან.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა იყო რაკეტა FALCON 9 -ის აფეთქების მიზეზი?

**როგორც ცნობილია, 1 სექტემბერს კომპანია SpaceX -ის რაკეტა Falcon 9 სასტარტო მოედანზე აფეთქდა. რაკეტას კოსმოსში Facebook -ის თანამგზავრი უნდა გაეტანა. ზარალი 200 მილიონი დოლარია.**

2016 წლის 1 სექტემბერს კანავერალის კონცხზე, სასტარტო მოედანზე აფეთქდა რაკეტა-მატარებელი Falcon 9, რომელიც მილიარდერ **ილონ მასკს** ეკუთვნოდა. აფეთქების ეპიცენტრი ან ჟანგბადის ბალონში იყო ან მის სიახლოვეს. ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.

— რაღაც ანომალია ხდება სასტარტო მოედანზე. — განცხადა კატასტროფის შემდეგ მასკმა.

— ჭეშმარიტად ანომალიაა და თან როგორი! — ამტკიცებენ უფოლოგები და ინტერნეტმომხმარებლების ნაწილი. ამჟამად YouTube -ზე დევს ვიდეო, რომელზეც ასახულია რაკეტის აფეთქების შენელებული კადრები.

ამ კადრებში კარგად ჩანს, რომ რაკეტის სტარტის აღებისას მის სიახლოვეს ჩაიფრენს ამო, თანაც, საკმაოდ სწრაფად. ვიდეოს ჩვეულებრივ რეჟიმში ნახვისას ამის შემჩნევა შეუძლებელია.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტი სფეროს ფორმისაა, აფეთქება ხდება მაშინ, როდესაც ამო რაკეტის თავზეა. ზოგი ფიქრობს, რომ ეს იყო უცხოპლანეტელების მიერ მოწყობილი დივერსია.

**რაკეტა FALCON 9-ს ორბიტაზე უნდა გაეტანა სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი AMOS-6, რომლის მეშვეობითაც მარკ ცუკერბერგს სურდა, გაეფართოვებინა „ფეისბუქის“ არეალი, პირველ რიგში, აფრიკაში. მთლიანად ქსელში ჩაერთვებოდა კიდევ 1 მილიარდი ადამიანი, რომლებიც ცივილიზაციას მოწყვეტილები არიან.**

მიზანი თითქოს კეთილშობილურია. მაშ, ვინ და რატომ არის ამის წინააღმდეგი?

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ობიექტმა, რომელიც თითქოს რაკეტის გაწვრივ მიფრინავს, სინამდვილეში ვიდეოკამერას ჩაუქროლა ახლოს. ეს შეიძლება ყოფილიყო რომელიმე მწერი ან თუნდაც ჩიტი, მაგრამ გადიდების შემდეგ ობიექტი აშკარად სფეროს ფორმისა აღმოჩნდა. კამათი ახლაც გრძელდება. ასე რომ, რაკეტა Falcon 9 -ის აფეთქების მიზეზი ჯერჯეროდ დაუდგენელია.



# წყლისგან რაკეტის საწვავის წარმოებამ, შესაძლოა, დედამიწის მთელი ენერგეტიკა გადაააბრუნოს

**ნასას მკვლევარები იმედოვნებენ, კოსმოსში გაუშვებენ თანამგზავრს, რომლისთვისაც საწვავის როლს წყალი შეასრულებს.**

კორნელის უნივერსიტეტის ჯგუფი და **მეისონ პეკი** იმედოვნებენ, რომ მათი მოწყობილობა CubeSat (ეს არის პატარა ზომის თანამგზავრი, დაახლოებით ფეხსაცმლის ყუთის ოდენა) იქნება პირველი, რომელიც გავა მთვარის ორბიტაზე და საწვავად გამოიყენებს წყალს. ეს უსაფრთხო და სტაბილური ნივთიერება საკმაოდ გავრცელებულია კოსმოსშიც და შესაძლოა, უფრო ფართო გამოყენება ჰქონოდა დედამიწაზე, რაკი ჩვენ ვეძებთ წიაღისეული საწვავის ალტერნატივას.

კოსმოსური რაკეტები დღეს მუშაობს გაზის წვის ხარჯზე. პირველი საშიშროება უსაფრთხოებაა. საწვავის სახით ენერგიის მცირე მოცულობითა და მცირე მასით შეფუთვა ნიშნავს, რომ უმნიშვნელო პრობლემაც კი კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს, როგორიც ახლახან რაკეტა SpaceX აფეთქება იყო. თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანა ნებისმიერი არასტაბილური საწვავით, შესაძლოა, არამხოლოდ ძვირად ღირებული მოწყობილობის კატასტროფას, არამედ უარესს — ადამიანთა დაღუპვას ნიშნავდეს. წყლის გამოყენებით ამ პრობლემას შეგვიძლია გვერდი ავუაროთ, რამდენადაც წყალი ენერგიის გადამტანია და არ არის საწვავი.



**კორნელის უნივერსიტეტის ჯგუფი წყლის საწვავად გამოყენებას არ გეგმავს, არამედ მზის ბატარეებისგან მიღებული ელექტროდენით წყლის დაშლას წყალბადად და ჟანგბადად და მათ გამოყენებას საწვავად. ეს ორი აირი ერთდება და ნაზავი წყლის დაყოფაზე დახარჯული ენერგიის რეალიზების საშუალებას იძლევა. ამ აირების, როგორც საწვავის, გამოყენებით შეიძლება თანამგზავრის წინ გადაადგილება, მისი აჩქარება ან ორბიტაზე მისი მდებარეობის შეცვლა დანიშნულების პუნქტის შესაბამისად.**

მზის ბატარეები საკმაოდ უსაფრთხოა და არ აქვს მოძრავი ნაწილები, ამიტომ იდეალურია მიკროგრავიტაციის პირობებში ფუნქციობისთვის და კოსმოსის ექსტრემალურ პირობებში, რათა წარმოქმნას დენი მზის შუქისგან. ტრადიციულად, ეს ენერგია აკუმულირდება ბატარეებში, მაგრამ კორნელელ მეცნიერებს სურთ, ის გამოიყენონ ბორტზე წყლის დასაშლელად.

შემოთავაზებული პროცესი — ცნობილი, როგორც ელექტროლიზი — ითვალისწინებს დენის გატარებას წყალში, რომელშიც მცირე რაოდენობით ელექტროლიტებია გახსნილი. წყლის პოლარული მოლეკულების ელექტრული ველის გავლენით ელექტროლიტთა მოლეკულები დაიშლება ცალკეულ იონებად. დენი შლის წყალს ჟანგბადად და წყალბადად, რომლებიც გამოიყოფა ცალ-ცალკე ორ ელექტროდზე — ანოდსა და კათოდზე. დედამიწაზე გრავიტაცია ამ ორ გაზს ერთმანეთისგან აცალკევებს და მათი გამოყენება შეიძლება, მაგრამ უწონადობის პირობებში თანამგზავრზე საჭირო იქნება როტაციით გამოწვეული ცენტრიდანული ძალები გაზებისა და ნაერთის დასაცალკევებლად.

**ელექტროლიზი ადრე გამოიყენეს კოსმოსში, რათა ჟანგბადით უზრუნველეყოთ პილოტირებული კოსმოსური მისიები. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ კოსმოსში წყალი რაკეტით ტვირთის სახით გავგზავნოთ, შეგვიძლია, უბრალოდ, მთვარესა თუ ასტეროიდზე მოვიპოვოთ იგი,** — ამბობენ მეცნიერები.

თუკი წყალბადისა და ჟანგბადის გამოყენებისადმი ახალი მიდგომა თანამგზავრული საწვავისთვის წარმატებული აღმოჩნდება, მაშინ შევძლებთ კოსმოსში მისი მზა წყაროს მიღებას.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კოსმოსური ტექნოლოგიების სფეროში წარმოებული კვლევები წარმოშობს იდეებს, რომელთა განხორციელება შესაძლებელია დედამიწაზეც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი — არსებული ენერგეტიკული პრობლემების გადასაწყვეტად. ელექტროენერგიის შენახვა ნამდვილად რთულია, მასზე მოთხოვნის გაზრდის გამო კი მის ნაკლებობას განვიცდით. ამდენად, შესაძლოა, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა წყლის დაშლა იყოს წყალბადად და ჟანგბადად, შემდეგ კი წყალბადის მარაგის შექმნა.

# მერკურიზე ტექტონიკური აქტივობა შეიმჩნევა

**მზის სისტემაში ერთადერთ ადგილად, რომელსაც ტექტონიკური აქტივობა ახასიათებს, ცნობილია დედამიწა. სხვა პლანეტებზე მეცნიერებმა შეამჩნიეს მხოლოდ გეოლოგიური აქტიურობა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს თავისებურება მხოლოდ ჩვენს პლანეტას როდი ახასიათებს. მეცნიერებმა შეაგროვეს სხვადასხვა კოსმოსური აპარატისგან მიღებული ინფორმაცია და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მერკური ტექტონიკურად აქტიური პლანეტაა.**

მიღებულ ფოტოებზე ჩანს, რომ ეს პატარა პლანეტა დროდადრო ირყევა, რომელსაც მისი ბირთვის ტემპერატურის დაცემას უკავშირებენ.

ადრინდელი გამოკვლევები მიანიშნებდა, რომ მერკურიზე სიცოცხლე არ იყო ბოლო რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში.

ამას გარდა, პლანეტის მაგნიტური ველის შესწავლისას, კოსმოსურმა აპარატმა „მესენჯერმა“ შეაგროვა ინფორმაცია, რომელიც აშკარად მიანიშნებს, რომ პლანეტის ბირთვის ნაწილი დღემდე თხევადია და სწორედ ამიტომ შეიმჩნევა მის ზედაპირზე ბიძგები.

უნდა აღინიშნოს, რომ **მერკურის ტექტონიკური აქტივობა ისეთი არ არის, როგორიც დედამიწის. იქ არ არის ტექტონიკური ფილები, მაგრამ დეტალურად მის შესასწავლად პლანეტაზე სეისმური ზონდის გაგზავნაა საჭირო. თუმცა ხელთ არსებული ინფორმაციაც საშუალებას იძლევა, ვილაპარაკოთ პლანეტის ევოლუციაზე. თუკი მერკურის ამდენი დრო დასჭირდა მთლიანად რომ გაგრილებულიყო, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ დედამიწაზე ან სხვა ეკზოპლანეტებზე?** მიუხედავად იმისა, რომ ეს აღმოჩენა თავდაყირა არ აყენებს ჩვენს ფუნდამენტურ ცოდნას გეოლოგიაზე, აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენ, ადამიანებს, ბევრი რამის სწავლა მოგვიწევს სხვა სამყაროებისგან.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კლასიკური მუსიკა მნიშვნელოვნად აქვეითებდა წნევას და გულისცემის სიხშირეს. მკვლევარებმა ექსპერიმენტში საესტრადო მუსიკაც ჩართეს, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგი ისეთი არ იყო, როგორც კლასიკური მუსიკის მოსმენისას, თუმცა შემცირდა კორტიზოლის მაჩვენებელი.**

# კლასიკური მუსიკა არტერიულ წნევას დაბლა წევს



**შემთხვევით არ არის, რომ ექიმები გულით დაავადებულებს კლასიკური მუსიკის მოსმენას ურჩევენ. მოცარტის, ვივალდის, შტრაუსის მუსიკა ამცირებს გულისცემის სიხშირეს და აწეულ არტერიულ წნევას არგეულირებს.**

ეს დასკვნა მეცნიერებმა იმ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გააკეთეს, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ზემოქმედების შესწავლას ითვალისწინებდა.

ექსპერიმენტში 150-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მოხალისეთა 50% მუსიკას 25 წუთის განმავლობაში უსმენდა, დანარჩენები სიჩუმეში იმყოფებოდნენ. მუსიკის მოსმენამდე და მის შემდეგ, ასევე „სიჩუმის სეანსის" შემდეგ, კვლევის ყველა მონაწილეს უზომავდნენ წნევას, გულისცემის სიხშირესა და კორტიზოლის (სტრესის მარკერის) დონეს.

ალმოჩნდა, რომ **კლასიკური მუსიკა მნიშვნელოვნად აქვეითებდა წნევას და გულისცემის სიხშირეს. მკვლევარებმა ექსპერიმენტში საესტრადო მუსიკაც ჩართეს, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგი ისეთი არ იყო, როგორც კლასიკური მუსიკის მოსმენისას, თუმცა შემცირდა კორტიზოლის მაჩვენებელი.**




# ძაღლების ყნოსვითი რეცეპტორები ძალიან მგრძნობიარეა სიმსივნის უჯრედების მიმართ

**მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებს შეუძლიათ სიმსივნის უჯრედების გამოვლენა, ისინი მაინც უშვებენ შეცდომას და ხშირად ყურადღება ეფანტებათ, — აღნიშნავენ ევროპელი მკვლევარები. მათი აზრით, სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლსაც კი არ აქვს უნარი, ალმოაჩინოს ფილტვის კიბო.**

კვლევაში მონაწილეობა 122 მოხალისე-პაციენტმა მიიღო. მათგან 29 ადამიანი ფილტვის სიმსივნით იყო დაავადებული, ხოლო დანარჩენები ჯანმრთელი იყვნენ. ექვსი თვის განმავლობაში 6 ძაღლს წვრთნიდნენ 150 სახეობის ნიმუშზე. ცდის ფარგლებში ძაღლებს უნდა გამოევლინათ ნიმუშები, რომლებიც ფილტვის კიბოთი დაავადებული ადამიანებისგან ყნოსვით უნდა ეგრძნოთ, თუმცა ცხოველებმა პაციენტების მხოლოდ 34% გამოავლინეს. სპეციალისტების თქმით, არადამაკმაყოფილებელი შედეგი, შესაძლოა, იმით აიხსნას, რომ ძაღლები ექსპერიმენტის მსვლელობისას სტრესულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ. ისინი იმედოვნებენ, რომ მომავალში შინაურ ცხოველებს მაინც დაიხმარენ დიაგნოზის გამოსავლენად.

ცდებმა აჩვენა, რომ ცხოველის ყნოსვითი რეცეპტორები ძალიან მგრძნობიარეა სიმსივნის უჯრედების მიმართ.

# წამალი გამელოტების წინააღმდეგ

**კოლუმბიის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა გამელოტების საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს.**



რაში გამოიხატება ამ პრეპარატის უნიკალურობა? — ის აღადგენს თმას გამელოტებულ ადგილას.

კვლევისას მეცნიერებმა შეადგინეს ჯგუფი 12 მამაკაცისგან, რომელთაც აწუხებდათ ალოპეცია (სიმელოტე). პაციენტები იღებდნენ ახალ პრეპარატს — **JAK-კინაზს**. ექსპერიმენტი 6 თვეს გაგრძელდა, შედეგმა კი მოლოდინს გადააჭარბა. ექსპერიმენტის მონაწილეთა 75 %-ს გამელოტებული ადგილი მაქსიმალურად (90%-ით) თმით დაეფარა.

მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, დოქტორ ჯულიან მაკეი-უიგანმა აღნიშნა, **„ინჰიბიტორი JAK-კიზანი პირველი ეფექტიანი საშუალებაა ალოპეციის კერის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ აქვს ნაკლიც — მისი მიღების შეწყვეტის შემდეგ თმა ისევ იწყებს ცვენას, თუმცა ისე არა, როგორც კურსის ჩატარებამდე".**

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მეცნიერთა სხვა ჯგუფმა ინჰიბიტორ JAK-კიზანი ოდნავ განსხვავებული შემადგენლობით გამოსცადა. ამჯერადაც კარგი შედეგები დაიდო. უკეთესობა შეემჩნეოდა პაციენტების 32%-ს, რომლებსაც თმის საფარი 50%-ით აღუდგათ.

პრეპარატებს არ აქვს უარყოფითი გვერდითი მოვლენები, ერთადერთი შესამჩნევი გართულება იმუნიტეტის უმნიშვნელო დაქვეითებაა. წამყვანმა ფარმაკოლოგიურმა ასოციაციებმა პრეპარატი უკვე მოიწონეს.



# ვარდისფერი დელფინი

**ვარდისფერი დელფინი პირველად აშშ-ში, ლუიზიანის შტატში ტბა Calcasieu-ს ზედაპირზე ცურვისას შეამჩნია ერიკ რიუმ 2007 წლის 24 ივლისს.**

ეს სახეობა ალბინოსი დელფინების ოჯახიდანაა. როგორც დანარჩენი დელფინები, ისიც ძალიან მოსიყვარულეა და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

# იაპონიაში შინაური ცხოველები უფრო დიდხანს ცოცხლობენ

**„იაპონიაში კატებისა და ძაღლების სიცოცხლის ხანგრძლივობამ ისტორიულ რეკორდს მიაღწია", — ამ დასკვნამდე მივიდნენ ტოკიოს სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მკვლევარები.**

ალმოჩნდა, რომ **იაპონიაში ძაღლები საშუალოდ 13,9, ხოლო კატები 11,9 წლამდე ცოცხლობენ.** ბოლო წლების განმავლობაში შინაური ცხოველების ბინადრობის პირობები გაუმჯობესდა პროფესიონალი ვეტერინარების, ხარისხიანი საკვებისა და ქვეყანაში უპატრონო ცხოველების შემცირებით.

Bloomberg-ის ინფორმაციით, **იაპონიაში დარეგისტრირებულია 19,8 მილიონი შინაური ცხოველი. ეს აღემატება ქვეყანაში 14 წლამდე ბავშვების რაოდენობას (იაპონიაში 15,9 მილიონი 14 წლამდე ბავშვია).**

ექსპერტების თქმით, ბოლო წლების განმავლობაში, იაპონიაში დაბალი შობადობა აღირიცხება, ხოლო მარტოხელა ადამიანების უმრავლესობას შინაური ცხოველები ჰყავთ.





# 125 წლის როდოდენდრონი

**ეს უზარმაზარი და უძველესი როდოდენდრონი კანადაში, კუნძულ ვანკუვერზე, ქალაქ ლედისმითში დგას.** მანანისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა. ეს ოჯახი 8,000-ზე მეტ ხესა და ბუჩქს აერთიანებს. როდოდენდრონებიც ძირითადად, მართალია, საკმაოდ მოზრდილი, მაგრამ ბუჩქია. თუმცა 125 წლის ლამაზმანი, რომელსაც **სინთია** დაარქვეს, თამამად შეგვიძლია ხედ მივიჩნიოთ, მისი უჩვეულო ზომისა და ასაკის გამო.



უფრო გამოცდილი ბოროტმოქმედები მსხვერპლს სხვა განზრახვით უთვალთვალებენ. იმავე კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ყოველი მეათე ადამიანი ისე დაუდევარია, რომ კომპიუტერთან უდევს სტიკერები და ფურცლები, რომლებზეც მისი ანგარიშის ნომრები და კოდებია ჩაწერილი, მათ შორის ონლაინსაფულეების აკაუნტების პაროლები და სახელები.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნანოტექნოლოგიები ძველ რომში — ლიკურგის თასი



**ოსტატმა იმპერატორ ტიბერიუსს (ძვ. წ. აღ. 42—37 წწ.) მინის თასი აჩუქა, რომელიც, დარტყმისას დეფორმირდებოდა და არ ტყდებოდა. ამ საჩუქარმა იმპერატორი კი არ გაახარა, შეაშინა თურმე, რადგან, თუ დრეკადი მინის დანერგვა და საყოველთაოდ გამოყენება მოხდებოდა, ოქროსა და ვერცხლის ფასი დაეცემოდა. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მან ოსტატისთვის თავის მოკვეთა ბრძანა.**

აღნიშნული სიუჟეტი აღწერილია პლინიუს უფროსის ჩანაწერებსა და პეტრონიუს არბიტერის „სატირიკონში". ეპისკოპოსი **ისიდორე სევილიელი** (560–636 წწ.) კი თავის ნაშრომში ამ ისტორიის ოდნავ განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს. მასში საუბარია არა მინაზე, არამედ **მბზინავ, ძალიან პლასტიკურ ლითონზე, რომელსაც თიხიდან მოიპოვებდნენ**, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს ლითონი ალუმინია, რომლის აღმოჩენა ოფიციალურად მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა.

**ცნობისთვის: ალუმინის მიღების თანამედროვე მეთოდი შემუშავებულ იქნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამერიკელი ჩარლზ მარტინ ჰოლისა და ფრანგი პოლ ლუი ტუსენ ერუს მიერ 1886 წელს.**

თასი, რომელზეც მეფე ლიკურგი (ძვ. წ. აღ. VIII) იყო გამოსახული, დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლო იყო მეცნიერებისთვის. ის ფერს სინათლის წყაროს მდებარეობის მიხედვით იცვლის: თუ სინათლე უკანა მხარეს არის, თასი წითლდება, ხოლო თუ სინათლე წინიდან ეცემა — მწვანდება.

თასის საიდუმლოს ამოხსნა მხოლოდ 1990 წელს მოხერხდა, მას შემდეგ, რაც მისი ფრაგმენტის ანალიზი მიკროსკოპით მოხდა. აღმოჩნდა, რომ რომაელი ოსტატები კარგად ერკვევოდნენ ნანოტექნოლოგიებში.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ **მინაში ოქროსა და ვერცხლის მტვერი იყო დამატებული.** ამასთანავე, ამ ლითონის ნაწილაკების დიამეტრი 50 ნანომეტრს არ აღემატებოდა.

თასი-ქამელეონი ზუსტი, გულმოდგინე მუშაობის შედეგია, რადგან მსგავსი ეფექტის შემთხვევით მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. შუქი, რომელიც თასზე ეცემა, იწვევს ოქროსა და ვერცხლის ელექტრონების რყევას, რომლის შედეგადაც ფერის შეცვლა ხდება. სწორედ ამ პროცესს აკვირდება თასთან მდგარი დამკვირვებელი, რომელიც ფერს სინათლისადმი თავისი მდებარეობის მიხედვით აღიქვამს.

თასის სიმაღლე 165 მილიმეტრია, დიამეტრი — 132 მილიმეტრი.

ზუსტად ცნობილი არ არის, ვინ, სად და როდის იპოვა ეს არტიფაქტი. სავარაუდოდ, ის საფლავების მძარცველებმა იპოვეს რომაელი დიდგვაროვნის სამარხში. გარკვეული დროის მანძილზე თასი რომის კათოლიკური ეკლესიის საგანძურში ინახებოდა. XVIII საუკუნეში ის ფრანგი რევოლუციონერების ხელში აღმოჩნდა. 1845 წელს თასი ლეონელ დე როტშილდმა შეიძინა; 1958 წელს ბარონმა როტშილდმა ლიკურგის თასი 20 ათას ფუნტად ბრიტანეთის მუზეუმს მიჰყიდა. დღეს სწორედ იქ შეიძლება ამ უნიკალური ნივთის ნახვა.

# ჩვენი ლეპტოპის კამერიდან რომ არ გვითვალთვალონ...

**ელექტრონული მოწყობილობები ყოველწლიურად სულ უფრო სრულყოფილი ხდება. ჩვენი ნოუთბუქები, პლანშეტები, ტელეფონები აღჭურვილია შესანიშნავი ფოტო-ვიდეო კამერებით, რომლებიც მშვენიერი სურათების, სელფების გადაღების, სკაიპითა თუ სხვა პროგრამების საშუალებით ნაცნობ-მეგობრებთან ერთიერთობის საშუალებას იძლევა. მაგრამ პროგრესს, სამწუხაროდ, უარყოფითი მხარეც აქვს.**



ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ შეიძლება თაღლითებმა ვებკამერა ბოროტი განზრახვით გამოიყენონ. მართლაც, ჰაკერებს შეუძლიათ ნებისმიერი გაჯეტის გატეხვა და თქვენზე თვალთვალი თქვენივე ნოუთბუქიდან, პლანშეტიდან თუ სმარტფონის ფრონტალური კამერიდან. ამგვარი თვალთვალის შიშით სულ უფრო მეტი ადამიანი ამჯობინებს, დაფაროს ვებკამერა.

მაგრამ რისი უნდა ეშინოდეს ჩვეულებრივ მოქალაქეს?

რუსეთში, „კასპერსკის ლაბორატორიაში" ჩატარებული კვლევის მონაცემებით, გამოკითხულთა 52%-ს ეშინია თვალთვალის, 26% ფარავს თავისი პორტატული კომპიუტერების კამერებს, 5% კი ტელეფონების ფრონტალურ კამერებზეც კი აწებებს ლენტს.

ძალიან ხშირად თაღლითები მიღებულ გამოსახულებასა თუ ვიდეოს შანტაჟისთვის იყენებენ.

უფრო გამოცდილი ბოროტმოქმედები მსხვერპლს სხვა განზრახვით უთვალთვალებენ. იმავე კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ყოველი მეათე ადამიანი ისე დაუდევარია, რომ კომპიუტერთან უდევს სტიკერები და ფურცლები, რომლებზეც მისი ანგარიშის ნომრები და კოდებია ჩაწერილი, მათ შორის ონლაინსაფულეების აკაუნტების პაროლები და სახელები.

ამდენად, ჩნდება კამერის დაფარვის მოთხოვნა, ამიტომ უკვე ბევრმა კომპანიამ გამოუშვა ბაზარზე ვებკამერის სპეციალური პლასტმასის საფარი. უსაფრთხოების სპეციალისტები კი გვირჩევენ, რომ ბოლომდე მაინც არ მოვდუნდეთ, რადგან ბოროტმოქმედებს საჭირო ინფორმაციის მიღება სხვა გზებითაც შეუძლიათ.



## სასარგებლო რჩევები

# როცა ზამთარი ახლოვდება...

**ახლოვდება ზამთარი და თბილი საბნიდან გამოძრომა სულ უფრო არასასიამოვნო ხდება, ვარჯიშის გამოტოვება და რაიმე გემრიელის ჭამის ცდუნება კი იმატებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგცეთ, რათა ადვილად შეძლოთ სიცივესთან ადაპტირება და დარჩეთ მხნე და ენერგიით სავსე ცივ ამინდშიც.**

### შეამცირეთ სტიმულატორების გამოყენება

თუ დაიღალეთ, თანაც გარეთ ცივა და ბნელა, ეს არ ნიშნავს, რომ დღის განმავლობაში 5 ფინჯანი ყავა უნდა დალიოთ. ამგვარი მიდგომა ნეგატიურად იმოქმედებს თქვენს კონცენტრაციასა და ძილზე. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს იმას, რომ გამოუძინებლობის გამო წარმოქმნილი ენერგიის უკმარისობისა და დაღლილობის მოხსნას წახემსებით შეეცდებით.

თუმცა ყავა ბევრისთვის მნიშვნელოვან დილის რიტუალს წარმოადგენს, რომლის გარეშეც ახალი დღის დაწყება წარმოუდგენელია. მაგრამ ყავამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს მეტაბოლიზმზე და სისხლში შაქრის შემცველობაზე.

რით გვემუქრება ეს? თუნდაც ინსულინისადმი რეზისტენტულობით და ანთებითი პროცესების წარმოქმნით ორგანიზმში, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ სისხლში შაქრის ოდენობის რეგულირება იმ პროდუქტების მიღების მინიმუმამდე დაყვანით, რომლებსაც შეუძლია მისი ბალანსის დარღვევა.

**კოფეინი**, რომელსაც ყავა შეიცავს, ორგანიზმში ზრდის **კატეხოლამინებს** — სტრესის ჰორმონებს. სტრესის დროს ორგანიზმში იმატებს **კორტიზოლისა** და **ინსულინის** დონე, რომელიც ზრდის ანთების რისკს და თავს შეუძლოდ გაგრძნობინებთ.

### გაზარდეთ ანტიოქსიდანტების მიღება

ზამთარში მნიშვნელოვნად მცირდება ჩვენი ორგანიზმის მიერ მზის სხივების მიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირდება ორგანიზნის მიერ მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებების შეთვისებაც, როგორიც არის, მაგალითად, ვიტამინი D. **თუკი მზის სხივების ნაკლებობა დისკომფორტს გიქმნით ან სერიოზულად გაღიზიანებთ, მაშინ ორგანიზმში ანთების წარმოქმნის რისკი მატულობს.** რომ დაეხმაროთ ორგანიზმს ადაპტირებაში, ზამთრის მოახლოებისას დაიწყეთ ანტიოქსიდანტებისა და ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატების მიღება. მაგალითად, კერძებსა და სასმელებში დაიწყეთ **კურკუმას** დამატება — ეს ანთების საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალებაა, რომელიც, ამასთანავე, ხელს უწყობს ორგანიზმში ცხიმის დაშლას. სადილისა და ვახშმის მენიუში დაამატეთ სხვადასხვა მცენარე, მაგალითად, ქერი, პური, ოსპი. ექსპერტთა შეფასებით, მათში სასარგებლო ფერმენტები თითქმის 100-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ახალ ხილსა თუ ბოსტნეულში. ეს ფერმენტები წარმოადგენს ცილის ნაირსახეობას, რომლებიც ორგანიზმში მიმდინარე ყველა ბიოქიმიურ რეაქციაში კატალიზატორივით მოქმედებს.

### რაციონი გაამდიდრეთ ფერებით

გახსოვდეთ, რომ ხილი და ბოსტნეული შეიცავს სხვადასხვა ვიტამინსა და საკვებ ნივთიერებას, ამიტომ ეცადეთ, მიირთვათ რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა ფერის ნაყოფი.

მოამზადეთ სასარგებლო ვიტამინებიანი კოქტეილი, რომელიც ბრწყინვალე საშუალებაა ორგანიზმის საკვები ნივთიერებებით გასამდიდრებლად. ჩაატარეთ ექსპერიმენტები — ახალი გემოს მისაღებად ერთმანეთს შეუხამეთ სხვადასხვა პროდუქტი და გასინჯეთ ისინი. ეს არამხოლოდ სახალისოა, არამედ სასარგებლოც.

### მოიფიქრეთ გეგმა, როგორ არ უნდა გააცდინოთ ვარჯიში

„თუ დარწმუნებული ხართ, რომ ვარჯიშის გაცდენა ადვილად შეგიძლიათ, მოიფიქრეთ რამე ისეთი, რაც გაიძულებთ, ეს არ გააკეთოთ. მაგალითად, წინასწარ ჩაეწერეთ ჯგუფურ ფიტნესზე და საფასურიც წინასწარ გადაიხადეთ.

თუ ეს ვარიანტიც არ გიშველით, შეარჩიეთ სპორტდარბაზი სამსახურთან ახლოს, სადაც შეძლებთ ვარჯიშს შესვენების პერიოდში ან სამუშაო დღის დამთავრებისთანავე. ამით მოგეხსნებათ ერთი პრობლემა — ცდუნება იმისა, რომ სამსახურიდან შინ დაბრუნებულს გარეთ გამოსვლა დაგეზაროთ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ, ყველანი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ნებსით თუ უნებლიეთ, შესაძლოა, ვილაცისთვის მიზნობრივად და ჩვენდა გაუაზრებლად, დღისით თუ ღამით პირდაპირ ნაგავში ვისვრით ასიათასობით ქრისტიანულ და სახელმწიფოებრივ სიმბოლოს.**

# ნაგავში გადაყრილი სიწმინდეები

**ქრისტეს მიერ საყვარელნო!**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მესვეურნო და თანამშრომელნო, მოგესალმებით დიდი სიყვარულით. გამოვხატავ მადლიერებას თითოეული თქვენგანის მიმართ. გისურვებთ თქვენ და თქვენს მკითხველს, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" გამხდარიყოს კიდევ უფრო ღრმა შინაარსობრივი და ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი საყვარელი სტუმარი ყველა ოჯახისთვის საქართველოში.

მიზეზი, ჩემო ძვირფასებო, ამ წერილის დაწერისა, არის სავალალო ყოფა ჩვენი ერისა. **მიუხედავად ერის ეკლესიური ცხოვრების ამაღლებისა, აშკარაა საშინელი და ამაზრზენი ფაქტები ჩვენი ყოველდღიურობისა — უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა, დაკარგული ტერიტორიები, უცხო სიტყვებით წალეკილი და დამცირებული ქართული ენა, მწარმოებლიდან მომხმარებელ ერად გადაქცეული ქართველები, მდიდრებად და ღარიბებად გაყოფილი საზოგადოება, ერთი-ორის გარდა, ხალხისთვის მიუღებელი და თავს მოხვეული პარტიები და პოლიტიკოსები, ნიჰილისტური განწყობა აწმყოსა და მომავლისადმი.**

მინდა მოგახსენოთ ჩემი, ერთ-ერთი რიგითი მოქალაქის, მოსაზრება ქართულ ბეჭდვით მედიაზე, რომელიც, ვფიქრობ, თქვენთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს. ვარ რა ერთ-ერთი მდაბალი შვილი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსი, როგორც ყოველი ნორმალური ადამიანი, სულით და გულით განვიცდი ყოველივეს, რაც ეხება ჩემს სამშობლოსა და მის სულიერებას.

ჩვენი ერის მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ხშირად იმეორებს ძველი რომაელების გამონათქვამს — „იცვლება დრო და ჩვენც ვიცვლებით დროსთან ერთად". ვფიქრობ, ქართული პრესის მკითხველი და, საზოგადოდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილიც შეიცვალა და აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების გადმოცემითა და გაშუქებით. ვინაიდან ჩვენ გარშემო და სრულიად მსოფლიოში უამრავი ფაქტი და მოვლენა ხდება, ვფიქრობ, აუცილებელია, ქართულ პრესაში ქვეყნდებოდეს ფაქტების სიღრმისეული ანალიზი და პასუხი გაეცეს კითხვას — რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა? უწმინდესი ქადაგებებში (და ბოლო სააღდგომო ეპისტოლეში) ხშირად მიმართავს ერს და მოგვიწოდებს, ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება და ჩამოვიყალიბოთ სახელმწიფოებრივი ცნობიერება. სიღრმისეული ანალიზი წარსულისა და აწმყოსი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, განხილული და გამოკვლეული ღვთისმეტყველების კუთხით, შესაშური საკითხავი იქნებოდა ქართველი მკითხველისთვის. ამის დიდი საშუალება თქვენს გაზეთს აქვს. ვფიქრობ (და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის), ქართულ მედიასივრცეში სამი გამოკვეთილი გამოცემაა: „კვირის პალიტრა", „ასავალ-დასავალი" და „საქართველო და მსოფლიო". არ მინდა გაქოთ და გადიდოთ, მაგრამ გულახდილად გეტყვით: ერთადერთი გამოცემა, რომელსაც სიამოვნებით ვკითხულობ, თქვენი გაზეთია. მაშინ, როდესაც ჩვენი წამყვანი ტელევიზიები მოსახლეობის ტვინის გამორეცხვით არიან დაკავებულები, სწორედ ჩვენი პრესა თუ შეძლებს ანალიტიკური აზროვნების წამოწევას ჩვენს ცნობიერებაში.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი, თქვენი რედაქციისთვის გადმოვეცი. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ჩემს მოკრძალებულ თვალსაზრისს გაიზიარებთ. რაც შეეხება კონკრეტულ თემას, რომელმაც ხელში კალამი ამაღებინა, ეს ჩემი და, ვფიქრობ, უამრავი ჩვენი თანამემამულის სატკივარია. ქვემოთ მოყვანილ სტატიას, გთხოვთ, თქვენს ფურცლებზე მიუჩინოთ ადგილი და ამით ქართულ საქმეს წაადგებით.



**არავისთვის იქნება სასიამოვნო, ნაგავში მოისროლოს მათი გამოსახულებები თუ სიმბოლოები. ვფიქრობ, ამ თემაზე ყველაზე მეტად ისინი უნდა დაფიქრებულიყვნენ, ვინც თავის დროზე ასეთი სახის აქციზური მარკები შეიმუშავა. არავითარი აუცილებლობა არ იყო, ამ მარკებზე სახელმწიფოებრივი სიმბოლოები და სიწმინდეები გამოტანილიყო**

ძვირფასო თანამოქალაქენო, მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო მანკიერ პრობლემას, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაში ხდება. ქვემოთ მოყვანილი საკითხი, შესაძლოა, ადრეც გამოუტანიათ საზოგადოების სამსჯავროზე, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით პრობლემა აშკარაა და, ვფიქრობ, სასწრაფოდ გადასაწყვეტი.

ფაქტი ასეთია: **ჩვენ, ყველანი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ნებსით თუ უნებლიეთ, შესაძლოა ვილაცისთვის მიზნობრივად და ჩვენდა გაუაზრებლად, დღისით თუ ღამით პირდაპირ ნაგავში ვისვრით ასიათასობით ქრისტიანულ და სახელმწიფოებრივ სიმბოლოს.**

ყურადღებით დაათვალიერეთ ჩვენს სავაჭრო ცენტრში გამოტანილი სიგარეტის კოლოფებსა და სპირტიან სასმელებზე დაწებებული აქციზური მარკები და ადვილად შეამჩნევთ მასზე დატანილ ცხოველმყოფელი ჯვრისა და წმინდა გიორგიანი სახელმწიფო გერბის სიმბოლოებს. თუ გავიაზრებთ, რამდენი მწეველია საქართველოში, რა რაოდენობით სასმელი ისმება ყოველდღიურად და სად მიდის ცარიელი კოლოფები და ბოთლები, ადვილად მივხვდებით რა აუტანელ ფაქტთან გვაქვს საქმე.

ჩვენს გაორებულ ყოფაში, როდესაც მიწიერი სამყაროს შვილები ერსა და იმავე მოვლენასა და საგანს სხვადასხვა კუთხით უყურებენ და თავიანთ სიმართლეს ამტკიცებენ, შეიძლება ბევრი შემომედავოს, — ეს რა სიწმინდეებიაო. ვკითხოთ ჩვენს დედაეკლესიას, საპატრიარქოს, მამებსა და დედებს, არის თუ არა ეს მისაღები მრავალტანჯული ივერიისა და ჩვენი საზოგადოებისთვის. თითქმის ყველა ქართველში, ეკლესიურია თუ არა იგი, და ჩვენს გენში, ქვეცნობიერად დევს უდიდესი მოწიწება და სიყვარული შემომქმედის, სალოცავებისა და ჯვარხატების მიმართ. **უდავოა, რომ არავისთვის იქნება სასიამოვნო, ნაგავში მოისროლოს მათი გამოსახულებები თუ სიმბოლოები. ვფიქრობ, ამ თემაზე ყველაზე მეტად ისინი უნდა დაფიქრებულიყვნენ, ვინც თავის დროზე ასეთი სახის აქციზური მარკები შეიმუშავა. არავითარი აუცილებლობა არ იყო, ამ მარკებზე სახელმწიფოებრივი სიმბოლოები და სიწმინდეები გამოტანილიყო.**

ჩვენს ერს, რომელსაც სამყაროს შემომქმედისგან ღვთისმშობლის წილხვედრობა ერგო, რომელმაც ყველა ერს შორის ყველაზე მეტი სისხლი გაიღო ქრისტესთვის და არასდროს გადაუხვევია გადარჩენის ერთადერთი გზიდან, რასაც უფლის ჭეშმარიტი სიყვარული ჰქვია, ვფიქრობ, ეს არ შეეფერება. **წმინდა დიდმოწამე გიორგის, რომელიც ჩვენი ერის ყოფნა-არ ყოფნისას გადამწყვეტ ბრძოლებში ხილულადაც კი ჩვენს წინაპრებთან ერთად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და რომლის 365 წმინდა სალოცავის სადღეგრძელოს დიდი მოწიწებით წარმოვთქვამთ ივერიელნი, და ცხოველსმყოფელ ჯვარს, რომელსაც ვსასოებთ ჩვენ, ყოველნი, სხვაგვარი მოპყრობა უნდა. არ აქვს მნიშვნელობა, ეს სიწმინდე რა ზომისაა და სადაა გამოსახული — სასკოლო წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში, სარეკლამო ბუკლეტებსა თუ სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტებზე (ხშირად ხუთჯვრიანი დროშის სახით), ამ სიწმინდეებს, გინდათ, სიმბოლოები დაარქვით, მოფრთხილება უნდა.**

ვფიქრობ, **ფინანსთა სამინისტროსთვის ძნელი არ უნდა იყოს აქციზური მარკების დიზაინის შეცვლა და, საერთოდ, ვინმეს კომპეტენციაში უნდა შედიოდეს ეროვნული სიმბოლოებისა და ეკლესიური სიწმინდეების ასე დაუკითხავად ბეჭდვის საკითხი.**

მოგიყვანთ მაგალითს, როგორ ზრუნავდნენ ჩვენი წინა თაობები მართლმადიდებლური სიწმინდეების დასაცავად. ამონარიდი ჟურნალ „კარიბჭის" სტატიიდან (№22, გვ. 25, 2015 წ.).

„1912 წლის გაზეთ „სახალხო გაზეთში" ვკითხულობთ:

„ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ ამ დღეებში მოისმინა ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის (შემდგომში სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი) მოხსენება, რომელიც შეეხება ზოგიერთი ფირმის მიერ წმინდა თამარ მეფის სახელისა და სახის გმობას. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რიგის ერთ ფირმას, „ბრიგერს", გამოუშვია გასაყიდი საპონი, გახვეული ფერად ქაღალდში, რომელზეც ხატია თამარ მეფე. ამას გარდა, ქუთაისის ფირმა, სახელდობრ, ფ. ნ. ჭელიძისა შამპანურ ღვინოებს ბაზარში უშვებს „კოლხეთისა" და „თამარის" სახელით. აგრეთვე, „თამარი" დაურქმევიათ ქუთაისის ერთი პროჟექტორთაგანისთვის. სასინოდო კანტორამ მოისმინა ეს მოხსენება და დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორებს, შესაფერისი ზომები მიიღონ წმინდა თამარ მეფის სახელის შეგინების წინააღმდეგ".

ხელისუფლებას სამართლიანად ჩაუთვლია ეს პროტესტი და ფიცხლივ გამოუტანია დადგენილება.

**„გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმაისტერს, შესაფერისი ღონისძიებანი მიიღოს. გუბერნიის პოლიცმაისტერმა უბნის ბოქაულებს საგანგებო ბრძანება დაუგზავნა: არავის მისცენ ნება, გაყიდონ საგნები წმინდა თამარ მეფის სურათით, აგრეთვე, გამოუცხადონ გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებს, რომ აღარ ბეჭდონ განცხადებები წმინდა თამარ მეფის სურათით".**

გაითვალისწინეთ, რომ საქართველო ამ დროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და, მიუხედავად ამისა, მისი მოხელეები იცავენ ჩვენს სიწმინდეებს.

ძვირფასებო, **უფლისათვის წვრილმანი და შემთხვევითობა არ არსებობს, ნებისმიერი ადამიანის თავზე თმის ღერიც კი დათვლილია. ყოველი მოვლენა — ბუნებრივი თუ ისტორიული, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი, ღვთის ნებით ხდება. და ამ ფაქტის არსებობაც ჩვენი მცირემორწმუნეობის ბრალია. ისიც ყველამ ვიცით, ვისაც ბევრი მიეცა უფლისგან, მას ბევრიც მოეთხოვება, მაგრამ ხშირად ღვთის საწინააღმდეგოდ ვიქცევით და საკადრისადაც ვისჯებით.**

ნურვინ ფიქრობს და მოელის, რომ თანამედროვე ცოდვებით დაცემულ სამყაროში ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია უკანასკნელ ჟამს მატერიალური სიმდიდრით გაბრწყინდება. ჩვენი პატარა ერის გადარჩენა ღვთისა და მოყვასის ჭეშმარიტ სიყვარულში, ცოცხალ სარწმუნოებასა და სულიერებაშია.

მოგიწოდებთ და გთხოვთ ყველას, ერთად ვიზრუნოთ ზემოთ მოყვანილი საკითხის დროულად გადაწყვეტისთვის.

**პატივისცემით,**

**გიორგი კუპატაძე**

**მიუხედავად ერის ეკლესიური ცხოვრების ამაღლებისა, აშკარაა საშინელი და ამაზრზენი ფაქტები ჩვენი ყოველდღიურობისა — უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა, დაკარგული ტერიტორიები, უცხო სიტყვებით წალეკილი და დამცირებული ქართული ენა, მწარმოებლიდან მომხმარებელ ერად გადაქცეული ქართველები, მდიდრებად და ღარიბებად გაყოფილი საზოგადოება, ერთი-ორის გარდა, ხალხისთვის მიუღებელი და თავსმოხვეული პარტიები და პოლიტიკოსები, ნიჰილისტური განწყობა აწმყოსა და მომავლისადმი**




**რუსუდან ნიკოლაძე პირველი ქალი იყო რუსეთის იმპერიაში, რომელმაც 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა მამაკაცებისთვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი.**

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ მკითხველს რეგულარულად მოუთხრობს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიის საინტერესო მომენტებზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომლებმაც სხვადასხვა პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს გადარჩენისა და განვითარების საქმეში — ხელი შეუწყვეს მეცნიერების, კულტურის განვითარებას, ქვეყნის წინსვლას. ღვაწლი ამ პიროვნებებისა ისე დიდია, რომ იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს და დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ჩვენი პუბლიკაციების მიზანიც სწორედ ეს არის.

ჟურნალის მეათე (ოქტომბრის) ნომერში, რუბრიკა „თერგდალეულები“ დაეთმობა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის ღვაწლსა და საქმიანობას, პირველ ქალს რუსეთის იმპერიაში, რომელმაც იმ პერიოდში „საუნივერსიტეტო ნიშანი“ მიიღო. თუ რას ნიშნავს ეს, პუბლიკაციიდან შეიტყობთ. წერილი მომზადდა ალექსანდრე სიგუას ნარკვევის — „მეცნიერი და მოქალაქე“ (1975წ.) მიხედვით.

# პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც «საუნივერსიტეტო ნიშანი» მიიღო

**რუსუდან ნიკოლაძე მხატვარ დავით გურამიშვილის დის — ოლღა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქალიშვილი იყო. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა 70 წლის განმავლობაში უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის მრავალათასიანი კადრების მომზადებასა და აღზრდასთან.**

მხცოვანი მეცნიერი ერთ თავის მოგონებაში, რომელსაც სევდიანი კილო დაჰკრავს, აცხადებს: **„დავრჩი სულ მარტო მამისა და დედის მემკვიდრეობის მცველად და მომვლელად“.** სინამდვილეში კი რუსუდან ნიკოლაძე დარჩა არა მხოლოდ მამის, ნიკო ნიკოლაძის, მემკვიდრეობის მცველად და მომვლელად, არამედ მისი საქმის გამგრძელებლადაც.

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, №21 სახლში, რომლის კედელზეც სამი მემორიალური დაფაა გაკრული — ნიკო ნიკოლაძის, მისი შვილის — გიორგი ნიკოლაძისა და სიძის, მიხეილ პოლიევქტოვისა — მამისეულ ბინაში ცხოვრობდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე. ამ სახლში წამდაუწუმ ისმოდა ტელეფონის წკრიალი, ხან სადარბაზო შემოსასვლელიდან რეკდნენ ზარს და მიღებას თხოულობდნენ.

ვის არ ნახავდით აქ — მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს. ზოგი დისერტაციას იცავდა და მასალებს თხოულობდა, ზოგი მადლობის სათქმელად მოდიოდა. აქ ხშირად იყვნენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ურალიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

* * *

1884 წლის 16 დეკემბერს პეტერბურგში, ნევის ნაპირას, ნიკო ნიკოლაძის ბინაზე მთელ ღამეს სინათლე არ ჩამქრალა. აქ იყვნენ ოლღას დედა — ქეთევან გურამიშვილი და მისი ძმა, მხატვარი დავით გურამიშვილი. აქვე იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, **ზიჩის** მოწაფე სამხატვრო აკადემიაში, ნიკო ნიკოლაძის ოჯახის დიდი მეგობარი, მხატვარი **გიგო გაბაშვილი**. ისინი ოლღა გურამიშვილისაგან პირველი შვილის დაბადებას ელოდნენ.

— ჰო, ჩემო ქეთევან, — გახუმრებია ნიკო თავის სიდედრს, — თუ მეოთხე შვილიც გოგო დაიბადება, ნუ მაჩვენებთო. და აი, ნიკოს ოლღა გურამიშვილისაგან პირველი შვილი გოგო შეეძინა.

— შვილო ნიკო, — უთქვამს სიძისათვის ქეთევანს, — გოგო შეგეძინა, დახედე და მითხარი, მიგაქვს თუ არა უკან შენი სიტყვები.

მამას აჩვენეს ახალშობილი, რომელიც თეთრ ზეწარში გაეხვიათ და ვერ ისვენებდა. ნიკოს დაუხედავს პატარასთვის და მაშინვე უთქვამს — უკან მიმაქვს ჩემი სიტყვებიო. მას ოლღა და დავით გურამიშვილთან ერთად შვილის სახელის არჩევაშიც მიუღია მონაწილეობა და რუსუდანი დაურქმევიათ, მაგრამ აურზაური მაშინ ატეხილა, როცა არც ერთი რუსი მღვდელი და არც ეკლესია არ დათანხმებულა, დაერქმიათ ასეთი „არაწმინდანის“ სახელი, ვინაიდან საეკლესიო სიაში ასეთი სახელი შეტანილი არ არისო. ერთ მღვდელს კი უთქვამს — ბავშვს მე მოგინათლავთ, რაისას დავარქმევ, თქვენ კი რუსუდანი დაუძახეთო, მაშინ ნიკოს სასახლის ეკლესიის მღვდლისთვის უთხოვია შვილის მონათვლა და ისტორიული საბუთებიც მოუშველიებია: თუკი ჩვენი მეფის ტიტულში შედის Царь Иверскии, ანუ Грузинский, მაშ როგორ შეიძლება, რომ ქართველი მეფეების სახელები აკრძალული იყოს რუსეთის ეკლესიაში, ჩვენ ხომ საქართველოში ქრისტიანობა 500 წლით თქვენზე ადრე მივიღეთო. მაგრამ არც ტახტის მღვდელმსახური დათანხმებულა ქალიშვილის მონათვლაზე, სანამ გაბრაზებული ნიკო არ მისულა საქართველოს ყოფილ მეფისნაცვალთან — მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვთან, რომელსაც ნიკო უცვნია, როგორც 1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომის სამხედრო კორესპონდენტი. ნიკოს დანახვაზე გაუხსენებია ყარსის აღების ამბები, ნიკოს გადასახლება საქართველოდან და შეჰპირებია შვილის მონათვლის საქმის მოგვარებას. თანაც სიცილით უთქვამს: რუსუდან დედოფალი ძალზე ფიცხი ქალი ყოფილა. იმედია, თქვენს შვილს ეგ თვისება არ დაენათლებაო!

ასე ელირსა ნიკო ნიკოლაძეს, ნევის ნაპირზე თავის შვილისთვის ქართული სახელი დაერქმია, რუსუდანს მეტრიკაში უწერია: „Крещена придворной его Величества церкви“.


რუსუდან ნიკოლაძე

ამის თაობაზე რუსუდანი იგონებს:

1921 წელს, როდესაც განათლების კომისარიატში სამსახურში მამტკიცებდნენ, ჩემმა მეტრიკამ ცუდი სამსახური გამიწია, მარიამ ორახელაშვილმა პირდაპირ იკივლა: — „Ка-ак? Крещена в придворной церкви? Почему? Откуда? Дочь Чернышевца и вдруг придворная церковь! Кто мог это ожидать!“

მე ამან გამანაწყენა და სიტყვა შევუბრუნე: — Да, я дочь и Чернышевца и „разночинца“.

შემდეგ კი, როცა ამ ამბავს გაიხსენებდა ხოლმე, დავით კანდელაკი დიდხანს ხარხარებდა.

„როგორც კი გავჩენილვარ, — იგონებს რუსუდან ნიკოლაძე, — დედაჩემს მაშინვე შეუდგენია აღზრდის „კარლ ფოგტისებური“ გეგმა, მამაჩვენი კი ჟან-ჟაკ რუსოს აღზრდის სისტემის მომხრე ყოფილა, მის „ახალ ელოიზაში“ და „ემილში“ წამოყენებული თეორიის მიმდევარი, რაც **ილია ჭავჭავაძესა** და დედაჩემს წმინდა წყლის „უტოპიად“ მიაჩნდათ, მაგრამ ერთი დებულება ამ სკოლებს საერთო ჰქონდათ: **ბავშვის აღზრდა სოფელში, ბუნების წიაღში.** ამიტომ ორივე მოკამათე აღმზრდელი შეთანხმებულა იმაზე, რომ მამაჩემი გაყიდდა ბინას პეტერბურგში, იქაურ საქმეებს სასწრაფოდ მოაგვარებდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა. მით უმეტეს, რომ მამას ხუთწლიანი (1881-1886) სასჯელი უთავდებოდა და ამიტომ შეიძლებოდა უკვე ნიადაგის მომზადება სამშობლოში წამოსასვლელად.

მაგრამ სად? თბილისში თუ სოფელში, რასაც პესტალოცი მოითხოვდა ბავშვის აღზრდისათვის? ამის მომხრე ჟან-ჟაკ რუსოც იყო. გადაწყდა, ჩვენი ოჯახის სოფელში დაბრუნება, მაგრამ რომელში? სად? მამას იმწამსვე თავისი დედულეთი — დიდი ჯიხაიში აურჩევია. აქ ყველაფერი, რაც გვაბადია, გავყიდოთ, სოფლად შევიძინოთ პატარა ნაკვეთი და სახლი დავდგათო, დედას კი ავჭალის გურამიანთ კარში მოუნდომებია მოწყობა ან კიდევ დედამისის, ქეთევან, რევაზ თუმანიშვილის ასულის, მშობლიურ მეჯვრისხევში, გორთან. იმ მოსაზრებით, რომ ორივე ეს ადგილი ქართლის გულს წარმოადგენდა და, მაშასადამე, დედის რწმენით, იქ უფრო წმინდად შეითვისებენ შვილები დედა-ენას, ვიდრე ქვემო იმერეთის „კინტრი-კვახის“ კუთხეშიო. „კინტრი-კვახიო“?! ანთებულა მამაჩემი: ამას ავჭალელები მაყვედრით, თქვენი „ტაქნითა“ და „სტოლი-სტულით“, ქართული ჭიქისა და მაგიდის ნაცვლად?! და გაჩაღებულა ორთაბრძოლა ქართლსა და ქვემო იმერეთის ირგვლივ“.

რუსუდან ნიკოლაძემ, როგორც ნიკო ნიკოლაძის ყველა შვილმა, მეტად საინტერესო სკოლა გაიარა, ჯერ თავის სახლში, მერე კი რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში ქალისთვის უმაღლესი განათლების მიღება და ისიც უნივერსიტეტის დამთავრება ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. რუსუდანი კი 1896—1898 წლებში სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, შემდეგ (1898—1904 წწ.) — თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა. 1909 წელს რუსუდანმა პეტროგრადის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1913 წელს — პეტროგრადის უნივერსიტეტი ფიზიკა-ქიმიის განხრით და იქვე დატოვეს სამეცნიერო მუშაობისთვის. იმ დროს იქ მუშაობდნენ გამოჩენილი ქიმიკოსები ვლადიმერ იპატიევი და სერგეი ლებედევი.

**რუსუდან ნიკოლაძე პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ბევრი სტუდენტისაგან გამოირჩეოდა; დაუახლოვდა გამოჩენილ პროფესორებს: ვერხოვსკის, ლებედევს, იპატიევსა და სხვებს. ისინი რუსუდანს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.**

მეცნიერის ძვირფას და უნიკალურ არქივში ინახება და დაცულია რუსუდან ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ასამდე ლექსი, რომელთა ავტორები არიან ვერხოვსკი, ლებედევი, ლაპშინი, ოშანინი, ივანოვა, ვაგინა და სხვები.

იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც რუსეთის განათლების მინისტრმა კასსომ გამოსცა, ვაჟებთან ერთად ქალებსაც ენიჭებოდათ უფლება, უმაღლეს სასწავლებელში მათთვის პირველად შექმნილი კომისიისთვის სახელმწიფო გამოცდები ჩაებარებინათ.

**რუსუდან ნიკოლაძე პირველი ქალი იყო რუსეთის იმპერიაში, რომელმაც 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა მამაკაცებისთვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი.** გამოცდების შემდეგ რუსუდანი დროებით სამშობლოში ჩამოვიდა.


ნიკო ნიკოლაძის ოჯახი. პირველ რიგში სხედან: გიორგი ნიკოლაძე, ქეთევან გურამიშვილი, კალთაში — თამარ ნიკოლაძე, რუსუდან ნიკოლაძე. მეორე რიგში: ნინო მაკაროვა-ზურაბიშვილი, ოლღა ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე

**დასასრული იხ. შემდეგ ნომერში ან სრულად ჟურნალში „ისტორიული მემკვიდრეობა“ №10, 2016წ.**

ეს ყველა ფერმერმა უნდა იცოდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტატისტიკის თანახმად, 3-4 წევრიანი ოჯახი წელიწადში საშუალოდ 4-5 კგ ხახვის ფურცელს ყრის. არადა, ხახვის ფურცელი ბუნებრივი ფუნგიციდია, რომელიც იცავს ხეხილს, ბოსტნეულს, ყვავილებსა და ოთახის მცენარეებს მავნებლებისგან. გარდა ამისა, ხახვის ფურცელი მცენარეთა კვების (განოყიერების) კარგი საშუალებაცაა. ის ასევე აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას.**

# აგრორჩევები

2014 წლის სექტემბერში სოფლის მეურნეობის საკითხების ერთიანი საინფორმაციო ველის ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა ქართული დარგობრივი ინტერნეტგაზეთი „აგროკავკასია“, რომელიც ფერმერებისა და არამხოლოდ მათთვის აქვეყნებს საინტერესო მასალებს სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების, ახალი ჯიშების გამოყვანის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, აგრობიზნესის, აგროტურიზმის, მეცხოველეობის, მემცენარეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მებოსტნეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობისა და სხვა საკითხების შესახებ. ამიერიდან შემოგთავაზებთ ამ ინტერნეტგაზეთის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს.

## რა დავრგოთ კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ?



**კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ მიწის მოცდენა, რა თქმა უნდა, არ ივარგებს. სჯობს, შევარჩიოთ კულტურები, რომლებსაც დავრგავთ და გავიხარებთ ახალი მოსავლით.**

**მზისგან დაცვა**

კარტოფილის აღების შემდეგ, ზაფხულის პერიოდში, შესაძლებელია ბოსტნეულისა და მწვანილის მოყვანა. ნიადაგი კარგად არის გაფხვიერებული, კარგი აერაცია და წყალგამტარობა აქვს.

თუმცაშესაძლოა, ახალი მწვანილის სუსტმა ღივებმა სიცხეს ვერ გაუძლოს, ამიტომ სჯობს, ღია გრუნტში უკვე მოძლიერებული ჩითილები დაირგოს.

**სწრაფი მოსავალი**

სიდერატების (სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნა ნიადაგის გასანაყოფიერებლად — აზოტითა და ორგანული ნივთიერებით გასამდიდრებლად. — რედ.) დარგვა, ყოველთვის შეიძლება, თუმცა უკეთესი იქნება, თუ მათ მეორე კულტურის მოსავლის (სწრაფი მოსავლის შემთხვევაში) აღების შემდეგ დავრგავთ.

აი რამდენიმე კულტურა, რომლებიც შეიძლება დავრგოთ და დავთესოთ კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ:

* **სალათა;**
* **ბროკოლი;**
* **სტაფილო;**
* **კომბოსტო;**
* **ყვავილოვანი კომბოსტო;**
* **ოხრახუში;**
* **კამა;**
* **ყაბაყი;**
* **ჭარხალი;**
* **გოგრა;**
* **ლობიო;**
* **კიტრი;**
* **ნიორი**

არჩეული კულტურა უნდა შეესაბამებოდეს იმ გარემოსა და ნიადაგის პირობებს, რომლებიც დამახასიათებელია თქვენი ნაკვეთისთვის.

კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ, სჯობს, თუ არ დარგავთ ბადრიჯანს, პომიდორსა და წიწაკას

## თხილის წამლობის სქემა 100 ლ წყალზე გაანგარიშებით



**პირველი** წამლობა ტარდება მარტის დასაწყისში. 1 კგ ბორდოს ნარევი და 200 გრ დურსბანი გახსენით 100 ლ წყალში და შეასხურეთ მცენარეებს.

**მეორე** წამლობა უნდა ჩატარდეს მარტის ბოლოს-აპრილის დასაწყისში. 200 გრ ანტრაკოლ ბლაუ, 50 გრ ბაილეტონი და 100 გრ დეცის ბლუ გახსენით 100 ლ წყალში და შეასხურეთ.

**მესამე** წამლობა ტარდება აპრილის ბოლოს-მაისის დასაწყისში. 50 გრ ბაილეტონი, 100 გრ დეცის პროფი და 60 გრ ენვიდორი გახსენით 100 ლ წყალში და შეასხურეთ.

**მეოთხე** წამლობა ტარდება 20 დღის შემდეგ მესამე წამლობიდან. 1კგ კუპერვალი დაუმატეთ 10გრ დეცის პროფი 50 გრ მასაი და გახსენიტ 100ლ წყალში.

**მეხუთე** წამლობა უნდა ჩატარდეს მოსავლის აღებამდე 20 დღით ადრე. 10 გრ დეცის პროფი გახსენით 100 ლ წყალში.

**სარეველებთან ბრძოლა:** რიგთაშორის ყველა სახის სარეველას წინააღმდეგ გამოიყენება რუმბო — 1 ლიტრი ჰექტაზე.

## მარწყვი — შემაღლებული ბაზო-კვლების გამოყენება



**მარწყვს, როგორც წესი, რგავენ, დაახლოებით 20 სმ სიმაღლის შემაღლებულ კვლებზე. შემაღლებული კვლების გამოყენება ხელს უწყობს ადრეული მოსავლის აღებას, ნიადაგის კარგ დრენაჟს, მწერებსა და დაავადებებთან ბრძოლასა და უხვი მოსავლის აღებას.**

მეტისმეტად მძიმე ან თიხოვან ნიადაგზე არც ისე ადვილია კარგი კვლის მოწყობა, ვინაიდან ასეთ ნიადაგში იოლად წარმოქმნება ბელტები ან გამაგრებული კოშტები.

ნიადაგის შესაბამისად მომზადება ძალზე მნიშვნელოვანია დასარგავი შემაღლებული

ბაზო-კვალის სათანადოდ ჩამოსაყალიბებლად.

მარწყვის დასარგავად შერჩეული ნიადაგი სათანადოდ უნდა მომზადდეს დარგვამდე დიდი ხნით ადრე.

მომზადება გულისხმობს მიწის დამუშავებას, მოხვნასა და გაფხვიერებას. უნდა მივიღოთ ერთგვაროვანი, კარგად გაფხვიერებული ნიადაგი, რომელსაც არ ექნება ქერქი და არ იქნება დატკეპნილი. დატკეპნის გამოსწორება შეიძლება ღრმა მოხვნით (30-





დან 35 სმ სიღრმეზე).

გარდა ამისა, გამოიყენება მრავალბოლოვანი ფენის გასაფხვიერებელი აღჭურვილობა („ჩიზელები“, „რიპერები“), რომელიც ნიადაგში 50-დან 60 სმ-მდე სიღრმეში ჩადის, უზრუნველყოფს მიწის აერაციას, გაფხვიერებასა და არღვევს ნიადაგში არსებულ გამაგრებულ მკვრივ ფენებს.

ნიადაგის სათანადო მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია მარწყვის ფესვთა სისტემის კარგად გასავითარებლად. მცირე მეურნეობებში, კარმიდამოში იყენებენ მცირეგაბარიტიან ტექნიკას.

დასარგავი კვლების რიგების ფორმირებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება როტაციული კულტივატორები და „ბედების“ წარმომქმნელი მანქანა-იარაღები, მაგრამ ამის გაკეთება ხელითაც შეიძლება.

მცირე მეურნეობაში ან კარმიდამოში, იყენებენ აწეული კვლების ტექნიკასაც.

შემაღლებულ ბაზო-კვლებად მომზადებული და კარგად დამუშავებული ნიადაგი იდეალურია მარწყვის გადასარგავად.

მარწყვის კვლის სტანდარტული ზომებია 80 სმ სიგანის კვალი საფუძველთან, რომელიც 75 სმ სიგანისაა ზედა ნაწილში და 25 სმ სიმაღლის. ზედა ნაწილი კარგად ამობურცულია კარგი დრენაჟირებისთვის. მანძილი კვლების ცენტრებს შორის 1.5 მეტრია.

კვლების ამაღლებები უნდა იყოს თანაბარი, რათა ხელი შეეწყოს მარწყვის ზრდის ერთგვაროვნებას.

## ხახვის ფურცელი — ორგანული სასუქი (რეცეპტი)



**სტატისტიკის თანახმად, 3-4 წევრიანი ოჯახი წელიწადში საშუალოდ 4-5 კგ ხახვის ფურცელს ყრის. არადა, ხახვის ფურცელი არის ბუნებრივი ფუნგიციდი, რომელიც იცავს ხეხილს, ბოსტნეულს, ყვავილებსა და ოთახის მცენარეებს მავნებლებისგან.**

გარდა ამისა, ხახვის ფურცელი მცენარეთა კვების (განოყიერების) კარგი საშუალებაცაა და, ამასთანავე, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას.

ხახვის ფურცელი შეიცავს მრავალ სასარგებლო, ბიოლოგიურად აქტიურ და მინერალურ ნივთიერებას — გლუკოზიდებს, კაროტინს, ფიტონციდებსა, ორგანულ მჟავებს, აგრეთვე, B, C, E და PP ვიტამინებს, რომლებიც არა მხოლოდ იცავს მცენარეებს, არამედ ზრდის მათ იმუნიტეტს და, შესაბამისად, მოსავლიანობას.

**ხახვის ფურცლების ხსნარი და ოთახის მცენარეები**

სადილის მომზადების შემდეგ დარჩენილ 2-3 თავი ხახვის ფურცელს დაასხით 1ლ ადუღებული წყალი. გააჩერეთ ორ დღეს, გადაწურეთ (თუ შემასხურებელს იყენებთ, რომ არ გაიჭედოს) და მზად არის.

ხახვის ფურცლების ხსნარი (გამოიყენეთ მხოლოდ ახალი დამზადებული), რეგენერაციულ გავლენას ახდენს მცენარეებზე, რწყავს ოთახის მცენარეებს, რომლებსაც მოულოდნელად დაეწყოთ ფოთლების შეყვითლება. ამ ხსნარის გამოყენებით მცენარეთა 90% გამოცოცხლდება.

თუ დრო არ გაქვთ, ხახვის ფურცელი დააქუცმაცეთ და მოაყარეთ ნიადაგს, მორწყვისას მისი სასარგებლო ნივთიერებები — ჩავა ნიადაგში და მცენარე შეითვისებს.

ზოგიერთი ოთახის მცენარე ცუდად ან საერთოდ არ რეაგირებს ხახვის ფურცლის ხსნარზე — ეს არი **კაქტუსი** და მცენარეები ხორციანი ფოთლებით, მაგალითად, **ალოე** ან **ბარაქის ხე.**

16 ოქტომბერს ახალმთვარეობაა. ამ პერიოდში არ ღირს საფინანსო ოპერაციების განხორციელება და კომერციული გარიგებების დადება. წარმატებას მიაღწევენ კუროს, ლომისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულები.

## ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**12 - 18 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

თქვენი მოკავშირეთა რიგები შეიძლება შეავსონ ადამიანებმა, რომლებსაც ადრე ოპონენტებად განვიხილავდით. და ეს მოხდება არა მხოლოდ თქვენი მომხიბვლელების, არამედ ცხოვრებასა და საქმისადმი დამოკიდებულების შეცვლის გამო.

მარტოხელა ვერძებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება მგზნებარე რომანში გადაიზარდოს. ეს ადამიანი შეიძლება იყოს სოციალური მდგომარეობით მაღლა ან წლოვანებით უფროსი.

მოერიდეთ გაცივებას. დიდია ყელისა და ყურის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 12 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ოქტომბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

იოლად გადაწყვეტთ თქვენ წინაშე მდგარ ამოცანებს და გარშემო მყოფებსაც დაეხმარებით. ერთადერთი პრობლემა: სიჯიუტის გამო თქვენი დარწმუნება ამა თუ იმ თვალსაზრისით მართებულობაში იოლი არ იქნება.

თუ დაქორწინებული კუროები ფლირტს გააბამენ სამსახურში თავიანთ კოლეგასთან, ეს ამბავი ცუდად დასრულდება. მარტოხელა კუროებს კი გაუჩნდებათ ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების შანსი.

შეეცადეთ, ვიტამინებით მდიდარი პროდუქტებით გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 ოქტომბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

თქვენგან დამოუიკდებელი მიზეზების გამო შეიძლება გეგმები შეგეცვალოთ. ნუ გალიზიანდებით, შეეცადეთ, საქმე უემოციოდ და აუჩქარებლად აკეთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, შეცდომები დაუშვათ და ურთიერთობა გაგიმწვავდეთ ხელმძღვანელობასთან.

მეტი მზრუნველობით მოეპყარით ახლობელ ადამიანებს, განსაკუთრებით — ოჯახის უმცროს წევრებს.

შესაძლოა, შეგექმნათ კბილების პრობლემა. მიდით სტომატოლოგთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 12 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

ნუ ჩაერთვებით კონფლიქტში კოლეგებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული არ ხართ თქვენი თვალსაზრისის მართებულობაში. გაგიჩნდებათ სურვილი, პასუხი მიიღოთ ყველა კითხვაზე, რომლებიც შეეხება იმ ადამიანს, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებითაც, დიდი ხანია, დაინტერესებული ხართ, მაგრამ პასუხები შეიძლება არც ისე სასიამოვნო იყოს. მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად — კარგი იქნება, თუ სუნთქვის სავარჯიშოებსაც შეასრულებთ.

**დადებითი დღე: 12 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ოქტომბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

წარმატებას მიაღწევთ ფინანსურ საკითხებში. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც საინტერესო პროექტში მონაწილეობას შემოგთავაზებენ, ან მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის.

მარტოხელა ლომები, რომლებმაც ოქტომბრის დასაწყისში გააბეს რომანტიკული ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, მალე მიხვდებიან, რომ ეს ადამიანი მათთვის სრულიად შეუფერებელია.

შეამცირეთ დატვირთვა თვალებზე და რაციონში ჩართეთ პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობს მხედველობის გაუმჯობესებას — სტაფილო, ჭარხალი, სიმინდი და სხვ.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

შეეცადეთ, ინიციატივა და მოხერხებულობა არ აურიოთ აგრესიასა და ავანტიურიზმში. პირველ ორ უნარს წარმატება მოაქვს, ბოლო ორს კი — კონფლიქტი და ჯანმრთელობის პრობლემები.

ამ პერიოდში დიდად იქნებით დამოკიდებული გარშემო მყოფებზე. გამოცდილი ადამიანებისგან ბევრ სასარგებლო რჩევას მიიღებთ.

მაღალია გაცივების ან ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 ოქტომბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

გაბედულად და შეუპოვრად იმოქმედეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თავშეუკავებლობამ და ემოციების (დადებითისაც კი) გამოვლენამ შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ. საქმის კეთებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყარით დეტალებს, ამასთანავე, მეხსიერების იმედად ნუ იქნებით — ჩაიწერეთ.

დაქორწინებულ სასწორებს მეტი მზრუნველობის გამოჩენა მართებთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით — ბავშვების მიმართ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა, კარგი იქნება, თუ თავს აარიდებთ ალკოჰოლურ სასმელებს.

**დადებითი დღე: 13 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ოქტომბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

გაგიჩნდებათ შესაძლებლობის სრულად გამოვლენის შანსი და ამიტომ ენერგიულად უნდა იმოქმედოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ, უწინარესად, კოლექტივის ინტერესებზე უნდა იფიქროთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

ჯიუტი მცდელობა, თქვენი თვალსაზრისი თავს მოახვიოთ ოჯახის წევრებს, კონფლიქტით დასრულდება.

დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე, მლაშე და ცხიმიანი პროდუქტები.

**დადებითი დღე: 18 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

თქვენთან საერთო ენის გამონახვა გაძნელდება. დაიცავით თქვენი თვალსაზრისი, ოღონდ მშვიდად — უემოციოდ. თქვენს მუხლჩაუხრელ შრომას ხელმძღვანელობა აუცილებლად შეამჩნევს და სათანადოდ დააფასებს.

ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შეგექმნათ მცირე უთანხმოება, კარგად წარიმართება. მეტი იზრუნეთ ოჯახის უმცროსი წევრების პრობლემების მოგვარებაზე.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

წარმატებას სწრაფი და გაბედული მოქმედება მოგიტანთ. თქვენი მუხლჩაუხრელი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და შეიძლება დაგაწინაუროს ან პრემიით დაგაჯილდოვოს.

დაქორწინებულმა თხის რქებმა ოქროს შუალედი უნდა გამონახონ სამსახურსა და ოჯახს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეუღლესთან უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებენ.

თხის რქები, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, მეტად უნდა დაიტვირთონ ფიზიკურად და შეზღუდონ მაღალკალორიული საკვების მიღება.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 ოქტომბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

წარმატების საწინდარი საჭირო სიტყვების შერჩევა და მათში თქვენი აზრების ჩაქსოვა იქნება. ორატორული თვისებების გამოვლენა ყველა პროფესიის მერწყულს დასჭირდება.

დაქორწინებულმა მერწყულებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ შვილებთან ურთიერთობას. მათზე ზრუნვა და პრობლემების მოგვარებაში დახმარება დიდ სიამოვნებას მოჰგვრით.

მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე — შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

ამ პერიოდში კარგი იქნება, თუ დინებას მიჰყვებით, ის საჭირო მიმართულებით წაგიყვანთ, თუმცა არც ისე სწრაფად, სამაგიეროდ, დრო გამოგითავისუფლდებათ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისთვის. ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოთ, არის ის, რომ ვალი არ აიღოთ, ხოლო, თუ გაქვთ, დროულად დაფაროთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მისი მოთხოვნებიც უნდა გაითვალისწინოთ, თორემ უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებთ. წადით ერთად საყიდლებზე ან მოაწყვეთ რომანტიკული ვახშამი და ყველაფერი რიგზე იქნება.

**დადებითი დღე: 12 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ოქტომბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით



**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 12-18 ოქტომბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

* **12 ოქტომბერი** — სასურველ ეფექტს გამოიღებს მავნებლებთან და მცენარეების დაავადებებთან ბრძოლა.

* **13 ოქტომბერი** — კარგი იქნება, თუ მიწის ნაკვეთს, რომელზეც მოსავალი მოგყავთ, გაამდიდროთ მინერალური სასუქებით.

* **14 ოქტომბერი** — კარგი იქნება, თუ დარგავთ მსხმოიარე მცენარეებს — ვაშლს, მსხალს, ქლიავს და ა.შ.

* **15 ოქტომბერი** — კარგი დღეა ერთწლოვანი მცენარეების დასარგავად, მაგალითად, წიწიბურის, საგაზაფხულო ხორბლის, სელის, ფეტვის, ბარდისა და სხვ.

* **16 ოქტომბერი** — კარგი იქნება, თუ ღრმად დაბარავთ ნიადაგს, რომელზეც მოგყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მორწყავთ დეკორატიულ მცენარეებს. სასურველი არ არის კონსერვების დამზადება.

* **17 ოქტომბერი** — რეკომენდებულია კამის დათესვა. არ შეიძლება ოთახის ყვავილების მორწყვა.

* **18 ოქტომბერი** — რეკომენდებულია ყვავილის ზაფხულის სეზონის სახეობების — ბეგონიის, სალვიას და სხვ. დათესვა.

არ შეიძლება ოთახის მცენარეების გადარგვა.

# გალატაკებული უკრაინა ახალი მაიდნისთვის ემზადება

## პარტია «ბატკივშჩინას» ლიდერი ნეზალეჟნაიაზე მორიგი «სახალხო» რევოლუციის მოწყობას გეგმავს

**უკრაინაში პოლიტიკური ვითარება ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მწვავდება: რიგით ადამიანებს შორის მწიფდება უკმაყოფილება მოქმედი ხელისუფლებისა და მისი უუნარობის გამო, გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი პრობლემები. ზამთრის მოახლოების პარალელურად, დღის წესრიგში დადგა კომუნალური გადასახადების გაძვირების პრობლემა. მთავრობის მძარცველური პოლიტიკით მოსახლეობის აღშფოთების გამოყენებას შეეცდებიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, მათ შორის, იულია ტიმოშენკოც.**



უკრაინელი ექსპერტები ამბობენ: ამჟამად არის მტკიცებულებები იმისა, რომ პარტია „ბატკივშჩინას" ლიდერი ამზადებს ახალ „სატარიფო" მაიდანს.

კერძოდ, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ტიმოშენკო აკონტროლებს, აქტიურად ემზადებიან მასობრივი ღონისძიების ჩასატარებლად და უამრავ კარავს ყიდულობენ. ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, საპროტესტო აქციების პირველი „რეპეტიცია" უკვე ოქტომბერში გაიმართება პროფკავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით. „ვითარების ამღვრევა რომ იგეგმება, ეს 100-პროცენტიანია. მათ უკვე თარიღიც კი აქვთ შერჩეული. პროფკავშირების საცდელ გაფიცვას ისინი 11 ოქტომბერს აპირებენ, ამის შესახებ „ბატკივშჩინას" დეპუტატებმა განაცხადეს. ტარიფების თემა საკვანძო იქნება", — განაცხადა ცნობილმა უკრაინელმა პოლიტოლოგმა **ტარას ბერეზოვეცმა.**

უკრაინელი პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ ტიმოშენკოს განზრახული აქვს, ჯერ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მიაღწიოს, შემდეგ — საპრეზიდენტო არჩევნების და სრულიად შეცვალოს ხელისუფლება ქვეყანაში.

# ლიბიამ ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარება რუსეთს სთხოვა



**ლიბიის არმიის სარდალმა, მარშალმა ხალიფა ჰაფთარმა რუსეთს სთხოვა, ქვეყნის მეომრებს ცეცხლსასროლი იარაღი და ტექნიკა მიაწოდოს.**

ხაფთარმა წერილი მისწერა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინსა** და თავდაცვის მინისტრ **სერგეი შოიგუს.** მიმართვა მოსკოვში ჩაიტანა ლიბიის არმიის მთავარსარდლის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ლიბიის ელჩმა საუდის არაბეთში— **აბდელ ბასეთ ალ-ბადრიმ.**

რუსეთის პრეზიინავებდენტის წარმომადგენელთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **მიხეილ ბოგდანოვთან** შეხვედრისას განხილულ იქნა საკითხი ლიბიისთვის ემბარგოს გაუქმებისა და ცეცხლსასროლი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის, მათ შორის, თვითმფრინავების მიწოდების შესახებ. ლიბიის მთავრობის წარმომადგენელმა მოსკოვს, აგრეთვე, სთხოვა, დაიწყოს სამხედრო ოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ.

იარაღის მიწოდებაზე ემბარგო ლიბიას 2011 წელს დაუწესეს, ქვეყნის ლიდერის — **მუამარ კადაფის წინააღმდეგ აჯანყების პერიოდში.**

# ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატის დარტყმის შედეგად 15 მშვიდობიანი ავღანელი დაიღუპა

**სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავის შეტევამ 15 ავღანელის სიცოცხლე შეიწირა. ინციდენტი მოხდა ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, პროვინცია ნანგარჰარში.**

ამერიკის დაზვერვამ მიიღო ცნობა ერთ-ერთ რაიონში „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლების ყოფნის შესახებ და ტერორისტების თავშეყრის სავარაუდო ადგილზე უპილოტო საფრენი აპარატები გაუშვა.

**დარტყმის შედეგად მართლაც მოკვდა რამდენიმე „ბოევიკი", მაგრამ მსხვერპლი სამოქალაქო პირთა შორის უფრო მეტია — დაიღუპა 15 მოქალაქე, 13 — დაიჭრა.** გაერო დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას აპირებს.

„გაეროს მისია ავღანეთში შეახსენებს ვალდებულებებს კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს, დაიცვან თავიანთი უფლებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით", — ნათქვამია გაეროს განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის წინათ ამერიკის ავიაციამ დაარტყა ავღანელი პოლიციელების პოზიციებს, დაიღუპა 8 სამართალდამცველი.

ამას გარდა, დასავლეთის კოალიციამ შეუტია „ისლამურ სახელმწიფოსთან" მებრძოლი სირიის სამთავრობო ჯარების პოზიციებს ქალაქ დეირ-ეზ-ზორთან. ავიადარტყმების შედეგად დაიღუპა 62 სირიელი სამხედრო მოსამსახურე, დაახლოებით 100 ადამიანი კი დაიჭრა. აშშ-ის საჰაერო შეტევის დასრულებისთანავე „ისლამურმა სახელმწიფომ" სახმელეთო ოპერაცია დაიწყო.

# ფილიპინების პრეზიდენტმა ახლა ევროკავშირს აგინა



## როდრიგო დუტერტეს ფეხებზე ჰკიდია, რას ფიქრობენ მასზე დასავლეთში

**ფილიპინების პრეზიდენტმა დასავლელი პოლიტიკოსების მიმართ კიდევ ერთი არაკორექტული გამოთქმით გამოიჩინა თავი.**

ადრე როდრიგო დუტერტემ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას „მეძავის შვილი" უწოდა, 21 სექტემბერს კი ევროკავშირს აგინა.

ფილიპინელი პოლიტიკოსის ემოციური გამოსვლა გამოიწვია ევროკავშირის პარლამენტის რეზოლუციამ, რომელშიც გაკრიტიკებულია ფილიპინებში ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

**„წავიკითხე, რომ ევროპის კავშირი გმობს ჩემს მოქმედებებს. მათ ვუპასუხებ: წადით, თქვენი..."** — განაცხადა ფილიპინების პრეზიდენტმა და მეტი ეფექტისთვის შუა თითი მაღლა ასწია. მისი აზრით, ევროპის ქვეყნები თავიანთი მოქმედებებით მხოლოდ იმ ცოდვების მიჩქმალვას ცდილობენ, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ჩაიდინეს.

# ჯონ კერიმ სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებთან დაიჩივლა, რომ რუსმა დიპლომატებმა გააცურეს

**„აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ რუსმა დიპლომატებმა შეძლეს მისი გაცურება სირიის საკითხში", — წერს ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსი", რომელმაც მოიპოვა კერისა და სირიის ოპოზიციის მოლაპარაკების აუდიოჩანაწერი.**



სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 71-ე სესიის მიმდინარეობისას გაიმართა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაციაში არის 3-4 ადამიანი, რომლებიც ძალის გამოყენებას უჭერენ მხარს.

**„მე კი არგუმენტები ამოვწურე. მე ძალის გამოყენების მომხრე ვიყავი, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა, ჩვენ ვცდილობთ, დავკავდეთ დიპლომატიით და მესმის, რომ ეს თქვენ იმედგაცრუებას იწვევს. არავინ ისეთი იმედგაცრუებული არ არის, როგორც ჩვენ",** — განაცხადა კერიმ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსებმა გააცურეს.

სირიის ოპოზიციისთვის იარაღის მიწოდების გაფართოება ან კონფლიქტში პირდაპირი ჩარევა, პოლიტიკოსის აზრით, „უსიამოვნო შედეგებს" გამოიწვევს.

„რუსეთი გაზრდის ფსონებს, ირანიც; იქ იქნება უფრო მეტი „ჰეზბოლა" და „ნუსრა". საუდის არაბეთი და თურქეთი დახარჯავენ ფულს და ყველაფერი განადგურდება", — დარწმუნებულია სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ამასთანავე, კერი ცდილობდა, აეხსნა სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის, რომ ვაშინგტონს არ აქვს ასადის მთავრობაზე თავდასხმის სამართლებრივი უფლება, მოსკოვი კი დამასკომ მიიწვია. მისი თქმით, როდესაც ჩატარდება არჩევნები, სირიელები თვითონ გადაწყვეტენ, ვისი ხილვა სურთ მთავრობაში.

კერიმ, აგრეთვე, გამოთქვა აზრი, რომ არჩევნებში მონაწილეობა სირიის მოქმედმა პრეზიდენტმა **ბაშარ ასადმაც** უნდა მიიღოს და ეს უნდა მოხდეს დასავლეთის ქვეყნებისა და გაეროს კონტროლით.

„ბევრი ამერიკელი არ მიიჩნევს სწორ გადაწყვეტილებად, რომ ჩვენ უნდა ვიომოთ და ჩვენი ახალგაზრდობა გავგზავნოთ სხვა ქვეყანაში სასიკვდილოდ", — ასე უპასუხა დიპლომატმა კითხვას აშშ-ის უფრო აქტიურ მონაწილეობაზე სირიის კრიზისში.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894